# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

№ 256 (5597)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


# საახალწლო ნაძვისხე აინთო...





# თოვლის პაპაც გვეწვია

## თურქეთი თავის წილ გაზს საქართველოს და აზერბაიჯანს დაუთმობს

## 10 თვითაღიარებული რესპუბლიკები გაეროს მიმართავენ



## ბიზნესმენებს სტაბილურობის განცდა უნდა შევუნარჩუნოთ

2

## „ჯამბაზხანა“ თავის დრო იცის

9



● თუ ბიზნესმენი არ იგრძნობს თავს დაცულად და მუდმივად იდგება მოსალოდნელი საფრთხის წინაშე, თუ ხელისუფლება „თამაშის წესებს“ შეუცვლის, ეს მთელ რიგ პროცესებზე აისახება



№ 256. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

◎ ინფორმაცია

## მივიღებთ აზერბაიჯანულ გაზსაც

საქართველო აზერბაიჯანიდან ზამთრის განმავლობაში ყოველდღიურად 1 მილიონ კბმ გაზს მიიღებს.

აზერბაიჯანული სააგენტო “ტრენდის“ ინფორმაციით, ამგვარ შეთანხმებას მხარეებმა გუშინ, ბაქოში გამართული შეხვედრის დროს მიაღწიეს.

აზერბაიჯანული გაზის იმპორტთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს ბაქოში გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აწარმოებდა. მოლაპარაკებები კიდევ სამი დღე გაგრძელდება.

შეხვედრების დროს მხარეებმა ელექტროენერგიის გაცვლის საკითხი, სამ ქვეყანას შორის (საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი) ელექტროგადამცემი ხაზის და საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მიერ ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტებიც განიხილეს.

ინტერპრესნიუსი

◎ ნომინანტები

## საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ ახალი ლაურეატები





**გამოვლინდნენ საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ 2006 წლის ლაურეატები.** ეს ჯილდო გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საზეიმოდ გადაეცათ გამორჩეულ ჟურნალისტებსა და ქველმოქმედებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ქვეყნის აღმშენებლობაში.

წლევანდელი ნომინანტები არიან: **ეკა ხოფერია, ელისო ჩაფიძე, გიული ალასანია, ნინო ძადაგიძე, ბადრი პატარკაციშვილი, კახა კალაძე, რევაზ ჟღენტი, კობა ნაყოფია, დავით ოქიტაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, გიგლა გოგიჩაია, ბიძინა ბარათაშვილი, თამარ ჩიქოვანი, ხათუნა დონდუა.**

***ვრცელ რეპორტაჟს ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.***

◎ ოპოზიცია

# ბიზნესმენებს სტაბილურობის განცდა უნდა შევუნარჩუნოთ



**კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ქონების ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოში 1999 წლიდან მოქმედებს. საგაზაფხულო სესიაზე კი კანონში რამდენიმე ცვლილება შევა. თუმცა მანამდე ოპოზიციას და უმრავლესობას კანონპროექტის რამდენიმე მუხლის რედაქტირებაზე შეთანხმება მოუწევთ. ახალი მემარჯვენეები, კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების დაკანონების შემთხვევაში, ბიზნესის განვითარების კუთხით საფრთხეს ხედავენ, სწორედ ამიტომ ისინი საგაზაფხულო სესიაზე კანონპროექტის მიღებამდე რამდენიმე ინიციატივით წარსდგებიან. უფრო კონკრეტულად ამის შესახებ ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია გვესაუბრება.**

**— ქალბატონო მანანა, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ქონების ჩამორთმევის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებიდან რა არის თქვენთვის მიუღებელი?**

— თუ ადრე, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ შეიძლებოდა პირისთვის მხოლოდ ფულადი ანაზღაურება მიეცათ საკომპენსაციოდ, ახლა შესაძლებელია მიეცეს ადეკვატური ქონება სხვა ტერიტორიაზე. სწორედ ამ ცვლილებამ გამოიწვია დიდი ხმაური, რადგან, ადრე სახელმწიფო საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ქონების ჩამორთმევას იშვიათად იყენებდა, ის თანხას ბიუჯეტიდან იხდიდა. დღეს კი, ძალიან ხშირად შეუძლიათ ეს გააკეთონ და რუსთაველის გამზირზე არსებული შენობის ნაცვლად მფლობელს ფართი გლდანში ან სადმე ქალაქგარეთ შესთავაზონ. ასეთი პრეცედენტი უკვე გვქონდა, როდესაც რუსთაველზე მდებარე მაღაზია „სონის“ მეპატრონეს თითქოსდა გადასახადების გადაუხდელობას ედავებოდნენ, შემდეგ კი მოლაპარაკებას მიაღწიეს, რომ „საუნჯის“ შენობაში გადაიყვანდნენ.

**— როგორ შეიძლება ამ საკითხის მოწესრიგება, თუ გაეცანით სხვა სახელმწიფოში მოქმედ მსგავს კანონს?**

— ჩვენ შევისწავლეთ სხვა ქვეყნების გამოცდილება. იმის პრეცედენტი, რომ კომპენსაციის სანაცვლოდ ხელყო საზოგადოებისთვის საჭირო კერძო საკუთრება, არის, მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებში შეზღუდულია ფარგლები, რითიც შეიძლება სახელმწიფომ ეს გააკეთოს. 1999 წელს მიღებულ კანონში წერია, რომ თუ ტერიტორიაზე გადის გაზსადენი, ნავთობსადენი და ა. შ., ასეთ შემთხვევაში ადამიანთა კეთილდღეობისთვის შეიძლება ხელყო კერძო საკუთრება გარკვეული კომპენსაციით, ამასთან საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. მაგრამ, ცვლილებებში არის კიდევ ერთი პუნქტი, სადაც წერია, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს კერძო მესაკუთრეს ჩამოართვას ქონება, რაც მოტივირებული უნდა იქნეს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შენობა-ნაგებობების აშენებით. ეს იმდენად ფართო მცნებაა, რომ აუცილებელია კონკრეტულად გაიწეროს თუ რა იგულისხმება მასში? სწორედ ამიტომ, ჩვენ ვაპირებთ წარმოვადგინოთ ცვლილებები კანონში, რომლებიც დაარეგულირებს ამ პუნქტს, და შეზღუდავს პრეზიდენტის ასეთ ფართო უფლებებს.

**— როგორ ფიქრობთ, უმრავლესობა თქვენს ინიციატივას მხარს დაუჭერს?**

— ვფიქრობ, უმრავლესობა ამაზე წამოვა, ეს პირველ რიგში მათთვის არის უმჯობესი. კანონი მისაღები იქნება ბიზნესმენებისთვისაც. ჩვენს მოთხოვნებს ხელისუფლება, რატომღაც, პოპულიზმად აფასებს, არადა ბიზნესის სტაბილურობისათვის ამ ცვლილებების მიღება აუცილებელია.

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: თუკი მესაკუთრე არ მიდის მეორე მხარესთან შეთანხმებაზე და მხარეები სასამართლოს მიმართავენ, მაშინ ექსპერტი, რომელიც სადავო ქონებას შეაფასებს, მხოლოდ მოსამართლემ არ უნდა დანიშნოს, ის მხარეთა შეთანხმებით უნდა შეირჩეს. რადგან სადღეისოდ სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია და ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლების მხრიდან, დაკვეთის შემსრულებელი გახდება, ის ხელისუფლების მიერ დადგენილი წესებით ითამაშებს.

**— იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა ოპოზიციის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს არ გაითვალისწინებს, რამდენად მოერგება არსებული კანონპროექტი შემდგომში ბიზნესს?**

— ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, ცუდ ზეგავლენას იქონიებს ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილურობაზე. თუ ბიზნესმენი არ იგრძნობს თავს დაცულად და მუდმივად იდგება მოსალოდნელი საფრთხის წინაშე, თუ ხელისუფლება „თამაშის წესებს“ შეუცვლის, ეს მთელ რიგ პროცესებზე აისახება. ბიზნესმენი ფართის ალებისას ყოველთვის აკეთებს გათვლებს ადგილმდებარეობაზე, გარემო პირობებზე, ხალხის სიმრავლეზე, ამიტომ მისი რუსთაველიდან გლდანში გაშვება არ არის გამართლებული. ბიზნესმენებს სტაბილურობის განცდა უნდა შევუნარჩუნოთ.

ესაუბრა
**ლელა ხვადაგიანი**



◎ ინფორმაცია

## კოდორელი თოვლის პაპა თბილისში

რესპუბლიკის მოედანზე გუშინ საღამოს ვერტმფრენი დაეშვა, რომელმაც თბილისში ზემო აფხაზეთიდან თოვლის პაპა ჩამოიყვანა.

თოვლის პაპა რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა, დამდეგი ახალი წელი მიულოცა და ცისფერი კაბრიოლეტით საქართველოს პარლამენტის შენობისკენ გაემგზავრა, სადაც საახალწლო ნაძვის ხე აანთო და საჩუქრები დაარიგა.

თოვლის პაპა ახალი წლის დღეებს დროებით რეზიდენციაში, გლდანის “დისნეილენდის“ ტერიტორიაზე მდებარე სვანურ კოშკში გაატარებს. 30 დეკემბრიდან იგი თბილისის სხვადასხვა უბნებს ეწვევა და საჩუქრებს დაარიგებს.

## გურამ დუმბაძემ ხელვაჩაურის საკრებულო დატოვა

„რესპუბლიკელი“ გურამ დუმბაძე ხელვაჩაურის საკრებულოს მანდატს ტოვებს. როგორც დუმბაძე აცხადებს, მას სურვილი ჰქონდა რაიონის საკრებულოში, მაჟორიტარის სტატუსით მოხვედრილიყო და რაკი ეს ვერ შეძლო, ამიტომ იძულებულია, მანდატი დატოვოს.

დუმბაძეს საკრებულოში „რესპუბლიკელების“ საარჩევნო სიის მეორე ნომერი ავთო ბერიძე ჩაენაცვლება.

ხელვაჩაურის საკრებულოს „ნაციონალი“ წევრები აცხადებენ, რომ შესაძლებელია ოპოზიციაში განხეთქილებაც კი იყოს, რადგან გურამ დუმბაძე ოპოზიციური გამოსვლებით ბოლო დროს არ გამოირჩეოდა. შესაძლოა „რესპუბლიკლებმა“ ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება მისი „უფრო ხმაურიანი წევრით ჩანაცვლების შესახებ“.

გუშინვე, ხელვაჩაურის საკრებულო „ნაციონალმა“ ლევან დოლიძემ თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო დატოვა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადავიდა.

ინტერპრესნიუსი

◎ თხოვნა

## შეეწიეთ პატარა გიორგის

**3 წლის გიორგის დახმარება სჭირდება. რედაქციას მომართა ინვალიდთა და მარტოხელა დედათა და ბავშვთა დახმარების არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ციცინო აფციაურმა.**

ამ ორგანიზაციის წევრის მაია წულაიას შვილი — გიორგი ჰიდროცეფალიით არის დაავადებული. მას გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრება ესაჭიროება. ბავშვს მკურნალობის თანხის მოძიებაში დაეხმარა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი.

ოჯახს არა აქვს გერმანიაში გასამგზავრებელი თანხა — 1200 დოლარი. არასამთავრობო ორგანიზაცია თხოვს ბიზნესმენებს და ქველმოქმედებს, ყველას, ვისაც შეუძლია პატარა გიორგის დახმარება, გამოეხმაურონ და შეეწიონ პატარას. ანგარიშის ნომერია: №365 103040400258, პროკრედიტბანკის გლდანის ფილიალი.

**ნატა ნიბლაძე**

● არანაირი ქმედება, გამონათქვამი, სისულელე, მამათმავლობა, სილატაკე არაფერი არაა ისე გასაოგნებელი, ვიდრე ის, თუ როგორ უდარდელად, ჰაიჰარად მსჯელობენ პარლამენტარები იმ საკითხებზე, რაზეც ერის ყოფნა-არყოფნაა დამოკიდებული



◉ „რა ენა წახდეს...“

# „დავ-სითდაუნ-დეთ“, ქართველნო და... ეროვნულ ცნობიერებაზე ვისაუბროთ

**ნებაი ურთიერთ შეაზავე და უმჯობესი დაამტკიცე“, – ამბობდა გრიგოლ ხანძთელი. სწორედ უმჯობესი „შეზავების“ უნარი გვაქვს დაკარგული ქართველებს.**

**ვინ ვიყავით, ვინა ვართ და ვინ შეიძლება გავხდეთ?.. – ეს პრობლემა მუდამ აწუხებდა ქართველს. დღეს კი ქვეყანას არა აქვს ეროვნული ცნობიერების სახელმწიფო კონცეფცია. თუმცა მსოფლიოში არ მეგულება სხვა პატარა ერი, რომელსაც უფრო დიდი სულიერი კულტურა აქვს: ჩვენი საოცარი მითოლოგიით, პოეზიით, მწერლობით ნებისმიერი ერი იამაყებდა. თუნდაც ის რად ღირს, კოსმოსურ სივრცეში ქართული „ჩაკრულო“ რომ „გაისმის“...**

დაბინძურებული ცნობიერების გაჯანსაღებას თაობები არ ეყოფა. „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“... უპირველესი პრობლემა სწორედ ესაა. ჩვენი იდეოლოგიაა, ილია ჭავჭავაძისეული „ენა, მამული, სარწმუნოება“, აი, ასეთი იდეოლოგია გვჭირდება.

ქართული ენა არასდროს ყოფილა ისე დამცრობილი, როგორიც დღესაა – შეურაცხყოფილი, პატივაყრილი, დამახინჯებული, ჟარგონული... თინეიჯერები (ვითომ, სიტყვა მოზარდი არ გვქონდესძ, ხშირად ინგლისურსაც ამახინჯებენ და ქართულსაც – „მოდი, ვისითდაუნოთ“ (ჩამოვჯდეთ, დავსხდეთძ.

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვიღაცა ქართული ენის გეგმაზომიერი დამახინჯებით ქართულ ცნობიერებას ამახინჯებს. ცდილობს დაგვავიწყოს, ვისი გორისანი ვართ. ეროვნული ცნობიერების, ყოველგვარი ზნეობრივის, ინტელექტუალურის გადაგვარება სწორედ იმას გვისპობს, რითაც ერი არსებობს.

თავაშვებულობამ და არასწორად გაგებულმა თავისუფლებამ 200 ათასზე მეტი ვაჟი და 20 ათასზე მეტი გოგონა გაგვინარკომანა. ამას პატარა ერი კი არა, დიდიც ვერ გაუძლებდა... მოდაში შემოვიდა „ცისფერობაც“. მათთვის კლუბებიც გაიხსნა. „ცისფერი“ ვერასდროს იტყვის, – „ქართველო, ხელი ხმალს იკარო“... ეგენი არ არიან აფხაზეთისა და შიდა ქართლის დამბრუნებლები. შესანიშნავი ახალგაზრდობა გვეცლება ხელიდან.

ზოგი საზღვარგარეთ მიდის... ზოგსაც უცხოელებზე აშვილებენ. ისინი ოჯახურ, ეროვნულ ტრადიციებს კარგავენ.... სხვა ქვეყნების ტრადიციებზე იზრდებიან, ყალიბდებიან და სამშობლოში დაგლახავებულნი ბრუნდებიან (ისიც, თუ დაბრუნდნენძ, მათი წასვლა ლეკიანობაზე უარესია...

კატასტროფულად შემცირდა მშობიარობა. საქართველოში 300 ათასი ბავშვი და 700 ათასი პენსიონერია. ახალგაზრდების უმრავლესობას მატერიალურად ისე უჭირს, რომ არ ოჯახდებიან. ვინც ოჯახდება, უფულობის გამო შვილებს ვერ აჩენს... იმატა სიკვდილიანობამ.

ბავშვებს ცნობიერება უმახინჯდებათ. „ამას წინათ წიგნი ვნახე, სადაც ეწერა: „მარნეული ბოლშოი პრომიშლენნო-ხოზაისტვენნი გოროდ აზერბაიჯანა“ – მითხრა დმანისში მცხოვრებმა ნაცნობმა. – ამაზე რომ ბავშვი გაიზრდება, მერე მას ვერ გადაარწმუნებ, რომ მარნეული აზერბაიჯანში არ არის...



თუ ადრე წერა-კითხვას იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის „აი-ია“-თი ვსწავლობდით, ახლა ქართული საგანმანათლებლო სისტემა პირველკლასელებს პირველ სიტყვებად – „მაია“-ს, „მაიას მამა“-სა და „მიმი“-ს სთავაზობს.

საქართველოში სახელმწიფო ენა არაა პრიორიტეტული. პრიორიტეტულად ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნა მიიჩნევა. რაც ეროვნული ცნობიერების ზურგში ჩაცემული კიდევ ერთი მახვილია. ოჯახებიდან გასული ქართველი ქალები „ბაზრის“ ქალებად არიან გადაქცეული. ისინი ბავშვების სულიერად აღზრდაზე ვერასდროს იზრუნებენ, რადგან მათი ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვიან. რაც უნდა იძახოს ჩვენმა მთავრობამ, ყველაფერი კარგად არისო, ეს მწარე რეალობაა და მას ვერსად გავექცევით.

ქართველებს ფულის დაგროვების ფსიქოზი არასდროს გვჭირდა. ახლა კი სხვაგვარადაა. გაფეტიშდა ფული. მდიდარი ხალხი ძველად ქველმოქმედი იყო.

დავით სარაჯიშვილმა ღარიბ ბავშვებს სტიპენდიები დაუნიშნა, ნიჭიერი ახალგაზრდები სასწავლებლად საზღვარგარეთ გაუშვა. დავით სარაჯიშვილმა მეფის რუსეთის მთავრობისგან აილო ერთ-ერთ სოფელში ქართული კლასის გახსნის ნებართვა. თუმცა, მის შევსებას ორი მოწაფელა აკლდა. მან თავისი ორი შვილი ქალაქიდან ამ კლასში გადაიყვანა სასწავლებლად და ასე გადაარჩინა ქართული კლასი დახურვას. საქართველო წარმოუდგენელია დიმიტრი არაყიშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, ია ეკალაძის, მოსე თოიძის, გრიგოლ გაბაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, ვანო სარაჯიშვილის, ვანო ქაშაყაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, სარგი კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას, კალისტრატე ცინცაძის, ექვთიმე თაყაიშვილის... სახელების გარეშე.

დღეს კი უამრავ ბავშვს ტროტუარებსა და ნაგვის ბუნკერებთან სძინავს და არავინაა ისეთი, ვინც მათ ხელს გაუწვდის.

არანაირი ქმედება, გამონათქვამი, სისულელე, მამათმავლობა, სილატაკე არაფერი არაა ისე გასაოგნებელი, ვიდრე ის, თუ როგორ უდარდელად, ჰაიჰარად მსჯელობენ პარლამენტარები იმ საკითხებზე, რაზეც ერის ყოფნა-არყოფნაა დამოკიდებული.

მსოფლიოში ხორბლის 16 უძველესი ჯიშია. მათგან – 6 ქართულია. ჩემს ბავშვობაში, ბებია დოლის პურს აცხობდა. ყოველთვის მეგონა, რომ ის მხოლოდ საჭმელად იყო გემრიელი. თურმე, სხვა თვისებებიც ჰქონია: საქართველოს მტერი რომ შემოესეოდა, პურის ყანას მიწასთან ასწორებდა, რომ გახიზნული მოსახლეობისთვის საარსებო მოესპო. მობრუნებულ გლეხობას მიწიდან აღმდგარი თავთავები ხვდებოდა. დოლის პური ერთადერთი ჯიშია მსოფლიოში, რომელსაც ეს თვისება აქვს...

**ჩვენც წამოვდგებით, აუცილებლად აღვდგებით, ოღონდ, საამისოდ ერთიანი ნება, ეროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნებულ-ამოზრდილი ნება იყოს...**

**ოლღა ცისკარიშვილი**

№ 256. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

◉ აქტუალური თემა

# რა დროს სუბსიდიებია?

**პარლამენტში ხვალისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის პროექტის განხილვა 29 დეკემბრისთვის გადაიდო. მიზეზად ბუნებრივი გაზის საკითხი სახელდება. ჯერჯერობით უცნობია, რამდენით გაიზრდება ტარიფი და სხვაობის რამდენ პროცენტს დაფარავს ბიუჯეტი, ანუ რა სახის ცვლილებები შევა ბიუჯეტში.**

შეგახსენებთ, შაჰ-დენიზის საბადოდან ბუნებრივი გაზის პირველი ნაკადი საქართველოში 20 დეკემბერს უნდა შემოსულიყო, მაგრამ ჭაბურღილთან დაკავშირებული პრობლემების გამო გარკვეული პერიოდი გაზის მიღება შაჰ-დენიზის ნაცვლად რუსეთიდან მოგვიწევს.

როგორც ცნობილია, ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ამ დღეებში პარლამენტის თავმჯდომარესთან და ფრაქციების თავმჯდომარეებთან კონსულტაციები გამართა, მაგრამ ნოღაიდელმა ოპოზიციის გული ვერ მოიგო.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ რუსეთმა მაინც გვაიძულა, გვეყიდა გაზი 235 დოლარად, ანუ უფრო ძვირად, ვიდრე თავიდან იყო საუბარი.

**– „რამდენ ხანს გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა, რამდენად აისახება ეს მოსახლეობაზე, ჯერჯერობით ამაზე პრემიერს პასუხი არა აქვს. ჩვენი მოთხოვნაა, რომ რახან ეს არის, ასე ვთქვათ, „ფორსმაჟორი“ და არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი, ყველა ვარიანტში ამ რამდენიმე თვის განმავლობაში კომპენსაცია მოხდეს ბიუჯეტიდან და ეს არ აისახოს მოსახლეობაზე, არ აისახოს გაზის და ელექტროენერგიის ტარიფებზე“, – აცხადებს მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი დავით გამყრელიძე.**

საპარლამენტო უმრავლესობაში ჯერჯერობით მხოლოდ იმედებს იძლევიან, იმაზე კი, თუ რა სახის ცვლილებები შევა ბიუჯეტში, უმრავლესობის წევრები არ საუბრობენ. დარწმუნებით მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოს პრობლემა არ შეექმნება და გაზი ყველა შემთხვევაში გვექნება. სუბსიდიებზე საუბარი კი უმრავლესობის წევრებს ნაადრევად და, როგორც ჩანს, არცთუ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

**მზია გელენავა**

◉ ინფორმაცია

## ექვმიტანილნი დააკავეს...

**შს სამინისტრომ ლადო გუდიაშვილის ნახატი ამოიღო.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს პრესსამსახურში განუცხადეს, შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებისას, პარლამენტარ გიგა ბოკერიას მამის ლევან ბოკერიას ბინის ქურდობაში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს.**

**ქურდობაში ეჭვმიტანილები არიან: 40 წლის ბესიკ შუბითიძე, 35 წლის დავით შაროიანი და 30 წლის შალვა ფანჩვიძე.**

## მოსახლეობა ელექტრომატარებლების გაუქმებას აპროტესტებს

**შიდა ქართლის მოსახლეობა რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ეზუგბაიას წინააღმდეგ საპროტესტო აქციების მოწყობით იმუქრება.**

**როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრში“ განაცხადეს, ორგანიზაციას კასპისა და გორის მოსახლეობამ დახმარების თხოვნით მიმართა.**

**„მოსახლეობა ელექტრომატარებლების მასობრივად გაუქმების გამო შეშფოთებას გამოთქვამს. რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის ბრძანების საფუძველზე, გორი-ნიქოზის, გორი-ბორჯომის და გორი-ხაშურის დღის რეისები გაუქმდა. მთელი დღის განმავლობაში შიდა ქართლელებისთვის მხოლოდ ერთი ე.წ. „ელექტრიჩკა“ მოძრაობს, რომელიც მგზავრთა გადაადგილებისთვის საკმარისი არ არის“,-აცხადებენ ორგანიზაციაში.**

**გორის რაიონის სოფლების მოსახლეობამ ჯერ კიდევ ზაფხულში, ელექტრომატარებლების გაუქმების წინააღმდეგ ხელმოწერები შეაგროვა, რომელიც რკინიგზის ხელმძღვანელობას და მხარის ადმინისტრაციას დაეგზავნა.**

**კასპის მცხოვრებლების ინფორმაციით, იმ ელექტრომატარებლების უმრავლესობა, რომლებიც რეისებს ამჟამად ასრულებენ, სწრაფმავალ რეჟიმზე გადაიყვანეს და ისინიც მხოლოდ ბოლო პუნქტთან ჩერდებიან.**

## რუსი ოფიცრები მუშაობას ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზაზე გააგრძელებენ

**ბათუმში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების მე-12 სამხედრო ბაზაზე, ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბის ოფიცერთა ჯგუფი ჩავიდა.**

**რუს ოფიცრებს კომენტარები არ გაუკეთებიათ. ყოფილი, ე.წ. „გეერვეზეს“ 50-მდე ოფიცერი მუშაობას დროებით, მე-12 სამხედრო ბაზის შტაბში გააგრძელებს. ისინი ბათუმიდან სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესს გააკონტროლებენ.**




**ინტერპრესნიუსი**

● ნუთუ თბილისის მერიის ყველა თანამშრომელი ქალაქის ისეთ მყუდრო უბანში ცხოვრობს, რომ დღემდე არ უგრძნია ჩვენი ღამის დედაქალაქის ეს სატკივარი?



◉ გუშინდელი ფოსტიდან

# რაღა ჩვენი ღამის დედაქალაქი და რაღა ტაბაკონა, ანუ ეშმაკთა საჯირითო...

## ჯირი დანახული ჯობს

დღეს რომ ავტოტრანსპორტი თავსატეხ და თავსამტვრევ პრობლემად იქცა და თანდათან თავში საცემიც გაგვიხდება, ყველასთვის აშკარაა. რაც ქალაქში დღისით ხდება, ესეც ყველამ კარგად იცის. ის კი არა, ამ თვალსაზრისით, უკვე ქალაქური ფოლკლორიც გაჩნდა:

იმ გზობას და ამ გზობას
ქალაქსა სჭირს ყაზზობა...

ქალაქის ქუჩები მთელი დღის განმავლობაში ისეა გადაჭედილი, რომ ხშირად მოძრაობა შეუძლებელი ხდება. თუ სადმე გეჩქარება, ფეხით უფრო მალე მიხვალ, ვიდრე მანქანით. როგორც ვიცი, მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში კარგა ხანია ფიქრობენ ამ პრობლემაზე და ბევრგან მეტ-ნაკლებად მოაგვარეს კიდეც შესაძლებლობის ფარგლებში. ჩვენ, რასაკვირველია, აქაც მაჩანჩალები ვართ. მიმბაძველობაში, მართალია, ჩვენი მჯობნი ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ ამ საქმეში რატომღაც ვაგვიანებთ, ეტყობა, მიმბაძველთა პარტიის ჩამოყალიბებას ველოდებით, რომელიც ქალაქის მერიის ყურამდე მიიტანს ამ პრობლემის სიმწვავეს.

ეს რაც დღისით ხდება და რაც ყველამ ვიცით. მაგრამ თქვენ ღამით უნდა ნახოთ, რა დღეშია ჩვენი მარად მღვიძარე დედაქალაქი, სადაც შუაღამიდან გათენებამდე ავტოტრანსპორტის განუწყვეტელი დოღი და ჯირითია და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არცვის არ სძინავს ღამის პატრულის გარდა, რომლის ყოფნაც ამ დროს იქნებ ყველაზე მეტად საჭიროა, ვინაიდან ჩვენში ამ ბოლო დროს აგრერიგად მომრავლებული რესტორნებიდან გამოსულ კარგა გვარიანად ნასვამ მძღოლებს მიწა ქალამნად და ცა ქუდად კი არა, საერთოდ არაფერი აღარაფრად მიაჩნიათ, და ნამდვილად აკლებულია ქალაქი.

ზოგადი ლაპარაკი რომ არ გამომივიდეს, მაგალითისთვის პეკინის თუ გამსახურდიას (დღემდე ვერ დადგინდა სახელი!) გამზირს დავასახელებ, სადაც ნამდვილად აუტანელი გახდა ცხოვრება. მარტო ტრანსპორტის ხმაურს კიდევ გაუძლებდა ადამიანი, მაგრამ, როგორც წესი, შუაღამის შემდეგ იწყება მშვენებარე „აჭარის" სასტუმროდან რესპუბლიკური არქივის შენობამდე გაბმული სიგნალებით მოძრაობა. და არა ხანდახან, არამედ ყოველღამე უკლებლივ.



გუშინღამ, მაგალითად, საბურთალოს ქუჩაზე, სახანძროს პირდაპირ, ორი შავი „მერსედესი" დასდევდა ერთმანეთს, და გათენებამდე იყო გაუთავებელი ღრჭიალი ასევე გაუთავებელი პიპინის თანხლებით. ქუჩის ორსავე მხარეს მთელი მოსახლეობა გარეთ იყო გამოფენილი — აივნებზე, ფანჯრებთან. ბევრმა ბევრიც ვრეკეთ პოლიციაში, მაგრამ როგორც თქვენ არ მოსულხართ, ისე იქ პოლიციელი თუ პატრული არ გამოჩენილა. თანაც, სხვა არა იყოს რა, ეს ადგილი გზაჯვარედინია, და პოლიციელის აქ მუდამ დგომა, ალბათ, აუცილებელია.

ერთი სიტყვით, მე ჩემი უბნის მაგალითზე შემიძლია თქმა, რომ, ეტყობა, მთელ ჩვენს ქალაქში ასეთი საშინელება ტრიალებს, უფრო სწორად, ღამის თბილისი ნამდვილ ტაბაკონას თუ ბრუტსაბძელას ემგვანება — სადაც თითქოს საჯირითოდ თავს იყრიან კუდიანები და ეშმაკები, რათა მოსვენება დაუკარგონ ისედაც ათასგვარი შეჭირვებისგან ძილგამფრთხალ თბილისელებს.

ბევრგან არა, მაგრამ ნიუ-იორკსა და მეხიკოში კი ვყოფილვარ — მსოფლიოს ამ ორ უდიდეს ქალაქში, და ასეთი რამ იქაც არ მინახავს. ჯერ ერთი, ღამის ათი საათიდან ისინი თითქოს „კვდებიან" — ერთბაშად იძინებენ, მეორეც, გათავხედებულ მძღოლს იქ ვინ მისცემს იმის უფლებას, რომ სიგნალჩართულმა იჯირითოს მძინარე ქალაქში?!

ნუთუ თბილისის მერიის ყველა თანამშრომელი ქალაქის ისეთ მყუდრო უბანში ცხოვრობს, რომ დღემდე არ უგრძნია ჩვენი ღამის დედაქალაქის ეს სატკივარი?

ნუთუ ჩვენს პოლიციას, რომელიც ჩვენი მწირი ჯიბიდან იღებს კარგა გვარიან მაღალ ხელფასს, მაინცდამაინც იმ დროს უნდა ეძინოს, როცა ქალაქში დღისით გამოძინებულ, უაზროდ და უსაქმურად მოთარეშე ადამიანთაგან შელონებულ თბილისელთ თითქმის მთელი ღამე ძილი არ ეკარება?!

**ბიძინა ძლიერიშვილი,**
თბილისი, პეკინის (კ. გამსახურდიას) გამზირი.

◉ ვითარება

*ჩვენს მკითხველებს წინასწარ უნდა მოვუხადო ბოდიში, რომ ამ ჩემი არცთუ ზოგადსაკაცობრიო საგზაო ჩანაწერების სათაური დიდ ილიას დავესესხე, მაგრამ რა ვქნა — ჩვენს თავისუფლებადაყუდნებულ ქვეყანასა თუ მის დედაქალაქში, ქუჩაში გამოსულს იმდენი უცნაურობა გვხვდება, რომ უიმედო მელოტსაც კი თმები ყალყზე დაუდგება. ზოგიერთს, შესაძლოა, ჩემი თვალით დანახული ნაკლოვანებები წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ალმა-ალმა მიმავალი ქვეყნისა თუ ხალხისთვის წვრილმანიც, როგორც წესი, ზოგჯერ მსხვილმანად იქცევა ხოლმე.*

# „მგზავრის წუხილები"

### სად გეძებო, სად გიპოვო, მოყვარევ?!

გახსოვთ, ალბათ, ერთი პოპულარული სიმღერა:

**„აბა, თბილისს ისე**
**როგორ მოვიარ,**
**შენი ქუჩა თუ**
**არ მოვინახულე?"**

კი, მაგრამ მიაგნებს კი ჩვენი ქალაქის მესვეურთა გადამკიდე თავისი გულისვარდის ქუჩას? თანაც, თუ დედაქალაქში ჩამოსვლა ოდნავ შეაგვიანდა?

ჩვენმა მამებმა კი არა, შესაძლოა, პაპებმაც კი იცოდნენ, თუ სად იყო ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის ქუჩა. აგერ აქ, ვერაზე, რუსთაველის ძეგლის გვერდით აღმართზე ლებულობდა სათავეს და სადღაც ბარნოვის ქუჩის შესაყარზე მთავრდებოდა. ახლა ის მტკვრის გადაღმა, ყოფილ კალინინის ქუჩის ადგილას უნდა ვეძებოთ. ყოფილ ჯავახიშვილის ქუჩას კი ახლა მიხეილ ზანდუკელის სახელი ჰქვია. ჩვენს ცნობილ ლიტერატურათმცოდნე ბატონ მიხეილთან სადავო რა გვაქვს? ის ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქუჩაზე ცხოვრობდა, პირველი აიმაღლებდა ხმას ასეთი უაზრო ადგილმონაცვლეობის წინააღმდეგ.

ისიც საკითხავია, რატომ „გადაასახლეს" დავით გურამიშვილი ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი მაგისტრალიდან თემქა-გლდანისკენ, ალბათ ის უფრო ახლოა ლამისყანასთან, საიდანაც დიდი პოეტი ახალგაზრდობაში გაიტაცეს? ან „მოჩხუბარიძე" — ყაზბეგი ვერის უბნიდან რატომ გაამწესეს საბურთალოზე დიდი ფიზიოლოგიის პავლოვის მონაცვლედ? ასეთი მაგალითი უამრავია, მაგრამ...

შეიძლება, შემოგვედავონ ქალაქის თავი და მისი ერთგული თანამებრძოლები — ჩვენ რას გვაბრალებ, ეს ხომ ჩვენს ვარდ-ყვავილოვან რევოლუციამდე მოხდაო. მართალი ბრძანდებით, თუმცა ამის გამო არც მათ წინამორბედებს აკლებენ სამსახურთ — „სიყვარულის ახსნას" თბილისელებიც და დედაქალაქის სტუმრებიც.

იმის ნაცვლად, რომ მათი შეცდომები გამოგესწორებინათ, თქვენიც დაუმატეთ და „პირზესაკოცნელთა" მარაქაში გაერიეთ.

აბა, გვითხარით, რატომ შემოსწყერით სახელოვან ქართველ მხედართუფროსს, მის ასაკში (44 წლისა გარდაიცვალა!) თითებზე ჩამოსათვლელთაგან ერთ-ერთ გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძეს? იმიტომ ხომ არა, წითელ არმიაში რომ მსახურობდა, ანდა იმიტომ, რომ თავის თანამებრძოლებთან ერთად კლდე-კარად აღიმართა საქართველოს მისადგომებთან და ფაშისტები არ შემოუშვა სამშობლოში? რაო, ლესელიძე რუსეთის ინტერესებს იცავდა? მაშინ რა ვუყოთ პეტრე ბაგრატიონს, რუსეთის პირველი სამამულო ომის გმირს, თბილისში ძეგლი რომ ავუგეთ? ძეგლი სასწრაფოდ ხომ არ ავიღოთ და ერეკლე მეფეც ხომ არ მივაყოლოთ გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერისა და რუსეთის მფარველობის მოპოვებისთვის?

და კიდევ, ხომ არ დაგვავიწყდათ, რომ თბილისში არის საბჭოთა კავშირის გმირების ბაქრაძის, ზენდელიანის, ბუხაიძის, გამცემლიძის, გახოკიძის, მოსულიშვილის, ნანეიშვილის, სხულუხიას, ჩანჩიბაძის, ჩერელაშვილის, წურწუმიას, ჯაბიძის, ჯანჯღავას (მაპატიოს მათმა ნათელმა ხსოვნამ, თუ რომელიმე გამომრჩა) და კიდევ მარშალ არჩილ გელოვანის, ანაპის დივიზიის, სამამულო ომის გმირების სახელობის ქუჩები?

მოდით, სასწრაფოდ გამოუცვალეთ სახელები, სამაგიეროდ დატოვეთ ზეინკლის, ზიგზაგის, აბანოს, მიტინგის, ტრაქტორის, ტრიკოტაჟის, შუშის, ჩარხის, ხაზინისა და ბევრი მისთანა სახელწოდებები.

რაც შეეხება „დიდი მოურავის" ავტორის ანა ანტონოვსკაიას ქუჩისთვის გამოჩენილი ქართველი მწერლის რეზო ინანიშვილის სახელის მინიჭებას. შეგახსენებთ, რომ მისი სახელი უკვე მინიჭებული აქვს ნაძალადევში, ძმობის პირველ ქუჩას და ეს შესულია უამრავ ოფიციალურ დოკუმენტსა თუ გზამკვლევში, ხოლო ახლა ვითომდა ქართული მხატვრული სიტყვის სახელოვანი ოსტატის 80 წლისთავთან დაკავშირებით მისი „გადაბარგება" საბურთალოზე, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ მწერალი სიცოცხლეში იქ ცხოვრობდაო, გაუმართლებლად მოჩანს.

ყველაფერი და ყოველთვის ასე რომ წყდებოდეს, მაშინ რა დავარქვათ დიღმის მასივში მეგობრობის პროსპექტი გრიგოლ რობაქიძის სახელით რომ „გადანათლეს", გადახვეწილ დიდებულ მწერალს წარმოდგენაც კი არ ჰქონია თბილისის ამ ახალ უბანზე?

და ბოლოს, ალბათ საკითხავია, ჯერ რატომ დაარქვეს და მერე რატომ გადაარქვეს დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელი პეკინის ქუჩას, ახლა ასე სადავო რომ გახდა?

ერთიც: ნეტავ რას დაარქმევენ ყოფილი მელაანის ქუჩას, ჯორჯ ბუში ამერიკის პრეზიდენტი რომ აღარ იქნება?!

### „თხა გავყიდე, თხა ვიყიდე"...

**დიახ, ამ ქართული ანდაზისა არ იყოს, განა მარტო თბილისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსის ზურაბ ჩიკვილაძის „გადადგომა" უშველიდა დიღმის მასივის მცხოვრებთა გაჭირვებას! ჩვენს გაზეთშიც და სხვაგანაც არაერთხელ დაიწერა, ტელევიზიითაც გადაიცა, დიღმის მასივიდან დედაქალაქის ცენტრში, ფილარმონიასთან ან რუსთაველის პროსპექტზე მოხვედრა ძალიან ძნელია, რადგან დიღმის ბაზრის სიახლოვიდან დანიშნული 46-ე მარშრუტის პატარა იაპონურ-უკრაინული ავტობუსები ჩიკვილაძის თუ მერიის დანაპირებ „კომფორტს" ვერ უზრუნველყოფსო. და რომ საჭირო იყო ახალი მარშრუტის დანიშვნა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ამ პატარა მანქანების თუნდაც ჰოლანდიიდან ჩამოტანილი „სანდრაბუსებით" შეეცვალათ, ისევე, როგორც მე-14 მარშრუტზე შეცვალეს. ჩვენ კი ვწერდით, მაგრამ, „გაზეთის მოძულე" პრეზიდენტის ავტოჩინოვნიკები როდი კითხულობდნენ და სათანადო ზომებს ღებულობდნენ?**

ერთხელ ისიც ვთქვით, — თუკი რომელიმე ახალ მარშრუტს დანიშნავენ, მაინცდამაინც ვაკეში ნუ წავა, რადგან იქ უკვე დადის 21-ე მარშრუტის მანქანებიო. მერე ვინ შეისმინა? დანიშნეს ახალი უფროსიც და ახალი მარშრუტიც — 64, რომელიც ისევ და ისევ „პრესტიჟულ" ვაკეში დადის, ასევეა ახალი 51-ე მარშრუტიც, დიღმის მასივის გავლით, ისევ ვაკეში რომ მიდის.

სწორედ ამას ჰქვია — წერე და იკითხეო.

### ავტოდოღი ტროტუარებზე

**აბა, აუგს როგორ ვიტყვით ქალაქის მესვეურების დიდ გარჯაზე პრეზიდენტის დავალების — გზები და ისევ გზები — შესასრულებლად, მაგრამ განა აუცილებელი იყო ამ საშვილიშვილო მითითებაში ჩაწერილიყო კიდევ ერთი სიტყვა „ტროტუარებიც". არადა, ამ კეთილი საქმის მკეთებლებს ნამდვილად დაავიწყდათ, რომ ქუჩების გასწვრივ ტროტუარებიც არსებობს, ეს განსაკუთრებით ითქმის დიღმის მასივში, რობაქიძის პროსპექტზე არსებულ ტროტუარებზე, რომლებიც ავტომანქანათა საჯირითოდ თუ სადგომად უქცევიათ.**

დიახ, სურსათით, მედიკამენტებით თუ პურ-ფუნთუშეულით მძიმედ დატვირთულ მანქანებს ველარ უძლებს თავიდანვე არც თუ კეთილსინდისიერად მოწყობილი ტროტუარების საფარი — უამრავ ორმოდ, გუბედ და ტალახის ბუდედ რომ ქცეულა. განსაკუთრებით სახიფათოა იქ არსებულ პოლიციის განყოფილებასთან, სუპერმარკეტ „პოპულთან" გავლა, სადაც ფილაქანი ისეა დამსხვრეული, რომ ფეხის დადგმაც კი სახიფათოა, ტალახიანი წყალი შემოგესხმება, ასევეა მის გადასწვრივ მდებარე ტროტუარზეც.

ტალახმა გამახსენა, დიღმის მასივიდან არცთუ შორს, შოთა შალიკაშვილის სახელობის ხიდით (?!) მეტრო „დიდუბესკენ" წასული კაცი გვერდს ვერ აუქცევს ვერც ავტობუსების ცენტრალურ სადგურს და ვერც ავტოსადგურ „ოკრიბას". ვერ აუქცევს და კარგადაც ამოისვრება ამ სადგურებს შორის გზის მოკლე, მაგრამ ოღრო-ჩოღრო მონაკვეთზე. აქ მზიან ამინდშიც კი ფეხდაუსვრელი ვერ გაივლით, ხოლო თუ წუმპე-ტალახით სავსე ორმოში მოდგაფუნე მანქანებიც „დაგეხმარებიან", ამოწუწულ-ამოსვრილს გზის გაგრძელებაც გაგიჭირდებათ. ნეტავ ამ ავტოსადგურების მესვეურები ისევე ეჯიბრებოდნენ გზის ამ პატარა მონაკვეთის კეთილმოწყობაში, თუნდაც სათანადოდ მოასფალტებაში, როგორც „ეჯიბრებიან" თავიანთი მარშრუტების განრიგების, რაც შეიძლება, ხმამაღლა გამოცხადებაში. ეს დალოცვილები, როგორმე იმაში მაინც შეთანხმდნენ, თუ ვინ როდის უნდა გამოაცხადოს მორიგი ავტობუსის ან სამარშრუტო ტაქსის გასვლა. არადა ნამდვილი კაკაფონია გამოდის, თან ამას იქვე მახლობლად, მეტროს შესასვლელთან არსებული ავტოსადგურის რადიო და უამრავი „მუსიკალური სალონიც" თუ შეეხმაურა.

**ვალიკო სიმონიშვილი**

№ 256. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

ჩვენ

● ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის თაყვანისმცემლებმა ნამდვილად უნდა იჩქარონ „მნათობის“ ამ ნომრის შესაძენად, რადგან ტირაჟი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალიან მცირეა



◎ ჟურნალის ახალი ნომერი

# ილია II: „ქართული მწერლობა იყო, არის და იქნება ერის წინამძღოლი, მაგრამ, ამავე დროს, ის არის და მომავალშიც უნდა იყოს წინასწარმეტყველიც...

## გამოვიდა განახლებული „მნათობის“ ამ წლის ბოლო, მესამე ნომერი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამას წინათ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდში გაიმართა განახლებული „მნათობის“ პრეზენტაცია, რასაც უამრავი ხალხი დაესწრო.

დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოუსმინა კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვა გამოქვეყნებულია „მნათობის“ ეს-ეს არის გამოსული მე-3 ნომერში:

ქალბატონებო და ბატონებო! უპირველეს ყოვლისა, ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, გილოცავთ იმას, რომ ჩვენ ერთად ვართ, ერთად ვზეიმობთ და მე მინდა ვთქვა, რომ საქართველო არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი და არ შეიძლება, წარმოუდგენელია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი დაიღუპოს. აუცილებლად გადარჩება საქართველო და აუცილებლად ნათელი მომავალი ექნება მას.

რაც შეეხება ამ ჟურნალის გამოცემას, ეს არის ჩვენი ერის სურვილი, ჩვენი ერის სულის მოთხოვნილება და ამიტომ აქ არაფერია საკვირველი. და მე მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ჟურნალის რედაქტორს, ბატონ თამაზ ჭილაძეს, რომ მე მომმართა დახმარებისათვის.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება წაიშალოს, არ შეიძლება დაეცეს მწერლობა საქართველოში. ის ჩვენს სულშია სამუდამოდ ჩანათებული. მახსენდება ერთი შემთხვევა: მიწვეული ვიყავი ეგვიპტეში, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქის მიერ. ჩავედით საკმაოდ დიდი დელეგაცია, დავათვალიერეთ ალექსანდრია, დავათვალიერეთ ქაირო და სხვა სიწმიდეები. ცნობილია ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, ალექსანდრიის სკოლა, ახლა, რა თქმა უნდა, არ არსებობს ეს ყველაფერი, მაგრამ მაინც, რაღაც საოცარი სული ტრიალებს აქ წარსული დიდების. გავიხსენოთ კლიმენტი ალექსანდრიელი და სხვა წმინდა მამები ალექსანდრიისა. მერე გავემართეთ სინას მთისკენ. ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ბრძანდებოდა თავისი დელეგაციით, მე ვიყავი საქართველოს დელეგაციით, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებიც იყვნენ. დიდ, კარგად მოწყობილ მანქანაში ვისხედით, ვსაუბრობდით, საკმაოდ დიდი გზაა ქაიროდან სინას მთამდე და, მით უმეტეს, ისეთი სიცხე იყო, რომ მანქანიდან გადმოვდიოდით 5 წუთით, არ შეგვეძლო, გავჩერებულიყავით. მე მომივიდა ასეთი აზრი, მოდი, შევეჯიბროთ, ვინ უფრო იცის თავისი პოეზია, სად უფრო მდიდარი პოეზიაა — ბერძნებში, რუსებში თუ საქართველოში-მეთქი. ორი პატრიარქი შევთანხმდით და




პირველობა, რა თქმა უნდა, ბერძნებს დავუთმეთ. ერთი მიტროპოლიტი გამოვიდა და 15 წუთი ცნობილი ავტორების ლექსებს კითხულობდა. შემდეგ რიგი დავუთმეთ რუსებს. რუსმა Однажды студённую зимную ночью, თქვა და გაჩერდა. ჩვენთან, ჩვენს დელეგაციაში ბრძანდებოდა მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე), რომელმაც მთელი „ვეფხისტყაოსანი“ და დავით გურამიშვილის პოეზია ზეპირად იცოდა, რომ დაიწყო, ნახევარი საათის მერე შევაჩერე, მეუფეო, დაამთავრეთ, თორემ უხერხულია-მეთქი.

ამით მინდა ვთქვა, პოეზია არ მოკვდება, მთელი თავისი სიმშვენიერით აღსდგება, აი, ჩინური ფილოსოფიის მიხედვით, ერისა და ადამიანის ცხოვრება შესდგება ამაღლებისაგან და დაცემისაგან. ერთხელ რომელიღაც დელეგაცია იყო ჩვენთან, მათ შორის ჩინელიც ერია, მე ვკითხე, ჩინეთს, რომელსაც გააჩნია ასეთი ბრწყინვალე ფილოსოფია, როგორ შეეძლო, მიეღო სოციალისტური იდეები-მეთქი. ასე მიპასუხა: ერის ცხოვრება შესდგება დაცემისაგან და ამაღლებისაგან და სწორედ დაცემის პერიოდი გვიდგას ჩვენო. ასე, რომ არ უნდა გვიკვირდეს „მნათობის“ გამოცემა რომ შეჩერდა. ქართველი ადამიანის გულში არასოდეს არ შეჩერდება ეს პროცესი.

მე უნდა ორიოდე სიტყვა ვთქვა საერთოდ ლიტერატურის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის შესახებ. მართლაც, ეკლესიის წიაღში დაიწყო ეს ყველაფერი. აი, თქვენ კარგად იცნობთ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას. კორნელი კეკელიძემ, მართლაც, რაღაც საოცარი შრომა გასწია, მართალია, აიძულეს, გაეხადა ანაფორა, შეეწყვიტა წირვა-ლოცვა სიონის ტაძარში, მაგრამ შინაგანად ის დარჩა ეკლესიის წიაღში. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა რომ არ ყოფილიყო, ვერ აღორძინდებოდა საერო ლიტერატურაც, რომელსაც ჩვენ თაყვანსა ვსცემთ და რომლითაც ვამაყობთ. ასე რომ მე მინდა ვთქვა, ქართული მწერლობა იყო, არის და იქნება ერის წინამძღოლი, **მაგრამ, ამავე დროს, ის არის და მომავალშიც უნდა ყოს წინასწარმეტყველიც. არ არის საკმარისი, გავაშიშვლოთ ჩვენი ჭრილობა, ჩვენი ნაკლი, მთავარი ის არის, ჩვენ უნდა ვთქვათ, რა წამალი არსებობს განკურნებისთვის.**

**ღმერთმა დაგლოცოთ, ჩვენთან არს ღმერთი!**

მაშ ასე, მკითხველს უკვე ხელთ აქვს „მნათობის“ (მთავარი რედაქტორი **თამაზ ჭილაძე**) ამ წლის ბოლო მე-3 ნომერიც, რაც თვალადსაჩენი დასტურია იმისა,რომ ქართული მხატვრული სიტყვა ცოცხალია და კვლავაც განაგრძობს ხალხისა და ქვეყნის სამსახურს.

როგორც წინა ორ ნომერში, ამ ნომერშიც ბევრ საყურადღებო რასმე გაეცნობით. კვლავ ნახავთ ჟურნალის ტრადიციულ რუბრიკებს — „პოეზია, პროზა“, „ახალი თარგმანები“, „მწერლის არქივიდან“, „ბიბლიოგრაფია“, „უცხოეთის კულტურული სიახლეები“.

მაგრამ ყველაზე საგულისყურო, ალბათ, რუბრიკა **„ახალი სახელებია“**. ამ რუბრიკით ჟურნალი აქვეყნებს ახალგაზრდა მწერლის **ზვიად კვარაცხელიას** ნოველებს და, რაც მთავარია, ახალგაზრდა მწერალს გზას ულოცავს ქართული სიტყვის დიდოსტატი **ოთარ ჭილაძე.**

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის თაყვანისმცემლებმა ნამდვილად უნდა იჩქარონ „მნათობის“ ამ ნომრის შესაძენად, რადგან ტირაჟი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალიან მცირეა.

**გურამ წიკლაური**

№ 256. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

◎ სახელოვანი თანამედროვე

# რანაირი ქართველი ხართო...

*აგროეკოსისტემების გამოჩენილ მკვლევარსა და სპეციალისტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსს ცოტნე მირცხულავას 85 წელი რომ შეუსრულდა, იუბილარი კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა ამ თარიღის აღნიშვნისა (ისე როგორც ადრინდელი „მრგვალი“ წლისთავების დროს).*

*„გაწბილებულმა“ მოწაფეებმა, შესანიშნავი მეცნიერის ნიჭისა და ღვაწლის სხვა თაყვანისმცემლებმა, ისღა მოახერხეს, რომ სრულიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მოამზადეს და გამოსცეს წიგნი „აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა. ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები“, რომელსაც მრავალი ავტორი ჰყავს ბატონი ცოტნეს თანაკლასელების, თანაკურსელების, მეგობრების, ახლობლებისა თუ კოლეგების სახით. სწორედ მათი ენა-პირით გადმოცემული მოგონებები და გახსენებები შევიდა ამ ერთობ საგულისყურო კრებულში. რასაკვირველია, ზოგიერთი ეპიზოდი მთხრობელთ სხვადასხვა დროს მოსმენილი აქვთ თვით ცოტნე მირცხულავასგან — ოღონდ ალბათ არა გამოსამზეურებლად. იმედია, დიდსულოვნად შეუნდობს გამსაჯაროებლებს...*

### „საჭიროა დახმარება“

**დიდი სამამულო ომის (1941-1945 წ.წ.) და შემდგომ პერიოდში „საქნავთობს“ ხელმძღვანელობდა განთქმული სპეციალისტი, „ნავთობის ზღვის“ საბადოების აღმომჩენი, ლენინური პრემიის ლაურეატი ალექსანდრე კამლაძე. ერთხანს მის მოადგილედ მუშაობდა ცოტნე მირცხულავა.**

ბაქოს რეალურ სასწავლებელში ალექსანდრე კამლაძე თურმე ლავრენტი ბერიასთან ერთად სწავლობდა და თუმცა იმ პერიოდის მოგონებას თავს არიდებდა, ძველ ამხანაგთან შემდგომი ერთი შეხვედრის თაობაზე მაინც უამბნია მოადგილისთვის.

ომის წლებში ა. კამლაძე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმდიდრესი საბადოს სარეწაოების უფროსად გადაიყვანეს და საწვავით არმიის შეუფერხებელი მომარაგება დაავალეს. მდგომარეობა გართულდა გერმანელთა ძლიერი შეტევის შემდეგ: გაუარესდა ფრონტის წინა ხაზების მომარაგება სარეწაოების მასალებით, მოწყობილობებითა და მარაგნაწილებით. ა.კამლაძემ არაერთხელ, მაგრამ უშედეგოდ სთხოვა დახმარება თვით ნავთობის მრეწველობის მინისტრს. საწვავით ჯარების მომარაგების უკიდურესმა შეფერხებამ სარეწაოების უფროსს დახვრეტის საშიშროება შეუქმნა და ლ. ბერიასათვის სასოწარკვეთილი დეპეშის გაგზავნა გადააწყვეტინა (რომელსაც, როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ნავთობ-ენერგეტიკული სექტორის ხელმძღვანელობა ევალებოდა).

ალექსანდრემ მხოლოდ მე-9 დღეს მიიღო გამოძახება და ვაივაგლახით ჩააღწია მოსკოვში. ლ. ბერიას მისაღებში ცდისას შენიშნა, რომ იქ თავი მოიყარეს პოლიტბიუროს წევრებმა. მორიგე გენერალმა ყველა მიიწვია შეფის კაბინეტში. ლ. ბერია შემოვიდა, საერთო სალამი დააგდო, მერე მივიდა ძველ ამხანაგთან და უთხრა: „Садись, Саша“; მერე დანარჩენებს მიუბრუნდა: „Товарищи, надо помочь“, მადლობა გადაუხადა და დაითხოვა. ეს იყო და ეს — თათბირი დამთავრდა...

ფრონტების მომარაგება ძალიან მალე რადიკალურად გამოსწორდა...

### ცოტნე მირცხულავა – „მეკვლე“

**მოსკოვში მივლინებით მყოფ ბატონ ცოტნეს სასტუმრო „მოსკოვის“ ვესტიბიულში კოლეგა შუქრი ბურჭულაძე შეხვდა, მაშინ თბილისში „ტნისგეის“ ლაბორატორიის გამგე. ის თავის ვაჟს, პაატას აცილებდა მილანში, სახელგანთქმულ „ლა-სკალას“ საოპერო თეატრში სტაჟირებაზე და ფეხბედნიერ პიროვნებას ეძებდა გზის დასალოცად.**

ცოტნე მირცხულავამ მოსკოვში შუქრი ბურჭულაძის ჩასვლის მიზანი რომ შეიტყო, უმალ საკუთარი თავი შესთავაზა „მეკვლედ“. არც შემცდარა — ყველამ ვიცით, თუ როგორი ბანი დადგა პაატა ბურჭულაძე და რა პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში.

### ქართველობაში ეჭვის შეტანა

**ერთ წელიწადს ბატონი ცოტნე ხანგრძლივად იყო მივლინებული მოსკოვში, საკავშირო საგეგმო კომიტეტში, სადაც ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და საპასუხისმგებლო კომისიის თავმჯდომარედ მიიწვიეს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური სქემის შესადგენად.**

კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო უწყებების წარმომადგენლები—მეცნიერები. არაერთი მათგანი დაუდევრად ეკიდებოდა თავის მოვალეობას და დღის განმავლობაში ხშირად სტოვებდა სამუშაოს, საქმე კი თავსაყრელი იყო. ცოტნე მირცხულავამ სპეციალური საშვი გამოითხოვა დილით ადრე მისასვლელად და მარტო თავისი კი არა, სხვისი გასაკეთებელი საქმის კეთებაც დაიწყო.

გაოცებულ მოსკოველებს, როცა ეს გარემოება შეუმჩნევიათ, ეჭვი შეუტანიათ ბატონი ცოტნეს ქართულ წარმოშობაში, ებრაული სისხლის მატარებელი ჰგონებიათ და უკითხავთ კიდევაც: წინა თაობებში დედა ან სხვა ვინმე ებრაელი ხომ არ გყავდათ, რადგან თქვენი სახით პირველად ვხედავთ ქართველს, რომელიც თავადვე მუშაობს და ხელქვეითს არ ამუშავებსო.

ცოტნე მირცხულავა იძულებული გამხდარა აეხსნა, რომ „წვეთი სისხლიც არ არის მასში არაქართული“ და, უბრალოდ, შრომისა და მოვალეობის ერთგულება ცხოვრების კრედოდ აქვს გამხდარი...

მოამზადა
**თამაზ ეზანოიძე**

● წინასწარ ვიცი, რომ ნოლაიდელი და ბენდუქიძე ჩემს პროექტს არ დაეთანხმებიან, რადგან ისინი სხვა ქვეყნების მსახურნი არიან



№ 256. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

◎ კომპეტენტური აზრი

# „არ აგიშენებთ სამშობლოს არჩვინ"

## კანონპროექტი, რომელიც საქართველოს გადაარჩენს

**ასე ფიქრობს თავად ამ კანონპროექტის ავტორი, თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე, რომელიც რედაქციაში გვეწვია და მისთვის ჩვეული რიხით განაცხადა:**

— ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვი: ეს არის ერთგვერდიანი კანონპროექტი, რომელიც ჰაერივით სჭირდება ქვეყანას ზუსტად დღეს, როცა უმუშევრობამ წალეკა ყველაფერი და კატასტროფული ტემპით მიმდინარეობს ხალხის პროლეტარიზაცია. თუ რა შედეგით მთავრდება ეს პროცესი, ისტორიულად ცნობილია.

მივმართავ ხელისუფლებას: გინდათ პროლეტარული რევოლუცია? კი ბატონო, გააგრძელეთ ასე და თქვენ 2-3 წელიწადში აუცილებლად მიიღებთ ამ რევოლუციას. თუ არ გინდათ რევოლუცია, მიიღეთ ეს კანონპროექტი და გადარჩებით დავიდარაბას.

**— კი მაგრამ, რას იძლევა ასეთს ეს თქვენი კანონპროექტი?**

— სამრეწველო ბიზნესის დაწყებისა და თანდათანობით კერძო საკუთრების შექმნის უებარ პირობებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, განა უჭკუო იყო ამერიკელი მრეწველი ფორდი, როცა გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში საკუთარ ქარხანაში მუშებს უსასყიდლოდ დაურიგა აქციები? მან ამით ისინი მესაკუთრეებად აქცია, საკუთარი თავიც იხსნა და ქვეყანაც რევოლუციისგან.

ჩვენთან კი რა ხდება? ხალხს კერძო საკუთრებას ძალადობით ან რაიმე მაქინაციებით მასობრივად ართმევენ. ამას აკეთებენ სახელისუფლებო კლანები, ამავე ხელისუფლების ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით. ხალხს შიმშილით სული სძვრება და, თუ არაფერი ვიღონეთ, ეს პროცესი ქვეყნისათვის კატასტროფული მარცხით დამთავრდება.

**— ბატონო ანზორ, ყურადღებით გავეცანი თქვენს კანონპროექტს და არ შეიძლება ბევრ რამეში არ დაგეთანხმოთ. ვფიქრობ, იგი უცხოელ ინვესტორებს წაახალისებს.**

— რა თქმა უნდა. თუ გახსოვთ, ამ რამდენიმე წლის წინათ მათთვის შემოიღეს უმნიშვნელო შეღავათი: ორი წლის განმავლობაში უცხოელები იხდიდნენ მოგების გადასახადის ნახევარს. ამან დიდი სტიმული მისცა, ქვეყანას მოეძალა უცხოური ინვესტიციები. როცა ჩვენ მოვითხოვეთ, ასეთივე შეღავათი ადგილობრივ ინვესტორებზეც განხორციელებულიყო, ხელისუფლებამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — საერთოდ გააუქმა ეს შეღავათი და შედეგმაც არ დააყოვნა: შეწყდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება.

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი წარუმატებლობის შემდეგ მაინც მთავრობა ამ კანონპროექტს მხარს დაუჭერს?**

— მე არ მესმის, რატომ არ უნდა დაუჭირონ მხარი? როცა საუბარია გადასახადების რევოლუციურ შემცირებაზე და ისინი ჯერჯერობით ამაზე თავს იკავებენ, ეს ჩემთვის გასაგებია — მათ ეშინიათ ბიუჯეტის შეუსრულებლობისა, რომლის შემოსავლებზეც პასუხს აგებენ. თუმცა მათი შიში ამაოა, ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ეკონომიკური რეზერვი — 80-პროცენტიანი ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომლის გონივრული გამოყენებით ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები კი არ შემცირდება, პირიქით, მნიშვნელოვნად მოიმატებს. მთლიანი შიდა პროდუქტი 2-3 წელიწადში 300 პროცენტით გაიზრდება და ქვეყანა გიგანტურ ნახტომს გააკეთებს.



ალსანიშნავია ერთი გარემოებაც. გადასახადების ის 50-პროცენტიანი შემცირება, რაზეც ამჟამად პრესაში ზუმია ატეხილი, ჩვენი გათვლებით სულაც არ არის „რევოლუციური", რადგან ექსპერტთა მონაცემებით სადღეისოდ საგადასახადო ტვირთი ბრუნვის 56 პროცენტია და განახევრების შემდეგ გახდება 28 პროცენტი. ნოლაიდელისა და ბენდუქიძის მიერ მიღებული ახალი „რევოლუციური" საგადასახადო კოდექსი გვპირდებოდა, რომ ეს ტვირთი იქნებოდა 23-24 პროცენტი, ფაქტობრივად კი გამოვიდა 56 პროცენტი. ამ დროს, ცნობილი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ფიშერის გათვლებით, რაც საფუძვლად დაედო ჩვენს კანონპროექტს, ეკონომიკურ კრიზისში მყოფ დღევანდელ საქართველოში საგადასახადო ტვირთი არ უნდა აღემატებოდეს 15 პროცენტს.

**— მე მაინც მგონია, რომ ნოლაიდელი და ბენდუქიძე ამ კანონპროექტის წინააღმდეგი იქნებიან. ნოლაიდელმა ხომ საჯაროდ არაერთგზის განაცხადა, რომ სანამ ის მთავრობაშია, საქართველო ვერ ეღირსება ფიქსირებულ გადასახადებს. ასეთ ვითარებაში, ალბათ, საინტერესო იქნება პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩევლის მარტ ლაარის აზრი, რომელსაც ქვეყნის მეთაური ბოლო დროს აშკარა ნდობას უცხადებს.**

— მართალი ბრძანდებით, წინასწარ ვიცი, რომ ნოლაიდელი და ბენდუქიძე ჩემს პროექტს არ დაეთანხმებიან, რადგან ისინი სხვა ქვეყნების მსახურნი არიან. რაც შეეხება მარტ ლაარს, ცნობილია, რომ ესტონეთის პრემიერმინისტრობის დროს წარმატებით განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმაში, რომელსაც ესტონეთი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ელიტურ ათეულში შეიყვანა, ფიქსირებულ გადასახადებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. აქედან გამომდინარე, მისი მხარდაჭერის იმედი ნაღდად გვაქვს.

უფრო მეტსაც ვიტყვი: ახლახან თბილისში გამართულ დიდ საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე, აშშ-ში პრეზიდენტ რეიგანის მიერ შექმნილი კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა ჯონ სალივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფიქსირებული გადასახადების შემოღება ქვეყნის კრიზისული ეკონომიკიდან გამოსვლის საუკეთესო არჩევანია.

**— ბატონო ანზორ, აქვე მინდა გკითხოთ, ამჟამად, როცა საქართველოში რეალურად დადგა გაზისა და ელექტროენერგიის გაძვირების პრობლემა, შეუქმნის თუ არა ეს დაბრკოლებას ქვეყნის მეწარმეობას?**

— რა თქმა უნდა, შეუქმნის. პირველ რიგში ეს გამოიწვევს ადგილობრივი პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვან გაძვირებას, რაც კატასტროფულად იმოქმედებს ჩვენს ისედაც განადგურებულ ეკონომიკაზე. ამას ემატება საბაჟო გადასახადების გაუაზრებელი შემცირება. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როცა ვაიაფებთ სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციას და ვაძვირებთ ადგილობრივს. შედეგი ერთადერთია: დაიხურება ადგილობრივი საწარმოები და კიდევ უფრო გაიზრდება უმუშევრობა. ალბათ ძირითადად ამაზეა გათვლილი რუსეთის „გაზპრომის" შემოტევაც.

ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვრჩება — კატასტროფულად რომ არ გაგვეზარდოს ადგილობრივი პროდუქციის თვითღირებულება, სასწრაფოდ უნდა წავიდეთ გადასახადების რადიკალურ შემცირებაზე და ჩვენეული კანონპროექტის ამოქმედებაზე. დიახ, გადასახადების შემცირებით უნდა დავაბალანსოთ ენერგოშემცველების გაძვირებით გამოწვეული ადგილობრივი პროდუქციის თვითღირებულება, თუ არ გვინდა, გავახაროთ „ერთმორწმუნე" რუსეთი და ეკონომიკური კრიზისი სოციალურ აფეთქებაში გადავზარდოთ.

**ავტორს დიდი იმედი აქვს, რომ მის კანონპროექტს პარლამენტი უეჭველად განიხილავს და კანონად აქცევს. მისი აზრით, სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების იმედად ყოფნა არაფერს მოგვცემს, თუ ჩვენი ეკონომიკა ჩვენივე გარჯით არ ამოვწიეთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს პოეტის სიტყვები: „არ აგიშენებთ სამშობლოს არვინ, თუ აგიშენებთ, სამშობლოს ფასად".**

**ოთარ ხუციშვილი**

◎ სტატისტიკა

# ეროვნულმა ბანკმა ფასების მატების ტემპი შეანელა

**სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის წლიური ინფლაცია, ივლისში დაფიქსირებული 14.5-პროცენტიანი პიკის შემდეგ, თანდათანობით შემცირდა და ოქტომბერში 10.2 პროცენტით განისაზღვრა.**



როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად განაპირობებდა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მოქმედი ეგზოგენური ფაქტორები: ნავთობისა და შაქრის მსოფლიო ფასები, ფრინველის გრიპი, რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო და გაძვირებული გაზი (შესაბამისად ელექტროენერგიაც), სოფლის მეურნეობისათვის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულის მასისა და ფულის მულტიპლიკატორის შემცირებისაკენ მიმართულმა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებამ, საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ფასის კლებასთან ერთად, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ფასების მატების ტემპის შენელება უზრუნველყო.

თუ შევადარებთ ფასების ცვლილებას იმპორტირებული, ადგილობრივი და შერეული წარმოების პროდუქტებზე, წლის განმავლობაში იმპორტირებულ საქონელზე ფასები ყველაზე ნაკლებად არის გაზრდილი (2.4 პროცენტი).

ერთი შეხედვით, ეს მონაცემი პარადოქსული მოჩანს რუსეთის ემბარგოს შედეგად ოქტომბერში გაძვირებული იმპორტირებული პროდუქტების ფონზე (განსაკუთრებით საგრძნობი გახდა წიწიბურას ფასის 1.8-ჯერ მატება), მაგრამ ამ პროდუქტების ფასების მატება, შესაბამისი წონების გათვალისწინებით, კომპენსირებული იყო იმავე პერიოდში საწვავის ფასის თითქმის 10-პროცენტიანი კლებით.

ფასების მატება ყველაზე მეტად ხანმოკლე მოხმარების საქონელზე შეინიშნება. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ამ სახის საქონელზე ფასების ზრდა 12.1 პროცენტს შეადგენს მაშინ, როცა საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონლის ფასებმა 1.6 პროცენტით აიწია, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ფასები შემცირდა კიდეც 0.4 პროცენტით.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ სიახლე

# პურის ცხობის ახალი ტექნოლოგია

***პურის ცხობა რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს ითვალისწინებს. არსებული ტექნიკური გადაწყვეტა ვერ უზრუნველყოფს სადღეისო მოთხოვნებს, მინიმალური მატერიალური და შრომითი დანახარჯებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას. პრობლემის გადასაწყვეტად შემუშავდა პურის ცხობის ორი ვარიანტი, სადაც ტექნიკური გადაწყვეტა საშუალებას იძლევა, პურის ცხობა 4-5 სართულის განლაგებით მოხდეს, საწვავად კი ტრადიციული ენერგოსაწვავი გამოვიყენოთ, ამის შედეგად მივიღებთ ცხელ წყალსაც. უწყვეტ ნაკადურ ხაზში ყველა პროცესი კომპლექსური მექანიზაციით ხორციელდება. თიხით ან ქვით ნაშენი საცხობი კონსტრუქციები ნავარაუდევია როგორც სტაციონარული, ასევე გადასატანი მოდიფიკაციებით, რომლებშიც ლითონის გამოყენება მინიმუმამდეა შემცირებული. გარდა ამისა, საგრძნობლად ამაღლებულია სანიტარიული ჰიგიენის ნორმები.***

ამასთან, საცხობის ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, იგი გამოყენებულ იქნას როგორც მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავება-შენახვის, აგრეთვე სხვა პირობებში კერძების დასამზადებლად, რისთვისაც მისი მცირე გაბარიტიანი მოდელის შექმნაა საჭირო.

კონკურენტუნარიანი ტექნიკური გადაწყვეტა, ვიმედოვნებ, თავის ადგილს დაიკავებს არსებულ სხვა ტექნოლოგიურ ხაზთან ერთად, რაც შესაძლებელს გახდის, გამოვაცხოთ ქართული, მესხური ლავაშის, ქვის და სხვა პური, ასევე მეგრული, იმერული, აჭარული და სხვა სახის ხაჭაპურები.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ვარიანტით პურპროდუქტების გამოცხობას სპეციალისტებმა დადებითი შეფასება მისცეს. საჭიროა ამ მიმართულებით წარიმართოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

**ლერი ჩაჩიბაია,**

**ტექნიკის, ტექნოლოგიის, ეკონომიკის მართვის პრობლემების დანერგვის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი**

წლები გაატარა მხატვარმა გადასახლებაში – შორეულ ჩრდილოეთში, ვორკუტის შახტებში და რომელსაც თავის და მრავალ სხვა პატიმრის გადამრჩენელად რაცხდა



◎ ბედი მდევარი

# ვინ იყო „დოქტორი შაცი?“

*ცხოვრების უკუღმართობა, თორემ, რა უნდოდა „ბერგმანის“ შენაერთში გიორგი ჭაჭიაშვილს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტს! როცა მეთერთმეტე არმია საქართველოში ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა, ის გულანთებულ თანატოლთა მხარდამხარ იბრძოდა ტაბახმელასთან, მარცხის სიმწარეც იწვნია და იმედგაცრუებაც. სტაცეს ხელი და ციხეში ამოაყოფინეს თავი. როცა „მოწყალება მოიღეს“ და გაათავისუფლეს, ოჯახს მოეკიდა, თანაკურსელი ელენე მაჭავარიანი შეირთო, მაგრამ რეაქციული ხელისუფლება ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. ხელახლა დაპატიმრება თავიდან რომ აეცილებინა, ემიგრაციაში წავიდა – სიყვარულით შექმნილი ოჯახი გაიყო: ელენე მაჭავარიანი თავისი მცირეწლოვანი ვაჟით თბილისში დარჩა... ვინ იცის, იქნებ ჰქონდათ კიდეც შეერთების იმედი, მაგრამ, სავალალოდ, ამ ოცნებას განხორციელება აღარ ეწერა: გიორგი ჭაჭიაშვილი ისე აღესრულა ბრძოლის ველზე ყირიმში, 1943 წელს, რომ აღარც მეუღლე და აღარც ვაჟიშვილი აღარ უნახავს.*



პარიზში დასახლებულმა გიორგიმ იქაურ უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, 1935 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია, ხოლო ნაშრომი მოგვიანებით მონოგრაფიის სახით გამოსცა და თავის პირველ მასწავლებელს პროფესორ ალექსანდრე ნათიშვილს მიუძღვნა. „თირკმლის ფიალების და შარდსაწვეთის დვრილის სიმსივნეები“ – ასეთი იყო სადისერტაციო ნაშრომის თემა. ამით ქართველმა სწავლულმა დიდი წვლილი შეიტანა ამ პრობლემის დამუშავებაში. ნაშრომი შესრულდა პარიზის სენ-ჟოსეფის სახელობის უროლოგიური კლინიკის მასალებზე დაყრდნობით. ქართველ მეცნიერს დიდი ამაგი დასდო ექიმმა კლინიცისტმა ედმონდ ფონ პაპენმა, რომელსაც ავტორი დიდ მადლობას უხდის.

გიორგი ჭაჭიაშვილი არც სხვა მხრივ მჯდარა გულხელდაკრეფილი – ხშირად ხვდებოდა თავის პარიზელ თანამემამულეებს – ვიქტორ ნოზაძეს, ელისე პატარიძეს, პროფესორ მახვილაძეს და სხვებს. უნდა ითქვას, რომ იგი ქართველ ემიგრანტთა მუდამ სასურველი სტუმარი და თანამოაზრე იყო. ოჯახთან მიმოწერა არასოდეს შეუწყვეტია. **„ქუჩაში პატარა ბიჭები თამაშობდნენ, ერთს ასაკი ვკითხე, ათი წლისა ყოფილა. ჩვენი ლევანიც ხომ ათი წლისაა, დიდი ბიჭი იქნება“,** – იწერებოდა ერთ-ერთ ბარათში. 1933 წელს ლევანი მძიმედ ავად გამხდარა და მამას ყველაფერი ულონია უცხოეთში მისი გამგზავრებისათვის, მაგრამ ბედმა აქაც დასცინა – გამგზავრება ჩაშლილა. **„მინდოდა, ახალ წელს აქ შევხვედროდით სამივე და შენი დაბადების დღესაც აქ გადავიხდიდით... იმედს არ ვკარგავ, მოუთმენლად ველოდები თქვენს წერილს, ჩემი ერთადერთი სიხარული ეგაა“,** – წერდა იგი მეუღლეს – ელენე მაჭავარიანს. და ეს ლიტონი სიტყვები როდი იყო: გიორგიმ მთელი ოცი წელი იცხოვრა უცხოეთში და იქ ოჯახი აღარ შეუქმნია – ის მეუღლისა და შვილის ერთგული დარჩა...

რამ მიიყვანა იგი „ბერგმანის“ შენაერთში? რამ და ისევ სამშობლოს სიყვარულმა. როცა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი დაიწყო, უცხოეთში გადახვეწილ



ქართველ ემიგრანტებს იმედი ჩაესახათ, გერმანია რუსეთს დაამარცხებს და საქართველო ნანატრ თავისუფლებას მოიპოვებსო. მხოლოდ ამან აალებინათ ხელში იარაღი. და აი, 1943 წელს, როცა გერმანული სამხედრო შენაერთის უფროსი მძიმედ დაიჭრა, გიორგი ჭაჭიაშვილი პირველი დახმარების აღმოსაჩენად გაემართა. ბედმა უმუხთლა – მძიმედ დაიჭრა და ადგილზევე გარდაიცვალა. მას იქვე დაუდგეს ქვის ობელისკი და წააწერეს „დოქტორი შაცი“ – ეს იყო მისი პირობითი გვარი. ასე იქცა ჭაჭიაშვილი გერმანელ შაცად. გიორგის გარდაცვალების შესახებ ჟურნალმა „ომეგამ“ დაბეჭდა წერილი „ჯარისკაც შოთა ბერეჟიანის ნაამბობი“.

როგორც თანატოლები იხსენებენ, გიორგი ჭაჭიაშვილი პარიზის საზოგადოებაში მიღებული კაცი გახლდათ – პატივს სცემდნენ მის ერუდიციას და უხინჯო განათლება-განსწავლულობას. იგი თავისი კეთილშობილებით და გამორჩეული აღნაგობით ყველას ხიბლავდა და, წარმოიდგინეთ, ცნობილი რეჟისორის ჟულიენ დიუვიეს ყურადღებაც დაუმსახურებია – ჩემს ფილმში კავკასიელი მამაკაცის როლი შეასრულეო. გიორგის თავაზიანი მადლობა კი გადაუხდია, მაგრამ წინადადება უარუყვია. მერე ჟან გაბენსაც უცდია მისი გადაბირება, მაგრამ ამაოდ – მე ექიმი გახლავართ და მსახიობობა ჩემი საქმე არ არისო.

„თბილისში ობლად დარჩენილ ლევანს დიდი მზრუნველობა გაუწია პაპამ – ივანე მაჭავარიანმა. სხვათა შორის, მას ყურადღება არც სიძისთვის მოუკლია – სტუდენტობის დროს ხშირად ფულითაც ეხმარებოდა. ლევანს მამისგან დაჰყვა ექიმისთვის საჭირო თვისებები. ის „1945 წლიდან დღემდე რკინიგზის საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგეა. 1967 წლიდან პედაგოგად მოღვაწეობს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში, არის უმაღლესი კატეგორიის ქირურგი-ტრავმატოლოგი. მინიჭებული აქვს რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსობა“ (ციტატა მოხმობილია სილოვან ნარიმანიძის რედაქტორობით გამოცემულ ბაადურ რაჭველიშვილის მონოგრაფიიდან „გიორგი ჭაჭიაშვილი“, რომელიც ამას წინათ გამომცემლობა „სამშობლომ“ დაბეჭდა).

**ასეთია ერთი გამორჩეული ქართველის ტრაგიკული ცხოვრების ფურცლები. დარწმუნებული ვარ, მისი ნიჭი და უნარი უფრო შედეგიანი იქნებოდა, მშობლიურ მიწაზე შრომა და მოღვაწეობა რომ დასცლოდა. მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება, თუმცა არც უცხოეთში შეურცხვენია თავი – იქაც თავისი ქვეყნის ღირსეული დესპანი იყო.**

**ელგუჯა ლებანიძე**

**სურათებზე: ლევან ჭაჭიაშვილი; ცოლ-ქმარი გიორგი ჭაჭიაშვილი და ელენე მაჭავარიანი, 1923 წელი.**

◎ სოლომონ გერშოვი – 100

# „თანამედროვეობის გენიალური მხატვარი“

## ასე აფასებდა სოლომონ გერშოვს სახელგანთქმული ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი

**ს.გერშოვი დაიბადა 1906 წელს დაუგავპილსში (ლატვია). სწავლობდა ვიტებსკში ი. პენის, მ. შაგალის, რ. ფალკის სამხატვრო სახელოსნოებში, ლენინგრადში „მხატვართა წახალისების საზოგადოებაში“ ვ. ებერლინგთან და „ფერმწერის კულტურის“ ინსტიტუტში კ. მალევიჩის ხელმძღვანელობით. აქტიურად მოღვაწეობდა პ. ფილონოვის მიერ ჩამოყალიბებულ „ანალიტიკური ხელოვნების“ ჯგუფში. მხატვრის აღიარებით, მათთან ერთად, უდიდეს სკოლას მისთვის გარემომცველი სამყარო და მსოფლიო ფერწერის შედევრები წარმოადგენდნენ: *„ყველაზე ახლოს იყო ჩემთვის უძველესი რუსული და ქართული ფრესკები, მიქელანჯელოს, რემბრანტის, ვრუბელის სურათები“.***

ს. გერშოვი სამყაროზე, სიცოცხლეზე შეყვარებული ჰუმანისტია (სიყვარულის მძლავრი განცდა მას ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია), პოლიფონიური მუსიკისათვის დამახასიათებელი ჟღერადობით ფერწერაში. იგი მართალი, ფაქიზი, დახვეწილი, სევდანარევი განწყობილების მხატვარია. მისი ფუნჯი თუ კალამი ტილოსა და ქაღალდზე ლაღია. როგორც მარკ შაგალი ამბობდა თავის მოწაფეზე – **„გერშოვი გულწრფელად ეძებს სიმართლეს ხელოვნებაში და ესაა მთავარი და მნიშვნელოვანი“.**

ს. გერშოვის მხატვრული სამყარო მრავალეფეროვანია: ბიბლიური, ისტორიული, ებრაული, ქართული თემები, ისტორიულ პირთა თუ თანამედროვეთა პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, თანამედროვე მოვლენები, თავისუფალი კომპოზიციები, შალომ ალეიხემის, პერეცის, ბაბელის და სიკვდილის წინ ბიბლიის დასათაურება...

უმძიმესია ს.გერშოვის ცხოვრების გზა: რუსეთის რევოლუციები, ანტისემიტიზმი, სიდუხჭირე, „სოცრეალიზმის“ წნეხი, დაპატიმრება, გადასახლებები, მეორე მსოფლიო ომი, დაუფასებლობა (დღემდე არა გამოცემული ალბომი თუ მონოგრაფია მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ).

60-70-იანი წლებიდან მოჯადოებული წრე ოდნავ იხსნება – მისი გამოფენები ეწყობა საბჭოთა კავშირში, ევროპასა და ამერიკაში. მის შესახებ იწყებენ წერას, როგორც „მსოფლიო მასშტაბის“ ხელოვანზე. როგორც ხშირად ხდება მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში – ს. გერშოვის ნახატები სიმბოლურ თანხად ფასდებოდა ხოლმე, ხოლო ახლა პარიზის სამხატვრო აუქციონზე – ათიათასობით ევროდ... ისე კი, როგორც წესი, მხატვარი თავის ნამუშევრებს უმეტესწილად ჩუქნიდა ყველას, ნაცნობ-მეგობრებს, უცნობსაც, თუკი სიკეთეს დაინახავდა მასში თავისი ბავშვურად მოციმციმე, დაკვირვებული თვალებით, ჩუქნიდა, როგორც ყვავილთა თაიგულს...

განსაკუთრებულია ს. გერშოვის დამოკიდებულება საქართველოსთან, მის კულტურასთან. ახლოს იცნობდა და უყვარდა მისი ბუნება, ხალხი. სილამაზის ტრფიალ მხატვარს განსაკუთრებით ახალგაზრდობა აღაფრთოვანებდა, შუა საუკუნეების ქართული ტაძრების ფრესკებიდან (ისინი მსოფლიო ხელოვნების განძად მიაჩნდა) გადმოსულებად აღიქვამდა. განსწავლულმა მხატვარმა კარგად იცოდა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორია. 7**0-იანსა და 80-იან წლების დასაწყისში იგი თვეობით ცხოვრობდა საქართველოში – გარს მუდამ მეგობართა და თაყვანისმცემელთა წრე ერტყა – მხატვრები, ხელოვნებისმცოდნენი, მწერლები, რომელთა შორის უპირველესი, ცნობილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა იყო. მასთან ერთად წლები გაატარა მხატვარმა გადასახლებაში – შორეულ ჩრდილოეთში, ვორკუტის შახტებში და რომელსაც თავის და მრავალ სხვა პატიმრის გადამრჩენელად რაცხდა. აქ, საქართველოში, ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე ჩხეიძის თაოსნობით მოეწყო გერშოვის პერსონალური გამოფენები** (1974, 1979, 1985, 1987, 1990 წ.წ.), რომლებმაც დიდად დააინტერესა ხელოვნების მრავალრიცხოვანი მოყვარული.





საქართველომ კიდევ უფრო განავრცო მხატვრის შემოქმედებითი სამანი, ახალი სიმძაფრე და შემოქმედებითი იმპულსი მისცა მის უშრეტ შინაგან სამყაროს. ამის დასტურია ს. გერშოვის ნამუშევრების ყველაზე დიდი კოლექციების არსებობა საქართველოში – ხელოვნების ეროვნულ მუზეუმებში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში, საქართველოს თეატრის, მუსიკის და კინოს სახელმწიფო მუზეუმსა და კერძო პირებთან. თბილისი, ფაქტობრივად, თანამედროვეობის უდიდესი მხატვრის შემოქმედების განძთსაცავია. გამიზნულია, აქვე შეიქმნას ს. გერშოვის შემოქმედების კერძო მუზეუმი.

**„რუსეთი ჩემი ხვედრია, ოცნება კი ისრაელიო“,** – ამბობდა იგი.

მხატვრის სანუკვარი ოცნება იყო ისტორიულ სამშობლოში, ერეც-ისრაელში თავისი ნამუშევრების გამოფენის მოწყობა.

ს.გერშოვი გარდაიცვალა 1989 წლის 14 ივნისს. დასაფლავებულია სანკტ-პეტერბურგში.

სამწუხაროდ, სოლომონ გერშოვს შთამომავლობა არ დარჩენია, მაგრამ დატოვა ბრწყინვალე შემოქმედება, რომელიც ეკუთვნის მის ერს და მთელ მსოფლიოს.

**გივი ღამბაშიძე,**
**დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი.**

# სხვადასხვა

- გრიგოლ ჩხარტიშვილი დოკუმენტურ ლიტერატურას ან ესეისტიკას წერს, ბორის აკუნინი – ბელეტრისტი და მასობრივი ავტორია
- მე აქ ახლახან, არცთუ სასიამოვნო ამბების დროს, მშობლიურმა სახელმწიფომ შემახსენა, რომ ეთნიკური ქართველი ვარ...




ჩვენებურზე

## რა არ მოსწონს პოპულარულ მწერალს

***ბორის აკუნინმა ახალი წიგნი გამოუშვა – „ნეფრიტის კრიალოსანი“. დიდხანს მომლოდინე თაყვანისმცემლები დახლებს მიაწყდნენ – ერასტ ფანდორინის (ამ მწერლის „შერლოკ ჰოლმსის“) თავგადასავლები ეგრევე საღდება... გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილი ჟურნალისტებთან ინტერნეტით ურთიერთობს, მაგრამ „სობესედნიკს“ პატივი სცა და „რეალურად“ მიიღო გაზეთის კორესპონდენტი მოსკოვურ ფართო ბინაში – მეცხრამეტე საუკუნის სტილი, დაბალი დივანი, წიგნების კარადა, წვრილფეხა იაპონური მაგიდუნა.***

**– თავს გრიგოლად უფრო მეტად ალიქვამთ, თუ ბორისად?**

– შიზოფრენია და პიროვნების გაორება საჩემო როდია. კალმის კაცის სახით ორ სხვადასხვა ვარიანტად ვარსებობ: **გრიგოლ ჩხარტიშვილი** დოკუმენტურ ლიტერატურას ან ესეისტიკას წერს, **ბორის აკუნინი** – ბელეტრისტი და მასობრივი ავტორია. მაქვს ასეთი წიგნაკი „სასაფლაოური ისტორიები“, რომელშიც ორივე ავტორია გაცხადებული და გამოკვეთილად ჩანს, სად ჩხარტიშვილია და სად აკუნინი.

**– როგორ თანაარსებობენ, არ ჩხუბობენ?**

– გრიგოლ ჩხარტიშვილი ბორის აკუნინად დღეში ორ საათს მუშაობს, მეტის თავი არა აქვს.

**– თითქოს კეთილმოსურნე კაცის შთაბეჭდილებას სტოვებთ, ფსევდონიმი კი პირქუში აგირჩევიათ: „აკუნინი“ ხომ, იაპონურიდან გადმოთარგმნილი, „მზაკვარ ბოროტმოქმედს“ ნიშნავს?**

– არც ისეთი გულკეთილი გახლავართ, თუმცა თავს სულაც არ ვთვლი ბოროტების მომხრედ. ოღონდ ჩვენ ხომ ხშირად ვაწყდებით იმას, თუ ბოროტება როგორ გაჩვენებს თავს სიკეთედ. ჰოდა ვიფიქრე: პირიქით რატომ არ გავითამაშო?

ბოროტება ის მოვლენაა, რომელიც კვალიფიციურ გამოკვლევას მოითხოვს. ჩემს ყოველ რომანში მთავარი გმირი რომელიმე ავაზაკია და მე იმას ვიკვლევ. ჩვეულებრივ ეს საგულისყურო და მიმზიდველი პერსონაჟია. ბოროტების მთავარი საფრთხე ისაა, რომ მაცდურია და ლამაზი. მიმზიდველი რომ არ იყოს, ბოროტება ვერ მოინადირებდა სულებს, თანაც არა ყოველთვის ოდენ ცუდი ადამიანებისას.

**– გახსენით საიდუმლო, რანაირად მოხდა, რომ თქვენ, ძირძველი მოსკოველი, საქართველოში დაიბადეთ?**

– ჰო, იმ მოსკოვური ოჯახიდან ვარ, რომელიც დედაქალაქში აგერ უკვე 100 წელი ცხოვრობს. მამაჩემი ოფიცერი იყო. გარემოებები ისე გადაება, რომ მის სამშობლოში დავიბადე, პატარა ქართულ ქალაქში, სადაც გავატარე კიდევაც სიცოცხლის პირველი თვე. სამწუხაროდ, არც ქართული კულტურა ვიცი და არც ენა. აქვე სათქმელად: მე აქ ახლახან, არცთუ სასიამოვნო ამბების დროს, მშობლიურმა სახელმწიფომ შემახსენა, რომ ეთნიკური ქართველი ვარ...

**– ახალი ამბების პროგრამიდან შეიტყვეთ?**

– ტელევიზორს არც ვუყურებ და ამიტომაც უცბად ვერ გავიგე, თუ იმ ოქტომბრის კვირაში რატომ დამიწყეს მოულოდნელად რეკვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა – ესაოდა, კომენტირება გაუკეთეთ საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობებსო. უკიდურესი ინდივიდუალისტი ვარ და ყოველთვის ვღიზიანდები, როცა რაღაც საზოგადოების ნაწილად მიპირებენ გადაქცევას. მაინც ჩავრთე ტელევიზორი და ვხედავ: ჩვენს ქვეყანაში უცნაური რამეები ხდება. ახალ ამბებში უჩვენებენ რომელილაც ბანდიტურ სიფათებს და აზუსტებენ, გინდა თუ არა, ავკაცი ქართველები არიანო. ეს მე ძალიან არ მომწონს. ვიწყებ იმისადმი, რაც ხდება, ჩემი დამოკიდებულების გამოხატვას სხვადასხვა ინტერვიუში. პირდაპირ მეორე დღეს საზოგადოებრივი პრობლემა უკვე ჩემი პირადი გახდა. საგადასახადო დანაშაულთა სამმართველო, ერთობ სერიოზული კანტორა, უცებ სასწრაფოდ დაინტერესდა, არის თუ არა ჩემს სამწერლო მოღვაწეობაში რაიმე საგადასახადო დანაშაული. აი აქ კი ავვარდი. კი, ბატონო, შემიმოწმეთ ჩემი შემოსავლები როცა გნებავთ, ოღონდ რატომ აირჩიეთ სახელდობრ ის კვირა, როცა მთელს ქვეყანაში ერეკებოდნენ ქართველებს? სხვათა შორის, როგორც კი შეწყდა ქართველ „კუდიანებზე“ ნადირობა, გაქრა ჩემი პერსონისადმი ინტერესიც საგადასახადო პოლიციის მხრიდან. არავითარი ახსნა-განმარტება, მით უფრო მობოდიშება, არ იკადრეს...



*გრიგოლ ჩხარტიშვილი (ბორის აკუნინი): „როცა ახალ ამბებში აჩვენებენ ბანდიტურ სიფათებს და აზუსტებენ, ესენი ავაზაკი ქართველები არიანო, მე ეს ძალიან არ მომწონს“.*

**– ვინ არის თქვენი გმირი ფანდორინი – რუსი სამურაი?**

– ჩემთვის ის აერთიანებს სამ ყველაზე სიმპათიურ – ისევ ჩემთვის – ისტორიულ ტიპს: რუს ინტელიგენტს, ბრიტანელ ჯენტლმენსა და იაპონელ სამურაის. რუსი ინტელიგენტი აზრისა და სიტყვის კაცია, მაგრამ აფსუს, რომ არა მოქმედებისა. იმას არც თავისი თავი, არც თავისი იდეების დაცვა არ შეუძლია, მხოლოდ ბევრს ლაპარაკობს იდეებზე. ჯენტლმენსა და სამურაისთანაც მაქვს ჩემი პრეტენზიები. ამიტომ ფანდორინმა ამ სამეულისაგან ყოველივე საუკეთესო შეიძინა.

**– ფანდორინის თავგადასავალთა საყვარელი ეკრანიზაცია თუ მოგინიშნავთ?**

– ყოველი მათგანი თავისებურად საინტერესოა. თუმცა ფილმებს არ ვუყურებ როგორც ჩემს ნაწარმოებს, ამას გვერდიდან შევცქერი. სამივე ფანდორინი მომწონს: ნოსკოვისა, ბეროევისა, მენშიკოვისა. სამივე რეჟისორს აქვს ძლიერი მხარეები. ვიმედოვნებ, კიდევ გამოჩნდება ეკრანიზაციები. ყველაზე საგულისყურო ჩემთვის იქნებოდა იმ ეკრანიზაციის ნახვა, რომელიც შორს დგას ლიტერატურული ნაწარმოებიდან და სრულიად დამოუკიდებელი ქმნილებაა.

**– ფანდორინის თამაში ძალიან უნდოდა ოლეგ იანკოვსკის...**

– ტიპაჟით ის ახლა ძალიან ლამაზ მამაკაცურ ასაკში იმყოფება. 60-წლიანებს აქვთ ასეთი გამორჩეული შარმი, მამაკაცის ოქროს შემოდგომა. ფანდორინი ჯერ ამ ხნის არ არის, მალე კი გახდება.

**– თქვენი წიგნები მკაფიო ჟანრული დასახელებებისაა: ჯაშუშური რომანი, ფანტასტიკა, დოკუმენტალისტიკა. რატომ არის ასე?**

– ეს ლიტერატურული თამაშია, ჩემთვის ძველებურად საინტერესო. მაინტერესებს ჟანრის კანონები, ტექნიკა, ოსტატობა. ყველაზე შესაქცევია, როცა სქემას და კონსტრუქტორს იღებ, რაღაცასააწყობ, ის კი ადგება უცბად და გაცოცხლდება. ბოლოს და ბოლოს, დიკენსსაც ზოგიერთი რომანი სრულიად ტექნიკურად, „სათავისოდ“ გამოჰყავდა. მოდი ერთი და, მეც გამომივიდეს?

**– შემოქმედების გარდა, რას აკეთებთ?**

– მიყვარს ჭკვიან მეგობრებთან მუსაიფი. მიყვარს კომპიუტერული თამაშები. ძალიან მაინტერესებს ინტერნეტი. ეს მსოფლიო ყოველდღიურად უფრო და უფრო საგულისყურო ხდება, განსაკუთრებით, თუ სხვადასხვა ენაზე კითხვა შეგიძლია. ზიხარ შინ და კლიტის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებ მთელ სამყაროს...

მოამზადა
**თამაზ ებანოიძე**

პრესკონფერენცია

## ფიცი მწამს...

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა და სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორმა ლევან ფერაძემ 2006 წლის სოციალური პროგრამების შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართეს.**

როგორც გაირკვა, ჯანდაცვის სამინისტროს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების დახმარების ფარგლებში დაახლოებით მილიონმა ოჯახმა მიმართა.

„2006 წლის სექტემბრიდან სოციალური დახმარების და დასაქმების სააგენტომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით სოციალური დახმარების გაცემა დაიწყო. ამ დროისათვის 598 ათას 861 განაცხადიდან რეაგირება გაკეთებულია 366 ათას 017 განცხადებაზე. დღეისთვის ფულად შემწეობას იღებს 112 ათასი ოჯახი, უფასო სამედიცინო პოლისით სარგებლობს 869 ათასი ადამიანი, ხოლო ელექტროენერგიაზე უფასო შეღავათით – 345 ათასი ოჯახი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის სახელმწიფომ ძალიან ბევრი გააკეთა და უახლოეს მომავალში ვგეგმავთ უკიდურესი სიღატაკე 15 პროცენტიდან 9 პროცენტამდე შემცირდეს,“ – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა.

## 9 აპრილს დაზარალებულთა პროტესტი

**ჯანდაცვის სამინისტროს შენობის წინ 9 აპრილს დაზარალებულ მოქალაქეთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობს.**

რამდენიმე ათეული ადამიანი სახელმწიფოს მიერ მათთვის დაწესებული შეღავათების გაუქმებას აპროტესტებს.

აქციის მონაწილეები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ლადო ჭიპაშვილთან შეხვედრას და მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოითხოვენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების მოწყობას და სხვა უკიდურესი ზომების მიმართვას გეგმავენ.

1999 წლის კანონის თანახმად, 9 აპრილს დაზარალებული მოქალაქეებისთვის კომუნალური, სამედიცინო და სამგზავრო შეღავათები დაწესდა. ახალი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული შეღავათები გაუქმდება და დაწესდება კომპენსაცია, რომელსაც აღნიშნული ადამიანები თვეში ერთხელ მიიღებენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## შეასრულეთ წინასაარჩევნო დაპირება!



**„დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური გიგი უგულავას და კახა ლომაიას წინასაარჩევნო დაპირებების ასრულებას სთხოვს.**

როგორც საგანგებო ბრიფინგზე ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, „წინასაარჩევნოდ მასწავლებლებისთვის დარიგებული 100-ლარიანი ვაუჩერები, რომელზეც გიგი უგულავას გაღიმებული სახე იყო გამოხატული, აღარავის ახსოვს“.

მისივე თქმით, მასწავლებლებისთვის მიცემული 100-ლარიანი ვაუჩერები განაღდებული არ არის არც ერთი კერძო სკოლის მასწავლებლისთვის, ასევე, სახელმწიფო სკოლების დიდი ნაწილისთვის და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისთვის.

„არ ვიცი, ამ საკითხით რატომ არ ინტერესდებიან განათლების მინისტრი და პროფკავშირების ხელმძღვანელები. მათი პირდაპირი მოვალეობაა, საკუთარი თანამშრომლების უფლებები დაიცვან. წელი სრულდება და დაპირებული 100 ლარი მასწავლებელთა დიდი უმეტესობისთვის ჩარიცხული არ არის,“ – აცხადებს ძიძიგური.

მისი ინფორმაციით, 10 ათასამდე პედაგოგი მერიამ წინასაარჩევნოდ მოატყუა და იმის გათვალისწინებით, რომ თითო მათგანისთვის 100-ლარიანი ვაუჩერი იყო გაცემული, თანხა მილიონს აჭარბებს.

ზვიად ძიძიგური მოუწოდებს პარლამენტის განათლების კომიტეტს, რომ ამ საკითხით დაინტერესდეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზი მილიციელები მოსკოველ კრიმინალებს შეეჯახნენ

**გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯსა და თაგილონს შორის გუშინ რამდენიმე წუთის განმავლობაში სროლისა და აფეთქების ხმა ისმოდა.**

წინასწარი ინფორმაციით, სროლის შედეგად დაიღუპნენ გალისა და ოჩამჩირის პროკურორი



ბესიკ კოლონია და გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის მილიციის უფროსის მოადგილე ოთარ ტურანბა. მძიმედაა დაჭრილი კიდევ რამდენიმე ადამიანი.

როგორც გალის რაიონის გამგებლის მოადგილემ გია ლომიამ განაცხადა, სროლები და აფეთქება ტურანბას დაჯგუფების წევრებსა და მოსკოველ კრიმინალებს შორის გარჩევას უკავშირდებოდა. აფეთქების შემდეგ დაიწვა სამი ავტომობილი.

**ინტერპრესნიუსი**

**ლეონკავალოს საოპერო შედევრი „ჯამბაზები“ ბოლოს სამი ათეული წლის წინათ დაიდგა თბილისის ოპერის თეატრში, ხოლო მისი მოსმენისა და ხილვის საშუალება ლამის ოცი წელია, აღარ ჰქონია ჩვენს საზოგადოებრიობას**



**30 წლის შემდეგ**

# „ჯამბაზები“ თავის დროს ისცის

**ლეონკავალოს საოპერო შედევრი „ჯამბაზები“ ბოლოს სამი ათეული წლის წინათ დაიდგა თბილისის ოპერის თეატრში, ხოლო მისი მოსმენისა და ხილვის საშუალება ლამის ოცი წელია, აღარ ჰქონია ჩვენს საზოგადოებრიობას. არადა, როგორც ამბობენ, ბოლო წლებში ევროპულ საოპერო სივრცეს განსაკუთრებით ეტყობა მუსიკალური „ვერიზმით“ აქტიური დაინტერესება. „ჯამბაზები“ სწორედ ამ ჟანრის კაშკაშა ნიმუშია, რომლის ლიბრეტომ და შესანიშნავმა თეატრალურმა მუსიკამ იმთავითვე განსაზღვრეს მისი წარმატება. ოპერამ დროს გაუძლო და იგი დღემდე რჩება პოპულარულ ნაწარმოებად, რომლის დადგმასაც ნიადაგ ესწრაფვიან საოპერო თეატრები. ეს ის ქმნილებაა, რომლის მუსიკაშიც განსაკუთრებული სიძლიერით ვლინდება ადამიანური ვნებები.**

თბილისის ოპერის თეატრში „ჯამბაზების“ ახალი დადგმა მნიშვნელოვანია საგასტროლო რეპერტუარის თვალსაზრისითაც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მის დადგმაზე აღიარებული ქართველი ხელოვანები – თემურ ჩხეიძე, ზაზა აზმაიფარაშვილი, გოგი ალექსი-მესხიშვილი და ირაკლი შენგელია მუშაობდნენ. გასაგები იყო ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი და მოლოდინი.

ფაქტია, რომ თემურ ჩხეიძე დრამატული სპექტაკლების გარდა სამართლიანად ითვლება თანამედროვეობის ერთ-ერთ წარმატებულ საოპერო რეჟისორადაც. მას მსოფლიოს მრავალ წამყვან სცენაზე დაუდგამს სპექტაკლები, მათ შორის: ლა სკალას, მეტროპოლიტენ ოპერის, გენუის, ვენეციის, მარინის, დიდი თეატრის სცენებზე. სამწუხაროდ, მშობლიურ თბილისში საოპერო სპექტაკლის დადგმის საშუალება აქამდე არ ჰქონია, ასე რომ, „ჯამბაზები“ თბილისში მისი პირველი დადგმაა.

ასევე მსოფლიოს წამყვან საოპერო სცენებს ამშვენებს გოგი ალექსი-მესხიშვილის სცენოგრაფია, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

საპრემიერო სპექტაკლში აღიარებული ვარსკვლავების – ლადო ათანელისა და ბადრი მაისურაძის მონაწილეობამ და სადადგმო ჯგუფის შემოქმედებითმა ერთსულოვნებამ ბევრად განსაზღვრა ნაწარმოების მაღალმხატვრული ღირსება და ეს დაადასტურა კვირა საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართულმა პრემიერამ, რომელსაც უამრავი მსმენელი დაესწრო.

პატარა პროვინციული ქალაქისა და მოხეტიალე თეატრის დასის გარემოცვაში გათამაშდა ის ცხოვრებისეული დრამა, რომელიც ასე ახლობელი იყო ამ ქალაქის მკვიდრთათვის და რომელიც გაითავისეს ამ სპექტაკლის მონაწილეებმა.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ დირიჟორ ზაზა აზმაიფარაშვილის ინტერპრეტაციით ოპერის მუსიკა მრავალი ფაქიზი ნიუანსით გაბრწყინდა, ამასთან, ემოციური მგზნებარებით, დინამიზმით და დრამატული აფეთქებებით ხიბლავდა მსმენელს. ორკესტრი, გუნდი და სოლისტები ერთ მუსიკალურ ორგანიზმად გაერთიანდა და დირიჟორის ნებას დაემორჩილა.

ლამაზი თეატრალური სანახაობა უთუოდ შექმნა თემურ ჩხეიძემ, რომელმაც ნაწარმოების კლასიკური, ტრადიციული დადგმა შემოგვთავაზა და ამასთან, არც თანამედროვე სუნთქვა დააკლო და კიდევ, მოქმედების შესატყვისმა სცენოგრაფიამ, მშვენიერი კოსტიუმების შესახებ ლადო ათანელმა ჯერ კიდევ პრემიერამდე აღნიშნა: 60-ჯერ და ალბათ უფრო მეტჯერაც მიმღერია მსოფლიოს სხვადასხვა დადგმებში ტონიოს პარტია და ასეთი ლამაზი კოსტიუმი ჯერ არსად მცმიაო.

ამ დღეს სცენაზე თავის მონაფეებს თვალს ადევნებდა მაესტრო ნოდარ ანდღულაძე, რომლის ავტორიტეტული აზრი, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება მკითხველისთვის. აი, რა თქვა მან:

**„მივესალმები ამ ნაწარმოების დადგმას, იმიტომ, რომ თბილისის სცენაზე მას სახელოვანი ისტორია აქვს. იგი იმსახურებს იმას, რომ მუდმივად იყოს ჩვენი თეატრის რეპერტუარში. ასევე მივესალმები თემურ ჩხეიძის მოწვევას, რა ხანია ამ მხრივ აგიტაციას ვუწევდი თეატრს დრამატული და კინორეჟისორების მოწვევაზე.**

**სპექტაკლის უდავოდ დადებით მხარედ მიმაჩნია საორკესტრო მომენტი. აქ ჩანს, რომ ზაზა აზმაიფარაშვილი თანდათან უფრო ჩაღრმავებით მუშაობს ნაწარმოებებზე. ორკესტრი აშკარად უკეთესად აჟღერდა, საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი საორკესტრო პარტიტურა.**



**პირადად მე, ვოკალურმა მხარემ არ დამაკმაყოფილა. ლადო ათანელი გადატვირთული საგასტროლო ცხოვრების გამო თბილისში მაიამიდან ჩამოვიდა და იგი სათანადო პირობებში ვერ აღმოჩნდა. მისი აღიარებული ტონიო ისეთი არ წარმოდგა, როგორც მას ახასიათებს. მისი ვოკალი დახვეწილი კი იყო, მაგრამ გაქანება აკლდა, ისეთი, როგორც მას ჩვევია.**

**ბადრი მაისურაძე გამოცდილი ოსტატია, ექსპრესიულობის თვალსაზრისით მაღალ შედეგებს აღწევს, თუმცა მომეჩვენა, რომ მის კანიოს დრამატიზმი აკლდა.**

**ნედას საინტერესო სახე შექმნა მაყვალა ასპანიძემ. მისი გარეგნობა, ქცევა მოუხდა მის გმირს, მან ორგანულად შეითვისა თავისი გმირი. რაც, ცხადია, რეჟისორის დამსახურებაც არის. მუსიკალური თვალსაზრისით კი, იმედი მაქვს, რომ მაყვალა კიდევ უფრო დაიხვეწება და უკეთესი გახდება.**

**მომეწონა ბესიკ გაბიტაშვილის ლირიკული მშვენიერებით წარმოდგენილი სილვიო. რაც შეეხება გია მახარაძეს, იგი კარგი ვოკალისტია, ოღონდ მომეჩვენა, რომ არლეკინი უფრო ლირიკული პარტიაა, ვიდრე გიას ხმაა. ამ შემთხვევაში არლეკინი და ტონიო თითქოს გათანაბრდა.**

**საერთო შთაბეჭდილებით „ჯამბაზები“ კარგად იკითხება სცენაზე, შეიძლება ითქვას, რომ „ვერიზმი“ მშვენივრად შეიფერა ჩვენმა თეატრმა, რაც სადადგმო ჯგუფთან ერთად მთელი კოლექტივის დამსახურებაა.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

ავტორის ფოტო.

**ხელიხელსაგოგმანები ტრადიცია**

# კვარაცხელიების საგვარეულო განძი

***ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი მეოცესაუკუნელი გრამიტონ კვარაცხელია (შეგახსენებთ, რომ 1940-იანი წლებიდან მოყოლებული იგი იყო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგის მოადგილე, ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გაზეთ „ქუთაისის“ განყოფილების გამგე, ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის პარტიული ლიდერი და ლექტორ-მასწავლებელი, პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სახალხო კონტროლის პალატის საორგანიზაციო განყოფილების გამგეძ, ზუსტად ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, როცა შვილიშვილებთან გართობის ჟამი დაუდგა, ურთულეს ეროვნულ საქმეს შეეჭიდა.***

***და აი, ხელთა გვაქვს კვარაცხელიების საგვარეულო განძი – ფორმითაც და შინაარსითაც ენციკლოპედიის სადარი შვიდასგვერდიანი წიგნი – „კვარაცხელია, გვარი და გვარიშვილობა“.***




ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2000 წლის 18 ნოემბერს საქართველოში საგვარეულო მოძრაობის თაოსნის, უდროოდ გარდაცვლილი ჩვენი კოლეგის ბონდო გაგნიძის რედაქტორობით გამომავალმა გაზეთმა „რაეომ“ გზა დაულოცა კვარაცხელიების გვარს და მალევე გამოსცა 44-გვერდიანი სპეციალური გაზეთი – „კვარაცხელია – მახარია“, რომელმაც ლამის მთელი საგვარეულო მოიცვა.

გაზეთის ერთჯერადი ტირაჟი ისევე მრავალათასიანი იყო, როგორც საქართველოს საგვარეულო ნუსხაში მეექვსე ადგილზე მტკიცედ დამკვიდრებული კვარაცხელიები, რომელთა საერთო რაოდენობა 13.650-ს აჭარბებს.

„რკინის ქალამნები“ ჩაიცვა გრამიტონ კვარაცხელიამ. სად არ იარა, რა არ მოიძია, რა არქივებში არ იქექა, ვის არ სთხოვა, – საგვარეულო წიგნი ზოგადქართული, ტრადიციული და ახალგაზრდულიც რომ გამოსულიყო.

გაუმართლა დინჯ, პატიოსან, გულმართალ და მუხლჩაუხრელ გრამიტონ კვარაცხელიას – ისეთი წიგნი შექმნა, ნებისმიერ ქართველს რომ თავს წააკითხებს და ათქმევინებს: ნეტაი, ასეთი საგვარეულო განძი მეც მქონდესო!



მართალს ბრძანებს საქართველოს საგვარეულო კავშირის **„გვარისა და გვარიშვილობის“ თავმჯდომარე, ისტორიკოს-ეთნოგრაფი, პროფესორი ლევან ფრუიძე:**

**„მხცოვანების ასაკში გრამიტონ კვარაცხელიამ თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად ამ წიგნის შექმნა დაისახა. მიზნის კეთილშობილებამ ყველა სიძნელე გადაალახვინა... ქართველების საგვარეულო მატიანეს კიდევ ერთი, საქმის ცოდნით შედგენილი, მრავალმხრივი და საინტერესო თემატიკით გამდიდრებული მატიანე შეემატა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ძირითადი ეროვნული ისტორია – „ქართლის ცხოვრება“ – ფაქტობრივად, საგვარეულო მატიანეების კრებულია, ცხადზე უცხადესია, რომ ნებისმიერი ქართული გვარის მატიანის შედგენა ფრიად მამულიშვილური საქმეა. სამშობლოსა და ერის წინაშე, განურჩევლად წოდებრივი კიბისა, ყველა გვარს საკუთარი დამსახურება აქვს. სწორედ ამის წარმოჩენას ისახავდა მიზნად გრამიტონ კვარაცხელიას ეს შესანიშნავი ნაშრომი“.**

წიგნი მოიცავს 600-ზე მეტ წერილს სხვადასხვა პროფესიების მფლობელი კვარაცხელიების შესახებ, რომელთა ავტორები (კვარაცხელიებთან ერთადძ სხვადასხვა გვარისშვილები არიან. მათ შორის ჩვენი მკითხველისთვის კარგად ნაცნობი მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები – ჯანსუღ ღვინჯილია, ვახტანგ გოგუაძე, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ მახარაძე, თორნიკე აფაქიძე, ლორიკ მარშანია, ბაკურ გულუა, ჯანსუღ კორძაია, ვახტანგ კურცხალია, გიორგი ნაჭყებია, ბონდო გაგნიძე, ოლეგ სალია, თამაზ ფიფია, მიმოზა კვარაცხელია, ვარლამ როდონაია, ზაურ მოლაშხია და სხვ.

წიგნს ამშვენებს ჩანართები – „თავთაშორისი“, რომელიც იტევს ისტორიულ, პუბლიცისტურ, პოეტურ, საერო-საეკლესიო ხასიათის საინტერესო მასალებს, ქართულ (მეგრულძ ფოლკლორს, ადათ-წესებს, ხალხურ იუმორს.

წიგნი გაჯერებულია ერის უკვდავი შვილების – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დუტუ მეგრელის, ჩვენი დროის პოეტების საუკეთესო სტრიქონებით.

კვარაცხელიების ადგილის დედა – ოდაბადე წალენჯიხის რაიონია. სწორედ ამ კუთხეს გვაცნობს ავტორი საოცარი უბრალოებითა და გამოწვლილვით. წაიკითხავ წიგნს და კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ **„სამეგრელო – საქართველოს ეს წარმტაცი კუთხე ამაყი და ნიჭიერი ადამიანების სამშობლოა, ქართველი ლამაზმანების, ანუ ამორძალების ქვეყანაა. სამეგრელო არის ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობრობა, ცოტნე დადიანის რაინდობა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, იოსებ ჟორდანიას კაცთმოყვარეობა, გენო ადამიას, ჟიული შარტავას და სხვა მრავალთა კურთხეული ფარი და მახვილი საქართველოსი“ (შოთა ნიშნიანიძეძ.**

სწორედ ამ ფარის გასაძლიერებლად და მახვილის გასალესად, ეროვნული მუხტის განსამტკიცებლად შექმნა გრამიტონ კვარაცხელიამ ეგზომ საჭირო საგვარეულო წიგნი.

**საშუალება რომ იყოს, ეს უჩვეულო წიგნი (შესანიშნავი მხატვრობა ეკუთვნის გია ლაფაურს, კომპიუტერული დიზაინი – ნუგზარ არჩემაშვილსძ, მარტო ოდენ კვარაცხელიების კი არა, თითოეული ქართული ოჯახის ბიბლიოთეკას უნდა ამშვენებდეს.**

**სპარტაკ ქობულია**

№ 256. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

№ 256. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

● „ჩვენი სტრატეგია უცვლელი რჩება, და როგორც კი აღმოიფხვრება ტექნიკური პრობლემები ჭაბურღილზე, ქვეყანა გაზს ძირითადად აზერბაიჯანიდან მიიღებს“



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თურქეთი თავის წილ გაზს საქართველოს და აზერბაიჯანს დაუთმობს

**თურქეთი თანახმაა შაჰ-დენიზის საბადოში მოპოვებული ბუნებრივი გაზიდან დაუთმოს თავისი წილი საქართველოს და აზერბაიჯანს. საქმე ეხება 2007 წელს 2,8 მილიარდ კუბურ მეტრ აირს.**

შესაბამის დოკუმენტს მოაწერეს ხელი საქართველოს და თურქეთის ენერგეტიკულ უწყებათა ხელმძღვანელებმა. წინასწარი ინფორმაციით, საქართველო ამ მოცულობიდან მიიღებს 800 მილიონ კუბურ მეტრ სათბობს.

წინათ დადებული კონტრაქტების თანახმად, 2007 წელს საქართველოს შაჰ-დენიზიდან უნდა მიელო 250 მილიონი კუბური მეტრი გაზი. სათბობის იმპორტი უნდა დაწყებულიყო 22 დეკემბერს, მაგრამ როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განუცხადა ჟურნალისტებს, ეს რამდენიმე კვირით გადაიდება.



„სამწუხაროდ, ჭაბურღილზე წარმოიქმნა პრობლემები, შესაბამისად, რამდენიმე კვირით გადაიდო საქართველოში გაზის მოწოდება. ამიტომ, იძულებული ვართ, მომავალი წლის დამდეგიდან განვაგრძოთ რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტი“, – თქვა ნოღაიდელმა. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, გაზსადენზე მოხდა აფეთქება, თანაც, საკმაოდ სერიოზული.

საქართველო „გაზპრომს“ ანგარიშს გაუსწორებს ახალი ფასით – 235 დოლარი ყოველი ათასი კუბური მეტრი გაზისთვის. მაგრამ, აღნიშნა პრემიერმა, „ჩვენი სტრატეგია უცვლელი რჩება, და როგორც კი აღმოიფხვრება ტექნიკური პრობლემები ჭაბურღილზე, ქვეყანა გაზს ძირითადად აზერბაიჯანიდან მიიღებს“.

პრემიერს არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ რა ფასად შეისყიდის საქართველო ბუნებრივ აირს აზერბაიჯანისგან. „ეს არის შაჰ-დენიზის გაზის საბადოს მფლობელი კომპანიის კომერციული საიდუმლო. მაგრამ ფასი გაცილებით ნაკლები იქნება იმასთან შედარებით, რასაც „გაზპრომი“ გვთავაზობს“, – თქვა მან.

შეგახსენებთ, რომ „გაზპრომიდან“ მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს კომპანიები 2007 წელს შეისყიდიან მილიარდ კუბურ მეტრზე მეტ რუსულ გაზს. ასე რომ, აზერბაიჯანი, ალბათ, ვერ გახდება საქართველოში ამ სათბობის ძირითადი მიმწოდებელი.

РОСБАЛТ

# თვითაღიარებული რესპუბლიკები გაეროს მიმართავენ

გასულ კვირას მოსკოვში გაიმართა „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებების“ გაერთიანების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პირველი სხდომა.

ღონისძიების მონაწილეებმა მოუწოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს განიხილოს ასამბლეის დამფუძნებელი დოკუმენტების რეგისტრაციის შესაძლებლობის საკითხები. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის დეპუტატებმა გამოთქვეს იმედი, რომ „გაგებით მოეკიდებიან და მხარს დაუჭერენ მათ სწრაფვას, მიაღწიონ მტკიცე და სტაბილურ განვითარებას მსოფლიოში არსებული ტენდენციებისა და დემოკრატიული სტანდარტების კალაპოტში“.

ასამბლეის გენერალური მდივნის გრიგოლ მარაკუცას აზრით, ეს არის სამი რეგიონის მიერ გადადგმული ერთობლივი პირველი ნაბიჯი მათი დამოუკიდებლობის აღიარების გზაზე მას შემდეგ, რაც ამ რესპუბლიკებში გაიმართა შესაბამისი რეფერენდუმები. მაგრამ მათ რეალურ აღიარებამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი.

ჩვენმა კორესპონდენტმა სვეტლანა გამოვამ ჰკითხა თვითაღიარებული რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრებს თუ როგორ აპირებენ ისინი საერთაშორისო გაგების მოპოვებას და ამ გზაზე რას მიიჩნევენ უმთავრეს მიზნად.

„უკვე 15 წელია ვქმნით ჩვენს სახელმწიფოს, – აღნიშნა თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. – და ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმასაც ვაპირებთ, მიზნად ისახავენ, რომ ამჟამად არსებული დე ფაქტო სიტუაცია გადაიქცეს დე-იურედ. ანუ, ჩვენ გვსურს, რომ აფხაზეთი, რომელსაც, სხვათა შორის, აქვს ყველა საჭირო სახელმწიფო ინსტიტუტი, ცნოს მსოფლიო გაერთიანებამ. სწორედ ამიტომ მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს იმ იმედით, რომ ჩვენს ხმას ყურად იღებენ. ამავე დროს, კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ეს დღესვე არ მოხდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხალხის აზრი, იგი კი, როგორც ცნობილია, უცვლელია: აფხაზებმა უნდა იცხოვრონ საქართველოსგან დამოუკიდებლად. რა თქმა უნდა, გვიჭირს სტატუს-კვოს შენარჩუნება, რადგან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკა მთლიანად დანგრეული იყო და მისი ეკონომიკის აღდგენა, მით უმეტეს ბლოკადის პირობებში, ძალზე რთულია. მთელი სიძნელეების მიუხედავად, ჩვენ ყველას



ვუჩვენებთ, რომ აფხაზეთს შეუძლია განვითარება და ვაშენებთ დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოს. სწორედ ეს გვსურს, მოვუწოდოთ სახელმწიფოების, გაეროს, ევროკავშირის ხელმძღვანელებს.

იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთს აღიარებენ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამ იმედს საფუძვლად უდევს სიტუაციის შეცვლა ბალკანეთში და მთლიანად მსოფლიოში. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ველით აღიარებას რუსეთის მხრიდან. ეს ქვეყანა უკვე ორ საუკუნეზე მეტია, რაც რჩება მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ რეგიონში. რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავისუფლად შეუძლია მოსკოვს მოქმედება. პრეცედენტები არსებობს: ხომ აღიარა თურქეთმა ჩრდილოეთი კვიპროსი, თუმცა ამას საერთაშორისო გაერთიანება ეწინააღმდეგებოდა“.

* * *

„ზოგიერთი ქვეყანა, საერთაშორისო ორგანიზაციები ელიან კოსოვოს შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მიაჩნიათ, რომ შეიძლება შეიქმნას პრეცედენტი, რომელსაც გამოიყენებენ თავიანთი მიზნების მისაღწევად თვითაღიარებული სახელმწიფოები, – განაცხადა თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა. – ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთი დამოკიდებული იყოს კოსოვოს პრობლემის გადაჭრაზე. სიტუაცია ამ რეგიონებში განსხვავებულია. ჩვენ გვაქვს საერთაშორისო აღიარების მოპოვების შესაძლებლობა და გარკვეული კოზირები.

სამხრეთ ოსეთმა თავისი ბედი გაარკვია სსრ კავშირის დაშლის დროს, იგი არ გამოსულა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობიდან. 1990 წლის მარტში საქართველომ სამხრეთ ოსეთი განდევნა თავისი სამართლებრივი სივრციდან. თბილისმა გააუქმა ყოფილ საბჭოთა კავშირში მიღებული ყველა საკანონმდებლო აქტი, მათ შორის 1922 წლის დადგენილებაც, რომლის თანახმადაც ჩვენ აღმოვჩნდით საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს არანაირი უფლებები არა აქვს ჩვენს რესპუბლიკაზე. გარდა ამისა, საქართველოს ახალ კონსტიტუციაში არ არის ადგილი სამხრეთ ოსეთისთვის. ყველა ამ მომენტს არ შეიძლება არ დაეთანხმოს დემოკრატიული გაერთიანება. ჩვენ ამის იმედი გვქონდა, როცა მივილეთ მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციების, უწინარეს ყოვლისა, გაეროს სახელზე.

რეფერენდუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი მოსახლეობის განწყობილება, რომელიც არ შეცვლილა ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში. სამხრეთ ოსეთს სურს დამოუკიდებლობა, რასაც მხარი დაუჭირა რეგიონის მცხოვრებთა 99 პროცენტმა. და ახლა სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ უნდა აღასრულოს ხალხის ნება. სწორედ ამიტომ ვისახავთ მიზნად საერთაშორისო აღიარების მიღწევას. ამისთვის მივმართავთ კიდეც გაეროს, ევროკავშირს, სახელმწიფოთა მეთაურებს და ვთხოვთ აღიარონ, რომ ჩვენ ხალხს აქვთ თვითგამორკვევის უფლება. რუსეთის ხელმძღვანელობას ასეთი თხოვნით უკვე მივმართეთ და ახლა იმედი გვაქვს, რომ რუსები გაგებით მოეკიდებიან ამას“.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## მოკლედ

**პალესტინელმა რადიკალებმა ოთხი რაკეტა ჩამოაგდეს ისრაელის ტერიტორიაზე. თავდასხმა მოხდა ისრაელის ქალაქ აშკელონში, რომლის მიმართულებითაც რადიკალებმა გაისროლეს „ქასამის“ ტიპის თვითნაკეთი რაკეტები. მსხვერპლი არ არის, დაზიანდა რამდენიმე სახლი. მეთვალყურეთა მტკიცებით, რადიკალებს სურთ ჩაშალონ ის პროგრესი, რომელიც დაისახა ისრაელის და პალესტინის ხელისუფალთა შორის ურთიერთობაში.**

* * *

**ვიეტნამელმა მეცნიერებმა გაშიფრეს „ფრინველის გრიპის“ ვირუსის გენომი. პასტერის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა შეძლო გაეშიფრა რ5ტ1ვირუსის 24 შტამის გენომები, რომელმაც 2004-2005 წლების პერიოდში ვიეტნამში 40-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს „ფრინველის გრიპის“ საწინააღმდეგო ვაქცინის შემუშავებას.**

* * *

**უკანასკნელ წერილში პინოჩეტი მთლიანად ამართლებს თავისი რეჟიმის მოქმედებას. როგორც ჩილეს ექს-დიქტატორი წერს, მან დაამხო სოციალისტ სალვადორ ალიენდეს მთავრობა, რათა არ დაეშვათ ჩილეში კომუნისტური რეჟიმის წარმოქმნა და სამოქალაქო ომის გაჩაღება. პინოჩეტი წერს, რომ უყვარს სამშობლო და ყველა ჩილელი. თუმცა, აღიარებს კიდეც, რომ ხშირ შემთხვევებში „არ ჰყოფნიდა სიბრძნე“.**

* * *

**ესპანეთის სხვადასხვა კუთხეში გამოსაკვლევად აღებული სხვადასხვა ღირსების 100 ბანკნოტიდან მხოლოდ ექვს პროცენტზე ვერ იპოვეს კოკაინის კვალი. ნარკოტიკის ასეთ „პოპულარობას“ ესპანელი პოლიციელები უკავშირებენ კოლუმბიის იატაკქვეშა ქარხნებში კოკაინის წარმოების მოცულობის ზრდას.**

* * *

**მადრიდის „გრეგორიო მარანონის“ სახელმწიფო კლინიკის ქირურგიის განყოფილების გამგე ხოსე ლუის გარსია საბრიდო ხუთშაბათს ჩავიდა კუბაში, სადაც იგი გამოიკვლევს ამ ქვეყნის ლიდერის ფიდელ კასტროს ჯანმრთელობის მდგომარეობას. ესპანელმა ექიმმა ჰავანაში ჩაიტანა ისეთი სამედიცინო მოწყობილობა, რომელიც კუბაში არ გააჩნდათ.**

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არ აიღებს ხელს ბირთვული პროგრამის განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეერთებული შტატები მოხსნის მის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. „შეერთებული შტატები ძალზე ბევრს ითხოვს ჩრდილოეთ კორეისგან იმის სანაცვლოდ, რომ ჩვენ უარი ვთქვათ ბირთვული პროგრამის განხორციელებაზე“, – განაცხადა ამ პროგრამის შესახებ მიმდინარე ექვსმხრივ მოლაპარაკებაზე ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის მეთაურმა კიმ გე კვანმა.**

● 2003 წლის მარტიდან ამერიკელთა საერთო დანაკარგები შეადგენს 2969 სამხედრო მოსამსახურეს. გარდა ამისა, კიდევ 22,5 ათასი ამერიკელი დაიჭრა



# იაპონიაში ბირთვული ბომბის შექმნის შესაძლებლობას საიდუმლოდ შეისწავლიან

**ასეთ ცნობებს ავრცელებენ ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც მთავრობის საიდუმლო დოკუმენტებს იმოწმებენ.**

გავრცელდა ასეთი ინფორმაცია: ბირთვული ფიზიკის სფეროს ექსპერტებმა ამ ცოტა ხნის წინათ გამოიტანეს დასკვნა, რომ ბირთვული იარაღის საცდელი ნიმუშის შესაქმნელად ქვეყანას 3-5 წელი დასჭირდება.

თუმცა, არაფერს იტყობინებიან იმის თაობაზე, მიაჩნიათ თუ არა ექსპერტებს აუცილებლად იაპონიისთვის ბირთვული პროგრამის განვითარება.

გაზეთ „Sankei"-ში გამოქვეყნებულ მასალებში აღნიშნულია, რომ პროექტი, რომლის განხორციელებაზეც რამდენიმე ასეული მეცნიერი მუშაობს, იაპონიას სავარაუდოდ 1,68-2,52 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

მაგრამ იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალური მდივანი იასუჰისა შიოძაკი უარყოფს ასეთი დოკუმენტის არსებობას და აცხადებს, რომ მთავრობამ არაფერი იცის ამის შესახებ.

როგორც ცნობილია, იაპონია არაერთი ათწლეულის განმავლობაში მკაცრად იცავს სამხედრო დანიშნულების ბირთვული ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის პოლიტიკას, ტოკიო ასევე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არ დაუშვებდა თავის ტერიტორიაზე ბირთვული ტექნოლოგიების მოხვედრას.



ამავე დროს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 9 ოქტომბერს გამართულ ბირთვულ გამოცდებთან დაკავშირებით, იაპონიაში სულ უფრო პოპულარული გახდა ასეთი ტექნოლოგიების შესაძლო განვითარების თემა. ზოგიერთი ადგილობრივი პოლიტიკოსის აზრით, იაპონიამ უნდა დაიწყოს თავისი ბირთვული პროგრამის შესაძლო განვითარების საკითხის განხილვა.

თავის მხრივ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ განაცხადა, რომ იაპონიის კონსტიტუცია არ გამორიცხავს ბირთვული იარაღის არსებობას ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა, აღნიშნა პრემიერმა, იაპონია კვლავ ურთგულებს თავის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკას.

მანამდე, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ასომ აღნიშნა, რომ იაპონიას აქვს ბირთვული იარაღის შექმნის ტექნიკური შესაძლებლობები, თუმცა არ აპირებს გახდეს ბირთვული სახელმწიფო.

საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, იაპონიას შეუძლია მოკლე ვადაში შექმნას ბირთვული იარაღი. მიმდინარე წლის მარტის დამლევისთვის იაპონიას ჰქონდა 43,8 ტონა პლუტონიუმი, რომლიდანაც 5,9 ტონა ინახება თვით იაპონიის ტერიტორიაზე, 37,9 ტონა კი – ინგლისსა და საფრანგეთში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ბირთვული საბრძოლო მუხტის დამზადებას სჭირდება 8 კილოგრამი პლუტონიუმი, ნედლეულის ის რაოდენობა, რომელსაც იაპონია ფლობს, საკმარისი იქნება 5475 საბრძოლო მუხტის დასამზადებლად.

# ყირგიზეთის პარლამენტმა ქვეყნის კონსტიტუციის ახალი რედაქცია არ მიიღო

**ფარული კენჭისყრის დროს პროექტს მხარი დაუჭირა 46 დეპუტატმა, მაშინ როცა დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო 50-ზე მეტი პარლამენტარის ხმა.**



უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ყირგიზეთის კონსტიტუციის ახალი რედაქცია რომ მიეღო, ქვეყნის პრეზიდენტს მიეცემოდა ოლქების გუბერნატორების და რაიონების ხელმძღვანელთა დანიშვნის უფლება, იგი შეძლებდა ქვეყნის ძალოვან და სამართალდამცველ სტრუქტურათა საქმიანობის გაკონტროლებას, მათი ხელმძღვანელების დანიშვნას ან თანამდებობიდან გათავისუფლებას. 8 ნოემბერს მიღებული კონსტიტუციით, ეს ფუნქციები პრემიერ-მინისტრის პრეროგატივა იყო. გარდა ამისა, პრეზიდენტი შეძლებდა მთავრობის გადაყენებას და დეპუტატთა კორპუსის დათხოვნას.

ახალი ძირითადი კანონი ითვალისწინებს იმას, რომ მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოს პრემიერ-მინისტრმა, თვით პრემიერს კი ნიშნავს საპარლამენტო უმრავლესობის პარტია. ქვეყნის პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობა არჩეულია მხოლოდ ერთმანდატიანი ოლქებიდან.

კონსტიტუციის ახალი პროექტი მოამზადა პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფმა და იგი დახვეწეს ყირგიზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციური კანონმდებლობის, სახელმწიფო მოწყობისა და კანონიერების კომიტეტში.

ცვლილებათა შეტანის ინიციატორი იყო ერთბაშად რამდენიმე პარლამენტარი, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად საჭიროა 8 ნოემბერს მიღებული კონსტიტუციის ნორმების კანონთა შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, საჭიროა ვითარების „ჰარმონიზაცია" მას შემდეგ, რაც 19 დეკემბერს გადადგა ყირგიზეთის მთავრობა ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ფელიქს ყულოვთან ერთად.

№ 256. ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი, 2006 წელი.

# ერაყში სამი ათასამდე ამერიკელი დაიღუპა

**პენტაგონმა გაავრცელა ინფორმაცია ერაყში ამერიკელთა სამხედრო კონტინგენტის მორიგი დანაკარგების შესახებ.**

შაბათს ბაღდადსა და მის გარეუბნებში მოთარეშეებმა აამოქმედეს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები, რის შედეგადაც დაიღუპა 6 ამერიკელი ჯარისკაცი. 2003 წლის მარტიდან ამერიკელთა საერთო დანაკარგები შეადგენს 2969 სამხედრო მოსამსახურეს. გარდა ამისა, კიდევ 22,5 ათასი ამერიკელი დაიჭრა.

პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელიც საშობაო არდადეგებს ატარებს მერილენდის შტატის კემპ-დევიდის რეზიდენციაში, ტელეფონით დაუკავშირდა 10 სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ერაყსა და ავღანეთში, ან ცოტა ხნის წინ დაბრუნდნენ სამშობლოში. **„ბუშმა ამით გაუსვა ხაზი, რომ იგი დიდად აფასებს ამერიკელ ჯარისკაცებს და მიულოცა მათ შობის დღესასწაული"**, – აღნიშნა თეთრი სახლის პრეს-მდივნის მოადგილემ დანა პერინომ.

პრეზიდენტი, რომელმაც ამ დღეებში აღიარა, რომ შეერთებული შტატები „ვერ იგებს ომს ერაყში", ცდილობს ამ ქვეყანაში „გამარჯვების მიღწევის სტრატეგიის და ტაქტიკის კორექტირებას, ეთათბირება პენტაგონსა და სახელმწიფო დეპარტამენტს. შაბათს მან მოისმინა ახალი თავდაცვის მინისტრის რობერტ გეიტსის აზრი, რომელიც კემპ-დევიდში ჩაფრინდა ერაყიდან, სადაც სამი დღის განმავლობაში ეცნობოდა სიტუაციას.

სამშაბათს ბუში გაემგზავრება ტეხასის შტატის ქალაქ კროუფორდის მახლობლად მდებარე რანჩოში, სადაც შეხვდება ახალ წელს. მაგრამ, 28 დეკემბრისთვის მან დანიშნა ეროვნული უშიშროების საბჭოს თათბირი, რათა განიხილოს ერაყში მოქმედების სხვადასხვა ვარიანტი.

პერინოს თქმით, მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ბუში გამოაცხადებს 23 იანვრამდე, როცა დაგეგმილია მისი ყოველწლიური ტრადიციული მიმართვა შეერთებული შტატების მოსახლეობისადმი, რომელიც, როგორც წესი, ეძღვნება ქვეყანაში არსებულ ვითარებას.

ამავე დროს, გასულ კვირას ბუშმა განაცხადა, რომ შესაძლებლად მიაჩნია ქვეყნის შეიარაღებული ძალების რაოდენობის გადიდება. ბუშმა რობერტ გეიტსს სთხოვა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველყოფის მიზნით, წარუდგინოს ამერიკელთა ჯარების რიცხვის გაზრდის გეგმა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის სახმელეთო ჯარების რიცხვი სადღეისოდ 507 ათასს შეადგენს, და უახლოეს მომავალში იგი 512 ათასამდე უნდა გაიზარდოს.

თუმცა, სარდლობას მიაჩნია, რომ სახმელეთო ჯარების შემადგენლობას კიდევ უნდა დაემატოს 30 ათასი კაცი.



# ეთიოპია ბომბავს სომალის აეროპორტებს

**ეთიოპიის ავიაგამანადგურებლებმა მიაყენეს დარტყმები სომალის ორ მთავარ აეროპორტს. სომალის ტერიტორიის დიდ ნაწილს აკონტროლებს „ისლამურ სასამართლოთა კავშირის" ორგანიზაცია.**

ბრძოლები ისლამისტების წინააღმდეგ გაჩაღებულია ქალაქ ბაიდოადან სულ რაღაც 20 კილომეტრის მანძილზე, რომელსაც შეაფარა თავი სომალის დედაქალაქიდან გამოქცეულმა მთავრობამ.



რამდენიმე კვირის განმავლობაში ეთიოპია ჯიუტად უარყოფდა, რომ მისი შეიარაღებული ძალები ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციებს მეზობელ ქვეყანაში. მაგრამ ამ ბოლო დღეებში შენიშნეს სამხედრო თვითმფრინავები, რომლებიც ბომბავდნენ სომალის ტერიტორიის სიღრმეში განლაგებულ სამიზნეებს, აგრეთვე ეთიოპიელთა სამხედრო ტექნიკის კოლონიები.

ორშაბათს დილით ეთიოპიის შეიარაღებული ძალების „მიგის" ტიპის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ორი ბომბი მოგადიშოს აეროპორტში, აგრეთვე მიაყენეს დარტყმები ქვეყნის სიდიდით მეორე აეროპორტს, რომელიც დედაქალაქიდან 60 კილომეტრიდან მდებარეობს.

ეთიოპიის პრემიერ-მინისტრმა მელეს ზენავიმ არ უარყო, რომ მისი სახელმწიფო ებრძვის „ისლამურ სასამართლოთა კავშირს", რომელმაც თავის კონტროლს დაუმორჩილა სომალის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი. პრემიერი აცხადებს, რომ ეთიოპია აიძულეს ჩაბმულიყო ომში.

მელეს ზენავიმ ასევე განაცხადა, რომ ეთიოპიელები სომალიდან ჯარებს გამოიყვანენ, მაშინვე, როგორც კი მიაღწევენ ომში გამარჯვებას.

„დარწმუნებული ვარ, რომ სომალის ბედი მხოლოდ ამ ქვეყნის ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ჯარებს გამოვიყვანთ, როგორც კი შევასრულებთ ჩვენს მისიას. ეთიოპიას არ სურს სომალიში რაიმე ახალი მთავრობის ჩამოყალიბება და არანაირი გეგმები არ გააჩნია ამის თაობაზე", – განაცხადა პრემიერმა.

ზოგიერთი მონაცემით, სომალიში ეთიოპიელთა ჯარების რიცხვი 8 ათასს აღწევს. გარდა ამისა ერითრეამაც, რომელსაც საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვს ეთიოპიასთან, ასევე გაგზავნა 2 ათასამდე ჯარისკაცი სომალის იმ რაიონებში, რომლებსაც ისლამისტები აკონტროლებენ.

საერთაშორისო გაერთიანების მიერ აღიარებული სომალის გარდამავალი მთავრობა სადღეისოდ აკონტროლებს ქვეყნის მხოლოდ მცირე ტერიტორიას ქალაქ ბაიდოას მიდამოებში.

„ისლამურ სასამართლოთა კავშირის" მოძრაობა უარყოფს, რომ აქვს რაიმე კონტაქტები „ალ-ყაიდასთან". ამ მოძრაობას სომალიში მრავალი მხარდამჭერი ჰყავს.

გარდამავალ მთავრობას არ ძალუძს სათანადო დონეზე შეინახოს ქვეყნის არმია, და ახლა, როგორც ჩანს, მას ეთიოპია იცავს.

ეთიოპიის თვითმფრინავების მიერ სამიზნეების დაბომბვამ მძიმე დარტყმები მიაყენა ისლამისტთა პოზიციებს, რომლებმაც ქვეყნის დედაქალაქ მოგადიშოში გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია.

# დღის ამბები

● ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა თავისთვის ჩაილაპარაკა, ამათ სეირს გაჩვენებთო, ჩანთიდან რაღაც შეხვეული ამოიღო და მაგიდაზე დადო. ცოტა ხანში მოფუილე გერმანელები ნელ-ნელა შემოგვეცალნენ გვერდიდან



◉ ინფორმაცია

## სერგეი შამბა იმუქრება

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ევროკავშირის ელჩ პიტერ სემნების მიერ გაკეთებულ განცხადებაზე კომენტარს აკეთებს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინათ სემნებმა განაცხადა, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი დღის წესრიგში არც არასოდეს იდგა და არც არასოდეს დადგება.**



— თუკი მან უკეთ იცის, რის გაკეთებას აპირებს რუსეთის ხელისუფლება, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, კოსოვო პრეცედენტი იქნებაო, არა მგონია, ასეთი დიდი სახელმწიფოს მეთაური სიტყვებს ჰაერში ისროდეს, — ამბობს სერგეი შამბა და დასძენს, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყდება კოსოვოს ბედი აფხაზეთი თავის პრინციპებზე უარს არასოდეს იტყვის.

— ჩვენ დამოუკიდებლობაზე უარს არასოდეს ვიტყვით. თუკი საჭირო იქნება ამ ბრძოლას ჩვენი შვილები გააგრძელებენ, — ამბობს ბალაფშის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი.

* * *

**საქართველოს მიერ შეთავაზებულ ქართველებთან ერთად ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების წინადადებაზე კომენტარს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აკეთებს და ამბობს რომ აფხაზეთმა საქართველოთვის დათმობების რესურსთა მარაგი უკვე ამოწურა.**

— დათმობათა და კომპრომისთა რესურსი აფხაზეთმა ჯერ კიდევ 1999 წელს ამოწურა. 1992 წელს ჩვენ ფედერაციულ მოწყობაზე ვიყავით თანახმა. 1999 წლამდე კი კონფედერაციულ მოწყობაზე, მაგრამ საქართველსგან ამ შეთავაზებებზე ვერავითარი პასუხი ვერ მივიღეთ. ამის შემდეგ 1999 წელს რეფერენდუმი ჩავატარეთ, რომელზეც გადაწყდა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იყოს, — ამბობს სერგეი შამბა და დასძენს, რომ ამჟამად აფხაზეთი საქართველოსთან მხოლოდ მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის იღვწის, და სხვა დანარჩენზე საუბარიც კი ზედმეტია.

## ლატვიაში — უვიზოდ

**საქართველოს მოქალაქეებს ლატვიის ტერიტორიაზე ვიზის გარეშე შესვლის უფლება მიეცათ.**

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იტყობინებიან, უვიზო გადაადგილება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ლატვიაში ძალაში შევიდა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს გადაწყვეტილებები.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს შენგენის ზონის წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების ვიზა და ცხოვრების ნებართვა, ასევე შვეიცარიის ან ლიხტენშტეინის მიერ გაცემული ცხოვრების ნებართვა, შეუძლია ლატვიის რესპუბლიკის ტერიტორია, ტრანზიტის მიზნით, ლატვიური ვიზის გარეშე გადაკვეთოს.

მესამე ქვეყნის მოქალაქის ლატვიის ტერიტორიაზე ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ დღეს.

## ზუგდიდში ლტოლვილებს ვერაფრით აიმედებენ

**ზუგდიდში, სასტუმრო „ოდიშში“ კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს მათზე რიცხული დავალიანებების გადაუხდელობის შემთხვევაში ელექტროენერგიის მიწოდება არ აღუდგებათ, — განაცხადეს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში.**



ენერგოკომპანიის ინფორმაციით, მიმდინარე თვეში მათ მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის საფასური აღემატება სახელმწიფოს მიერ ჩარიცხულ სუბსიდიებს და დავალიანება 3749 ლარს შეადგენს.

მისივე ინფორმაციით, კომპანიის წარმომადგენლებმა ისინი ერთი კვირით ადრე გააფრთხილეს შესაძლო გათიშვასთან დაკავშირებით.

## ლეიბორისტები ხელისუფლებას ადანაშაულებენ

**ზესტაფონის საკრებულოს წევრმა ლეიბორისტული პარტიიდან გიორგი გოგლიჩიძემ რაიონში გაზის გათიშვა ადგილობრივ ხელისუფლებას დააბრალა.**

როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ზესტაფონის გამგებლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას ბუნებრივი აირის დავალიანება არა აქვს, თუმცა კომპანია „იტერა- საქართველომ“, ხელისუფლების უუნარობის გამო, გაზი გათიშა.

ლეიბორისტული პარტიის წევრის განცხადებით, თუკი რაიონში მდგომარეობა ათი დღის განმავლობაში არ გამოსწორდა, 2007 წლის 5 იანვრიდან საპროტესტო აქციებს დაიწყებენ.

## სამედიცინო უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს



**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გუშინ რექტორის არჩევნები ჩატარდა. 20-კაციანმა აკადემიურმა საბჭომ რექტორად არჩევნებში მონაწილე ერთადერთი კანდიდატი, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მენაბდე ოთხი წლის ვადით აირჩია.**

უნივერსიტეტის რექტორატის შენობაში გამართულ პრესკონფერენციაზე რექტორის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დავით თოიძემ განაცხადა, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა და მენაბდემ ხმების 100 პროცენტი მიიღო.

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი მენაბდეს თქმით, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში იგი იზრუნებს, რათა სასწავლებელმა საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღოს. ამისთვის საჭიროა სასწავლო პროგრამების დახვეწა და ახალი სამედიცინო ლიტერატურის შემოტანა, რათა სასწავლო პროგრამები ევროპულ სტანდარტს მიუახლოვდეს.

## ტრაგედია ოტობაიაში

**გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში ბაბუა და შვილიშვილი, 52 წლის ლოთი გითოლენდია და 5 წლის დიმიტრი შენგელია დაიხრჩვნენ.**

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ოტობაიელ ლოთი გითოლენდიას 5 წლის შვილიშვილი, რომელიც მოწამლული იყო, ზუგდიდში საავადმყოფოში უნდა გადაეყვანა, მაგრამ ენგურის ხიდზე აფხაზებმა არ გაატარეს.

როგორც გალის რაიონის გამგებლის მოადგილემ გია ლომიამ განაცხადა, აფხაზებმა ლოთი გითოლენდიას, ზუგდიდისკენ გადასვლის სანაცვლოდ, 5 ათასი რუსული რუბლი მოსთხოვეს.

— გარდაცვლილს ფული არ ჰქონდა, ამიტომ მან გადაწყვიტა, მდინარეზე გადასულიყო. მოხუცს, სავარაუდოდ, გულის შეტევა მოუვიდა, წყალში გასვლა ველარ შეძლო და უბედური შემთხვევაც ამან გამოიწვია, — აღნიშნა ლომიამ.

გარდაცვლილების ცხედრები გამთენიისას იპოვნეს.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

◉ ლაურეატობის კანდიდატი

## გუდის ყველი და მოფუილე გერმანელები

**რუისპირში დავითობის დღესასწაულზე მთელი სოფელი ეკლესიასთან იკრიბებოდა. დღეობის შესაფერისი ზეიმი ყოველთვის ქართული ჭიდაობით მთავრდებოდა: ღია ცის ქვეშ ნახერხმოყრილ სარბიელზე მუხლისა და მკლავის ძალას უსინჯავდნენ ერთმანეთს ჯანიანი ბიჭები. თანატოლებში ერთი ჯმუხი ყმაწვილი გამოირჩეოდა, რომელიც ყველა შერკინებიდან გამარჯვებული გამოდიოდა. ბავშვს მიხედე, მისგან კარგი ფალავანი დადგებაო, — ეუბნებოდნენ ზვიად ხანჯალიაშვილის მამას, თანასოფლელები. ისიც ერთ მშვენიერ დღეს გივი ფოთოლაშვილს მიადგა დარბაზში.**

— თელავი ჩემი სოფლიდან შვიდ კილომეტრზეა,— მითხრა ზვიადმა. — კვირაში სამჯერ დავდიოდი ქალაქში სავარჯიშოდ. ცხრა წლისას (დაიბადა 1983 წლის 5 იანვარს) მიჭირდა ამ სიშორეზე სიარული, მაგრამ თავიდან მამის ხათრით არაფერს ვამბობდი. მერე ისე შემიყვარდა კიმონო და დარბაზი, რომ იქიდან გამოსვლა აღარ მინდოდა...

თექვსმეტი წლისამ უცებ აიყარა ტანი. სიმაღლეში ორ მეტრს რომ ასცდა, კალათბურთის მწვრთნელებმა ყურადღება მიაპყრეს. რაც მეტს ურჩევდნენ „პროფილის“ შეცვლას, მით უფრო მონდომებით ვარჯიშობდა ძიუდოში. 1999 წლიდან თბილისში გადმოიყვანეს და მას შემდეგ აქ იმაღლებს ოსტატობას ჯემალ ნათელაშვილისა და შოთა ხაბარელის ხელმძღვანელობით. **1999 წელს ჭაბუკებში გახდა საქართველოს ჩემპიონი, იმავე წელს თანატოლებში თურქეთის საერთაშორისო ტურნირი მოიგო და დანიაში ევროპის ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე იასპარეზა, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. 2002 წელს კონტინენტის ახალგაზრდული პირველობა მოიგო. სამჯერ იჭიდავა საქართველოს ფალავნობაზე: 2002 წელს მესამე ადგილზე გავიდა, 2003 წელს — მეორეზე, 2006 წელს კი ყველას აჯობა. წლეულსვე ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა და გუნდური მსოფლიო თასის მფლობელი გახდა.**

— ფაქტობრივად, შარშან ნოემბერში თავიდან დავიწყე ჭიდაობა, — გულდაწყვეტით ამბობს გოლიათი ფალავანი. — გახსოვთ, ალბათ, 2004 წლის თებერვალში ჰამბურგის საერთაშორისო ტურნირზე გერმანელ ტოლცესთან შერკინებისას წვივის ძვალი გამებზარა, ჯვარედინი იოგები გამიწყდა და მენისკები გამეგლიჯა. ათენის ოლიმპიადაზე გამგზავრებას ვინ ჩივის, ტატამზე ჩემი დაბრუნება, საერთოდ, საეჭვო გახდა. ბედად, თბილისის ტურნირზე სახელოვანი გერმანელი დასტაქარი, მიხაელ შუმახერის პირადი ექიმი დუსბახერი გვესტუმრა. გასინჯვის შემდეგ გერმანიაში მიმიწვია საოპერაციოდ. ორჯერ მომიწია დანის ქვეშ დაწოლა. ყველაფერი ეს ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. უანგაროდ დამიდგა გვერდით ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი. სხვებიც დამეხმარნენ ფინანსურად. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სხვადასხვა დროს თანადგომისთვის მადლობა გადავუხადო ბატონ შოთას, თელავის მერიას, კახელ მეღვინეს ნოდარ საქუაშვილს, სამშენებლო კომპანია „იბერიის“ გენერალურ დირექტორს ივა მოსაშვილს, ქალბატონ მედეა მეზვრიშვილს.

**— ევროპის ჩემპიონატზე გამართულ ორთაბრძოლებზე რას იტყვი?**

— როგორც გითხარით, ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ შარშან ნოემბერში შევუდექი ვარჯიშს. წლეულს პარიზის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დავიკავე — ფინალური ორთაბრძოლა იაპონელ ტაკაისთან დავთმე. მწვრთნელები მენდნენ და ევროპის ჩემპიონატზე წამიყვანეს. ფინეთში, სამწუხაროდ, პირველივე ორთაბრძოლა წავაგე პოლონელ მეტოქესთან. რადგანაც იგი ფინალში გავიდა, მე დამამშვიდებელ ჯგუფში ჩავერთე. ჯერ ფრანგს ვძლიე, მერე ჰოლანდიელ ვან დერ გესტს და ესტონელ პადარის, რითაც ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, რაც დიდ სარბიელზე ხელახალი დებიუტისთვის ურიგო არ უნდა იყოს.



**— ყველაზე მეტად რომელი პაექრობა დაგამახსოვრდა?**

— გუნდურ მსოფლიო თასზე კორეელთან ჭიდაობა. ეს იყო ნახევარფინალური შეხვედრა. სამით სამზე ჩემმა გამარჯვებამ ფინალში გაგვიყვანა. ჩვენი ბიჭების გაბრწყინებული სახეები არასდროს დამავიწყდება.

**— კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებ?**

— სამი წლის წინათ ჰამბურგის ტურნირიდან მატარებლით ვიმგზავრეთ. მწეველთა ვაგონში მოვხვდით. გერმანელებმა რომ ნახეს, ბოლი არ გვსიამოვნებდა, თან უცხო ენაზე ვლაპარაკობდით, უფრო გაუტიეს. რა უნდა გვექნა, ადგილებს ვინ შეგვიცვლიდა. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა თავისთვის ჩაილაპარაკა, ამათ სეირს გაჩვენებთო, ჩანთიდან რაღაც შეხვეული ამოიღო და მაგიდაზე დადო. ცოტა ხანში მოფუილე გერმანელები ნელ-ნელა შემოგვეცალნენ გვერდიდან. სუნმა ჩვენც რომ შეგვაწუხა, ბატონმა ანზორმა გუდის ყველი ისევ ჩანთაში ჩადო.

**— რამდენიმე დღეში ახალი წელი შემოაბიჯებს. როგორი იმედებით ხვდები მას?**

— ნაკრებში დიდი კონკურენციაა. ძალიან მინდა, ეროვნულ გუნდში ადგილი დავიბევო და პეკინის ოლიმპიადის საგზური მოვიპოვო. თამაშებში მონაწილეობა ჩემი ბავშვობის ოცნებაა.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

# სპორტი

● ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ბატონი შოთა ხაბარელი 11 ათასი დოლარით დაჯილდოვდა, ხოლო მისი დამოძღვრილი ეროვნული გუნდი, რომელმაც ფინალში რუსთა ძლევით მსოფლიო თასი დაიმსახურა, 36 ათას დოლარს მიიღებს



**ჭადრაკი**

## ფედერაციას რომან სიჭინავა უთავკაცებს

**გასულ უქმეებზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყრილობა გაიმართა. მოგეხსენებათ, თავიდან პრეზიდენტობის ათმა მსურველმა წარადგინა თავისი კანდიდატურა. საბოლოოდ მარათონს ორნი შემორჩნენ — რომან სიჭინავა და ვატო ბოჭორაძე. კენჭისყრის შემდეგ 88 ხმით (ოთხის წინააღმდეგ) გაიმარჯვა სიჭინავამ და ეროვნულ ფედერაციასაც ის უხელმძღვანელებს.**

— ბოლო რვა წელიწადი მოსკოვში ვიცხოვრე და ბიზნესით ვიყავი დაკავებული, — მითხრა მილოცვის შემდეგ ბატონმა რომანმა. — ორი თვის წინათ თბილისში რომ დავბრუნდი, ჭადრაკის სასახლის სიცარიელემ გამაოცა და დამაღონა. უწინდელივით აქ სიცოცხლე აღარ დუღს. ასეთ მდგომარეობაში იგი ომის დროსაც არ ყოფილა. მეგობრებმა მთხოვეს, ლიდერის პოზიცია დამეკავებინა და ფედერაციის პრეზიდენტობაზე კენჭი მეყარა.

მართალი გითხრათ, სარისკო საქმე იყო, რადგან ჩემთვის ცნობილია იმ ვალებისა და პრობლემების თაობაზე, რაც დღეისთვის ფედერაციას და ჭადრაკის სასახლეს აწუხებს. ამის მიუხედავად, უარი ვერ ვუთხარი მეგობრებს, რომელთა ერთი ნაწილი სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს და მათგანაც მქონდა მხარდაჭერა. როგორც აღვნიშნე, დიდი ხანია, ბიზნესმენთა წრეში ვტრიალებ და აქაც ბევრი თანამოაზრე აღმოამჩნდა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა და ჭადრაკისადმი დიდმა სიყვარულმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც თანადგომა გამოიცხადა და ყრილობაზე მხარი დამიჭირა. მომავალში სწორედ ასეთი ერთსულოვნებით დავძლევთ ფედერაციაში არსებულ კრიზისს. უპირველესი, ცხადია, ვალების გასტუმრება იქნება. მოყვარული მოჭადრაკეებიდან დაწყებული ოლიმპიური ნაკრების წევრებით დამთავრებული, ყველას სათანადო ყურადღება მიექცევა. ბრძენთა თამაშის მოყვარულნი ჭადრაკის სასახლეს უნდა დავუბრუნოთ...

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**



*სადარბაზო ბარათი*

**დაიბადა 1973 წლის 13 ნოემბერს სენაკში. ჭადრაკის თამაში დაიწყო 7 წლისამ მიხეილ ქურდოვანიძის ხელმძღვანელობით. 1982 წლიდან გოჩა ტყებუჩავა ავარჯიშებდა. 1994 წელს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. სხვადასხვა ასაკში შვიდჯერ აქვს მოპოვებული საქართველოს ჩემპიონობა. უფროსებში ტიტული ერთხელ გიორგი ბაღათუროვთან გაიყო. ორჯერ გუნდური მსოფლიო უნივერსიადა მოიგო (1994 წ.ბულგარეთი და 1996 წ.ესპანეთი), ერთხელ (1998 წ.ჰოლანდია) მესამე ადგილი დაიკავა. 1997 წელს საქართველოს ნაკრებთან ერთად ბრაზილიაში 28-წლამდელთა მსოფლიო პირველობაზე გაიმარჯვა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ჰყავს მეუღლე — საერთაშორისო დიდოსტატი დიანა დარჩია და 6 წლის ვაჟი დიმიტრი.**

**ორბიტაზე**

## თხილამურებით — საავადმყოფოში



**სახელგანთქმულმა სპორტსმენმა და მსახიობმა, ამჟამად კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა თავის ოჯახთან თხილამურებით სრიალის დროს ფეხი მოიტეხა და საავადმყოფოში აღმოჩნდა. რენტგენზე გაშუქებამ აჩვენა მარჯვენა ბარძაყის მოტეხილობა.**

59 წლის გუბერნატორის პრეს-მდივნის თქმით, არნოლდი ძალზე გამოცდილი და ოსტატი მოთხილამურეა, ისე რომ, მომხდარი ტრაგიკულ შემთხვევითობად უნდა ჩაითვალოს. მთიდან დაშვებისას შვარცენეგერი მარტო იყო, ამიტომ მის გარდა ოჯახის წევრებიდან არავინ დაშავებულა.

ლოს-ანჟელესში დაბრუნებისას მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კულტურისტს ოპერაციას გაუკეთებენ. ამჟამად ის აილახიოს შტატის სამთო-სათხილამურო კურორტზე თავის სახლშია, სადაც შობა იდღესასწაულა.

## რომანტიკული ხელის თხოვნა

**პოპულარული სერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავი ევა ლონგორია ბოლოს და ბოლოს თხოვდება — მისმა დიდი ხნის სიყვარულმა, „სან-ანტონიოს“ კალათბურთელმა ტონი პარკერმა მას ქორწინება შესთავაზა.**

ტონი სპეციალურად ჩაფრინდა ლოს-ანჟელესში, სადაც ევა ცხოვრობს. მან მსახიობის ოთახში იატაკი ვარდის ფურცლებით დაფარა და სანთლები აანთო... „ყველაფერი ისე რომანტიული იყო, რომ ემოციები ვერ დავფარე და ავტირდი“, — ამბობს ლონგორია.

საქორწინო ცერემონია ერთ-ერთ უძველეს ფრანგულ ციხე-დაბაზში გაიმართება 2007 წლის 7 ივლისს, თანაც ძალზე ხელმოჭერილად.



**დაჯილდოება**

## ღვინოც დალიეს, ლექსიც თქვეს რჩეულთა სადიდებელი

**იყო ღვინის სმაც, პურობაც, ლექსებად თქმული სადღეგრძელოებიც, ცეკვაც და სიმღერაც, ანუ ყველაფერი ის, რაც დღესასწაულს უხდება. საზეიმო განწყობა კი ნამდვილად ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებმაც წლების განმავლობაში ასახელეს საქართველო და საკუთარი მკლავისა და მუხლის ძალით დღესაც იცავენ სამშობლო ქვეყნის ღირსებას. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ტრადიციულად რიყეზე რესტორან „სარაჯიშვილში“ უხმო ვეტერან და მოქმედ ათლეტებს, მათს მწვრთნელებს, არბიტრებსა და მასმედიის წარმომადგენლებს 2006 წლის რჩეულ სპორტსმენთა დაჯილდოებაზე. ამ ზეიმის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი დავით ნამგალაური გახლდათ...**

დეპარტამენტის ვერსიით, ახალგაზრდებს შორის საუკეთესოებად აღიარეს ფიგურულად მოციგურავე **ელენე გედევანიშვილი** და ძიუდოისტი **ადამ ოქრუაშვილი**. წლის აღმოჩენად მონათლეს მსოფლიო და ევროპის პირველობების მეორე პრიზიორი **დავით მოძმანაშვილი**. საუკეთესო ახალგაზრდულ ნაკრებად — ევროპის B ჯგუფის გამარჯვებული **კალათბურთელები**. საუკეთესო მწვრთნელის პრიზი გადაეცა ევროპელ კოლეგებს შორისაც უპირველესს, საქართველოს ძიუდოისტთა მთავარ დამრიგებელს, ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ხაბარელს, რომელსაც დღეს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აქვს. ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ბატონი შოთა 11 ათასი დოლარით დაჯილდოვდა, ხოლო მისი დამოძღვრილი ეროვნული გუნდი, რომელმაც ფინალში რუსთა ძლევით მსოფლიო თასი დაიმსახურა, 36 ათას დოლარს მიიღებს. ასევე, ფულადი პრემიები ხვდათ თორმეტ და თექვსმეტწლიან მოჭადრაკეთა შორის მსოფლიო ჩემპიონებს — **მარიამ დანელიას** და **სოფიო გურამიშვილს** წლის საუკეთესო ნაკრების სახელი ერგო **მორაგბეთა ეროვნულ გუნდს**, რომელმაც მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.



დარბაზში შეკრებილნი მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენს, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის ოქროსმედალოსანს, მსოფლიო თასის მფლობელი ნაკრების წევრ **ზაზა კედელაშვილს.** მას ჯილდოდ შვიდი ათასი დოლარი გადაეცა.

— ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, — მითხრა ზაზამ. — ტიტულოვან სპორტსმენთა შორის რომ გამომარჩიეს და პირველ ნომრად დამასახელეს. აღიარებასთან ერთად ეს ვალდებულებაცაა და ყველაფერს გავაკეთებ იმედების გასამართლებლად.

„იბერია ბიზნეს ჯგუფის“ პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა ზაზას საუკეთესო სპორტსმენობა და თან შეჰპირდა — პეკინიდან ასევე ოქროს მედლით თუ დაბრუნდები, ჩემს კომპანიაში რომელ მანქანასაც ხელს დაადებ, შენი იქნება. საერთოდაც, „ფოლკსვაგენი“ 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს ჯილდოს აქედანვე ჰპირდება.

**ვაჟა ნოსირელი**



**სურათებზე: ზაზა კედელაშვილი დაჯილდოების შემდეგ; ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა შოთა ხაბარელს ვადამდე მიულოცა იუბილე.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

**ფეხბურთი**

## ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XVIII ტური.** „ინტერი“-„ატალანტა“ 2:1, „რომა“-„კალიარი“ 2:0, „სიენა“-„პალერმო“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 48, „რომა“ — 41, „პალერმო“ — 35 ქულა.

**ბომბარდირი:** ტოტი („რომა“) — 12 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ტორინო“-„ინტერი“, „მესინა“-„რომა“, „პალერმო“-„უდინეზე“.



**ინგლისი. XIX ტური.** „ასტონ ვილა“-„მანჩესტერი“ 0:3, „უიგანი“-„ჩელსი“ 2:3, „ლივერპული“-„უოტფორდი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ — 47, „ჩელსი“ — 45, „ლივერპული“ — 34 ქულა.

**ბომბარდირი:** დროგბა („ჩელსი“) — 10 გოლი.

**შემდეგი ტური:** „მანჩესტერი“-„უიგანი“, „ჩელსი“-„რედინგი“, „ბლექბერნი“-„ლივერპული“.

**საფრანგეთი. XIX ტური.** „ლიონი“-„მონაკო“ 0:0, „ნიცა“-„ლანსი“ 1:2, „სოშო“-„ნანსი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 50, „ლანსი“ — 35, „სოშო“ — 33 ქულა.

**ბომბარდირები:** დინდანე („ლანსი“), ბანგურა („ლე მანი“) — 8-8 გოლი.

**ჰოლანდია. XVIII ტური.** „ეინდჰოვენი“-„ტილბურგი“ 4:0, „ალკმაარი“-„ნაიმეგენი“ 0:0, „ვიტესი“-„აიაქსი“ 4:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ეინდჰოვენი“ — 49, „ალკმაარი“ — 40, „აიაქსი“ — 38 ქულა.

**შოტლანდია. XX ტური.** „სელტიკი“-„ფალკირკი“ 1:0, „აბერდინი“-„რეინჯერსი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „სელტიკი“ — 51, „რეინჯერსი“ — 35, „აბერდინი“ — 34 ქულა.

**კალათბურთი**

## სუპერ„აზოტი“



**XVI ეროვნული ჩემპიონატის II წრე „ავიამშენისა“ და თსუ-ს უმძაფრესი ბრძოლით დაგვირგვინდა. „ვერცხლის“ მაძიებელთა პრინციპული დუელი ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა ბაბიაშვილის (25 ქულა), ხოშტარიასა და ირაკლი ბერიშვილის (18-18 ქულა) ძალისხმევით მოიგო 93:92 და ახალ წელს ამაღლებული განწყობით ეგებება. სწორედ ამ უკანასკნელმა ჩააგდო ბოლო წამებზე გადამწყვეტი საჯარიმოები და ჟურნალისტებმა სამართლიანადაც მიიჩნიეს ტურის საუკეთესო მოთამაშედ (სუპერლიგის ხანმოკლე ბიოგრაფიაში — უკვე მეორედ).**

რაც შეეხება გათამაშების უმთავრეს ფავორიტს, რუსთაველებმა დიდ შესვენებამდევე გამოუყვანეს წირვა სტუ-ს, როცა სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ და ბოლომდე უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე მორიგ წარმატებამდე — 97:67. ყველაზე შედეგიანად „აზოტიდან“ გამყრელიძემ (21 ქულა) ითამაშა.

„პლეი-ოფში“ მოსახვედრად მებრძოლმა თბილისის „დინამომ“ დროის დიდი ნაწილი მდევრის როლში გაატარა, თუმცა მას შემდეგ, რაც 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო სარბიელი „მაქაბის“ გოლიათმა ცენტრებმა — ძმებმა შერმადინებმა დატოვეს, ბადრიძეს (17 ქულა), კოლუაშვილს (15 ქულა), მურჯიკნელსა (14 ქულა) და ლაფანაშვილს (13 ქულა) მეორე სუნთქვა გაეხსნათ — 88:83.

**სატურნირო მდგომარეობა:** „აზოტი“ — 10, „ავიამშენი“, თსუ — 8-8, „დინამო“ — 6, სტუ — 3, „მაქაბი“ — 1 მოგება.

**დავძენთ, რომ ეროვნული ჩემპიონატი 3 თებერვალს განახლდება.**

ამ ბოლო ათწლეულში „მოდამ მოიტანა“ და ირღვევა არა მარტო წინაპართა ტრადიციები, არამედ ზნეობრივი და სულიერი მხარეც. არადა, სწორედ წინაპართა ტრადიციებით, ადათ-ჩვევებით განვსხვავდებით „სხვათაგან“!



სულის ფორიაქი

# ქართული გვექნება ჯიში, მაგრამ...

## რად გამიხარდა პატარა როსტომის თავგამოდება

**– „ტრადიციებზე დგას ის მშვენიერი სასახლე, რომელსაც ერის თვითმყოფადობა ჰქვია: სწორედ ტრადიციებში ჩანს ერის სულიერი სამყარო და, თუ გნებავთ, ისტორიაც! განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ყურადღება მიცვალებულთან დაკავშირებულ რიტუალებს. მართალია, დროთა განმავლობაში ტრადიციებს სახე ეცვლება, მაგრამ უნდა შევეცადოთ, შევუნარჩუნოთ მათ კეთილი მარცვალი, რომ ეს მარცვალი კეთილგონიერ ნერგად იქცეს კვლავ. ამისთვის საჭიროა, ხშირად ვუამბოთ ახალგაზრდობას მათ შესახებ!“ – ტელეეკრანიდან არაერთხელ უთქვამს ეს სიტყვები დიდ ერისკაცს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს. მის ნაჩუქარ წიგნებთან ერთად, იმ ტელეგამოსვლათა ხელნაწერები დღესაც ინახება ჩემს არქივში. იყო დრო, როდესაც მსგავს საკითხებზე ხშირად ვამზადებდით გადაცემებს საქართველოს ტელევიზიით. მათი უპირველესი ავტორი მუდმივად იყო ბატონი ნიკო. სწორედ მისმა ხსოვნამ და თვით თემის აქტუალობამ მიბიძგა, დღესაც დავბრუნებოდი „ერის სულიერ სამყაროს!“**

### შვილიშვილის საჩუქარი

**საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მეგობარი გარდამეცვალა. შესანიშნავი პიროვნება იყო, შესანიშნავი ქართველი კაცი, უაღრესად პროფესიონალი, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე მეოჯახე და მეგობართ მოყვარე, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ სამშობლოზე ამოსდიოდა მზე და მთვარე.**

– „მერე, მერე?.. შეჰმატე რამე, ამ შენი მოქმედებით, ქვეყანას?“ – ილიასეული ფრაზის მისმიერი ინტერპრეტაციით ისე დაგისვამდა ამ შეკითხვას, რომ ვალდებულს გაგხდიდა, მთელი სერიოზულობით გეპასუხა. და თუ დადებითი და დამაჯერებელი იყო შენი პასუხი, თვალში იმხელა სიამაყე ჩაელვრებოდა, ზღვა გეგონებოდათ ჩაგუბებული.

გასვენების წინა საღამოს ოჯახში შევიკრიბეთ ძმაკაცები და ახლობლები. თითქოს, გამგზავრების წინ ჩამოვჯექითო, ჩაფიქრებულნი... სიჩუმით ვამხნევებდით შინაურებს.

– მე დღეს სასაფლაოზე ვიყავი!.. – სიჩუმე დაარღვია გარდაცვლილის შვილიშვილმა.

– ბებია გენაცვალოს, წინასწარ ნახე ბაბუას სასაფლაო, შვილო?.. – მიესიყვარულა დამწუხრებული ბებია შვილიშვილს.

როსტომი 12-13 წლის ბიჭი იყო და ძალიან ამაყობდა ბაბუას მიერ შერქმეული სახელით.

– წინასწარ ვნახე!.. მითხრეს, ხვალ გავთხრითო საფლავს!..

– კი, წესია ასეთი! დასაფლავების დღეს უნდა გაითხაროს საფლავი!..

– წესი კი არის, მაგრამ... ბაბუა იტყოდა, ქრისტიან კაცს არაქრისტიანმა არ უნდა გაუთხაროსო საფლავი!.. ქალაქის იმ სასაფლაოზე კი ქრისტიანი მესაფლავეები არ ჰყოლიათ...

...ტვინში, რომელიღაც უჯრედი შეგვიტოკდა უფროსებს, გულმა მოძალებულად გაატარა სისხლი ძარღვებში და თვალებდაფართოებულებმა შევხედეთ როსტომს.

...მეორე დილით სასაფლაოზე ვიყავით ოთხი მეგობარი. როსტომსაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ გარდაცვლილის ოჯახის წევრს არ ეგებოდა ეს საქმე და დაგვიჯერა. სასაფლაოს ადმინისტრაციას შევუთანხმდით, მესაფლავეებს „თავისი“ გადავუხადეთ, მადლობაც მოვახსენეთ და საფლავის მიწის „გატეხვას“ შევუდექით.

...ეს საჩუქარი მაინც გაჰყვებოდა შვილიშვილისგან ბაბუას!

### სიკვდილსაც კი ამარცხებს ადამიანი

**საფლავის მიწის „გატეხვა“-მეთქი, ვთქვი ეს-ეს არის. ასე გამიგონია უფროსებისგან და იმიტომ ვთქვი! აბა, როგორია, „საფლავი გავუთხარეო“, რომ მეთქვა? საფლავს მტერსა და ავგულს „უთხრიან“ (თანაც წინასწარძ და ისიც არაა „მთლად ნამუსიანი საქმე“. მოკეთე და საყვარელი ადამიანისათვის მართლაც „ტყდება“ მიწა, მარადიული სასახლე ჩვენი ხორცისა. ამიტომ ასე ვიტყვი, „გავტეხეთ-მეთქი“ საფლავი, ისე, როგორც ჩემს სოფელში იციან! თუმცა, ჩემს სოფელში კი არა, მთელს საქართველოში უნდა სცოდნოდათ ასე ოდითგან, დაგვავიწყდა, თორემ!**

...მართებულად არც კი ვიცი, როგორ ვუწოდო, – პროკოფი ბიძია თუ პროკოფი ბაბუა-თქო. როცა გარდაიცვალა, ბატონი პროკოფი უკვე იმ ხნის იყო, რომ თვლა არ იცოდა იმდენამდე. როგორ ბრძანდებითო, რომ ჰკითხავდი, სოფლის თავში ერთი მოზრდილი ლოდი რომ იდო, აი ისთეო, იტყოდა. რა ხნის ხარ ახლა შენ პროკოფი-ბაბუაო, რომ ჰკითხავდი, ისევ იმ ლოდისკენ გაიშვერდა ხელს და აი, იმ ხნისაო, იტყოდა. მიუხედავად ამისა, მის გასვენებაზე ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც წინაპრებს უკარნახიათ!

ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს მის მონაგარს განზე, ყველა საჭირისუფლო საქმეს ისე შეუდგნენ, როგორც ეკადრებოდა ტრადიციულ მართლმადიდებელ ოჯახს.

როდესაც დასაფლავების დღეს სოფელში, დილაუთენიაო, რომ იტყვიან, ისეთ დროს ჩავედი, უზარმაზარი კაკლის ძირში შეკრებილიყო 30-მდე კაცი და ბჭობდა. გადასაწყვეტი იყო, ამდენ მსურველთა შორის, ვინ იქნებოდა საფლავის „გამტეხი“?!

კაცმა რომ თქვას, მეც მეკუთვნოდა ეს „პატივი“, მაგრამ ახლა თბილისიდან ჩამოსულ კაცს ვინ „შემაწუხებდა?!“ ერთი კი „წავიკნავლე“, – პროკოფი ბაბუა ყოფილა „საფლავის გამტეხი“ ბაბუაჩემის ბაბუისთვის და, ვალი მაქვს-მეთქი, მაგრამ არც მომისმინეს. ჩუმად, მოკრძალებულად იმსჯელეს, იდავეს, რატომ და რითი იყვნენ უპირატესნი ოჯახისათვის პატივმიგების მსურველნი სხვისგან გამორჩეულად და, როცა არგუმენტებმა „სიტყვა თქვა“ ოთხი შერჩეული კაცი გამოეყო თანასოფლელებს. დარჩენილებმა თითო ჭიქით მოუოხეს გარჯა და რჩეულები აუყვნენ აღმართს სოფლის სასაფლაოსკენ!

ოდის აივანზე ვიდექი და თვალს ვადევნებდი ამ უძველეს ტრადიციას, – დღეიდან ეს ოთხი ადამიანი ამ ოჯახის უპირველესი მოკეთე და ახლობელი იქნება სამიდღემჩიოდ, უმათოდ ლხინი არ იქნებოდა ამ ოჯახში, ნათლობა და ქორწილი. ჭირი ღმერთმა აშოროთ, თორემ, ჭირში ხომ თავისთავად! და ამ შესანიშნავი ადათით კიდევ უფრო მტკიცე ხდებოდა მოწიწება, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და სიკეთე.

ყველაფერი ეს უაღრესად კეთილ, სულის საოხ ტრადიციად მეჩვენა. ასე სიკვდილსაც კი ამარცხებენ ადამიანები!

...წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაუხარდება როსტომს ამ ამბის მოსმენა!

### სწორედ ამად გვქვია ქართველი

**მეშინია, სიტყვა არ გამიგრძელდეს თორემ კიდევ ბევრი რამე მაქვს სათქმელი.**

საქართველოს ყოველ კუთხეს თავისებური აქვს დასაფლავებასთან დაკავშირებული რიტუალები. მაგრამ ისინი მაინც ქართულია, ჩვენეულია და მისაღები. განსხვავებულია ეს რიტუალები გურიაში და სამეგრელოშიც. სამეგრელოში ცხედარს „გვამს“ არ უწოდებენ, რადგან „გვამი“ ნაგავს ჰქვია მეგრულში და რა საკადრისია ადამიანის ნეშტს ნაგავი უწოდო? მართალია, ზოგიერთი ლექსიკონი „გვამს“ ხშირად, საპატიო პიროვნებას უწოდებს, მაგრამ ვისაც გადაუქექავს სხვა ლექსიკონებიც, ნახავდა, მეგრელები და გურულები მართლები არიან – „გვამი“ ნაგავია!

და, თუ მაინც „ნაგავს“ იტყვიან, ასე პირუტყვისა და მტრის ლეშს „მიმართავენ“!

ამას წინათ რეკლამა ვნახე ტელევიზიით, – ვილაცა „სასახლეებს“ ყიდდა.

– „ჩვენი კუბოები უაღრესად თანამედროვეა. ზემოდან ან გვერდიდან ჩასახედი „ფანჯრები“ აქვთ და, რაც ყველაზე მთავარია, 40-50 წელიწადი უძლებენ მიწის სიმძიმეს!..“ – თავს იწონებდა მეკუბოვე „მენეჯერი“. იმაზე კი არ უფიქრია, ალბათ, მაცხოვარმა რომ გვიქადაქა – „მიწა ხარ და მიწად იქეც!“ უზნეობაა, 50 წელიწადი „აწვალო“ ცხედარი, ისევე, როგორც დაასაფლავო შენი მკვდარი წინასწარ, გასაყიდად გამზადებულ „ვილაცის“ საფლავში.

ეს – სხვათა შორის! წლების წინათ კი, დედაქალაქთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელში მეგობრის ძმა გარდაიცვალა. შეგვატყობინეს და სანუგეშოდ ჩვენც ჩავედით. დიდად იყო ოჯახი დამწუხრებული. შუადღის ჟამს დიდი ცრემლითა და პატივით დაასაფლავეს ეს ახალგაზრდა კაცი. სასაფლაოდან მობრუნებულებს გაშლილი სუფრა დაგვხვდა ეზოში. პირველად ვიყავი „აღმოსავლეთის“ ქელეხში. თავპატიჟი არაფრით გამოვიდოდა და, როცა სეფაში შევედით, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა – როგორც იტყვიან, მაგიდები იზნიქებოდა პურმარილისგან. მხოლოდ აქა-იქ ელაგა ლობიო და ფხალი... სამაგიეროდ თევზეულობასთან ერთად ხვავრიელად იყო ხაშლამა, ჩაქაფული... მოხარშული დედლები, გოჭის ხორცი, შაშხი. სუფრას ემატებოდა მწვადის სურნელიც...

პირი ვერ დავაკარე ლუკმას, რადგან სამეგრელოდან გახლდით და სამეგრელოში, არათუ ოჯახში, არამედ უბანშიც, ორმოცამდე ტაბუდადებულია ხორცის ჭამა და ამას იმით ამართლებენ, რომ სანამ მიცვალებული ხორციელად ჯერ ისევ „წესიერად არ გაციებულა“, ხორცს ქრისტიანმა კაცმა კბილი არ უნდა დააკაროს! ამიტომ სამარხვო სანოვაგით ეწყობა ქელეხის სუფრა სამეგრელო-გურიაში და მე ეს არ მიმაჩნია უბრალო, ხელწამოსაკრავ ტრადიციად!

ამ ბოლო ათწლეულში „მოდამ მოიტანა“ და ირღვევა არა მარტო წინაპართა ტრადიციები, არამედ ზნეობრივი და სულიერი მხარეც. არადა, სწორედ წინაპართა ტრადიციებით, ადათ-ჩვევებით განვსხვავდებით „სხვათაგან“!

მამული, ენა, სარწმუნოებაო, – ბრძანა სულკურთხეულმა ილიამ. სწორედ ეს სამი ფენომენი გახლავთ ერის თვითმყოფადობის გადამრჩენელი, სწორედ ამად გვქვია ქართველები! თორემ, თუ შევიცვლით „სახეს“, თუ შევიცვლით იერს, გავხდებით „სხვა!“ ყველა ერს აქვს „სილამაზის“ თავისი „ეტალონი“ და იგი ერთნაირად ძვირფასია ყველასთვის, ერთნაირად მივაგებ პატივს ყოველ მათგანს, მეც, მაგრამ ქართველები არ ვიქნებით, თუ არ გვექნება ქართული ზნე და ჩვეულება. გვექნება ქართული ჯიში, მაგრამ ვიქნებით სხვა!

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე და როსტომს ეს არ გვაძლევს ხელს.

ამიტომაც გამიხარდა როსტომის თავგამოდება!

**ზაურ ფიფია**

ვერნისაჟი



# „ჯინსების თაობა“

**ასე დაასათაურეს ქართველმა მხატვრებმა საშობაო გამოფენა, რომელიც შაბათს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა.**

ირაკლი ფარჯიანის, გია ლორიას, გია გოგლიძის, ნელი, მამუკა, ლია ცეცხლაძეების, ოლეგ ტიმჩენკოს, გელა მანჯავიძის, შალვა მატუაშვილის, გია გუგუშვილის, იური მეზურიშვილის, ბესიკ არბოლიშვილის, დათო კოკაიას, მარინა მახუტიშვილის, კარლო კაჭარავას, მერაბ აბრამიშვილის, თამაზ კაკაბაძის და რომან გვარლიანის ნამუშევრებმა ამ დარბაზში სწორედ თაობის ნიშნით მოიყარეს ერთად თავი. ისინი 80-იანელები არიან და კანონზომიერად აქვთ პრეტენზია, „ჯინსების თაობას“ დაუკავშირონ პირველი დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში.

გამოფენა, რომელიც „ჯინსების თაობას“ და ზურაბ ჟვანიას ხსოვნას მიეძღვნა, ახალ წლამდე გასტანს.

გამოფენის მოწყობის ორგანიზატორები არიან მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის – („მასკის“ძ დიზაინისა და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების პედაგოგი, მხატვრები დ. ქოიავა, მ. გახუტიშვილი, გ. გოგლიძე და რ. გვარლიანი. ისინი ასეთ გამოფენებს მომავალშიც მოაწყობენ.

**„მასკის“ პრესსამსახური**



№ 256. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2006 წელი.

# სხვადასხვა

● ძნელად წარმოსადგენია, ქრისტიან ხალხს უცებ ხის კენწეროზე მიცვალებულის დაკიდება დაეწყო. წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ არაფერი მსგავსი იმავე პირობებში და იქვე მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაში არ მომხდარა. ისმის კითხვა: საიდან გაჩნდა ქრისტიანულ ქვეყანაში (XVII-XVIII ს.ს.) დასაფლავების მისთვის შეუფერებელი წესი?



◎ ათასმეერთედ – აფხაზეთსა და აფხაზებზე

## შინაგანად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ

**რუსეთი თანდათანობით იკანონებს აფხაზეთს, ხდება ძირძველი ქართული მიწების ანექსია. ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია პოლიტიკოსების, მეცნიერების ერთ თვალსაწიერზე დგომა. მემატიანისეულ თუ მეცნიერულ მზერაში მრავალი წყარო, ფაქტი, დოკუმენტური მასალა ირეკლება, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ჭეშმარიტებას. ჩვენც მოკლედ შევეხოთ მათ.**

დავიწყოთ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილით, რომელიც ქართველი ერის ისტორიის პირველ ტომში წერს: **„კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს“**. როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ისტორიული აფხაზები და აფშილები ლაზ-მეგრელებისა და სვანების მსგავსად ქართველებია და არა თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრები.

ახლა მოვუსმინოთ ბატონ ნიკო ბერძენიშვილს: **„XVII საუკუნის აფხაზები კავკასიონებია, საკმაოდ გვიან ჩამოსულნი და მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა... მოხდა ის, რომ ფეოდალური ბარის დასუსტების შედეგად ჩამოწვა მთა“.** ღრმად პატივცემული მეცნიერი დაუფარავად ამბობს, რომ ისტორიული აფხაზები ქართველებია. ხოლო მოგვიანო პერიოდის აფხაზები (აფსუები) ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილი „კავკასიონები“.

ქართველ-აფხაზთა ისტორიული ურთიერთმიმართების შესახებ მდიდარ მასალას იძლევა ენობრივი მონაცემების, ტოპონიმების ლინგვისტური ანალიზი (იხ. ი. ჯავახიშვილის, გ. ახვლედიანის, პ. ინგოროყვას, ს.ჯანაშიას, ა. ჩიქობავას, თ. გამყრელიძისა და სხვათა შრომები). ამიტომვე შენიშნავს სიმონ ჯანაშია. **„ტოპონიმიკა ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის გასარკვევად იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გადმოცემის შუქი ვერ სწვდება“.** ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქართველ-აფხაზთა ურთიერთმიმართების პრობლემა არანაკლებ არის ლინგვისტიკის კვლევის საგანი.

ცნობილი რომაელი მოღვაწის პლინიუსის ცნობით, აფსუები I საუკუნეში ცხოვრობდნენ არა აფხაზეთში, არამედ კავკასიის მთებს გადაღმა, თერგსა და ვოლგას შორის მდებარე ტერიტორიაზე, რაც იმავე ეპოქაში საქართველოში (აფხაზეთში) მცხოვრებ ტომებთან (აფხაზ-აფსილ-აბაზგებთან) მათი დაკავშირების შესაძლებლობას სრულიად გამორიცხავს.

პლინიუსის ამ უმნიშვნელოვანეს ცნობას ადასტურებს არა მხოლოდ პროფესორ დიუბუა დე მონპერეს მიერ 1843 წელს შექმნილი რუკა, არამედ იტალიელი გეოგრაფის ჯ. გასტალდის მიერ 1561 წელს შედგენილი რუკაცა და ზოგი სხვა უცხოური რუკებიც. უკლებლივ ყველა ამ რუკის ერთსულოვნება შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.

ისტორიული აფხაზ-აფშილ-აბაზგები მაღალგანვითარებული, მიწათმოქმედი, მწიგნობარი და სულიწმიდას მადლით ხელდასმული ხალხია. მოგვიანო პერიოდისა (XVII-XVIII ს.ს.) კი – მესაქონლე, მწიგნობრობის არმქონე და წარმართული რელიგიის მატარებელი ხალხი. მოგეხსენებათ ასეთ მეტამორფოზას, ფერისცვალებას, კულტურულ-ეკონომიურ უკუსვლას არავითარი ახსნა არ ეძებნება. არ ეძებნება იმიტომ, რომ არავითარი მსგავსი ამავე პირობებში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაში არ მომხდარა.

ისტორიული აფხაზ-აბაზგ-აფშილები მიცვალებულს ქრისტიანული წესით მარხავდა მიწაში. დასაფლავების სხვა წესი აქ ცნობილი არ არის. აფსუური მოსახლეობა მიცვალებულს მარხავდა არა მიწაში, არამედ ჰკიდებდა ხეზე – ე.წ. „საჰაერო დასაფლავება“. არადა, ძნელად წარმოსადგენია, ქრისტიან ხალხს უცებ ხის კენწეროზე მიცვალებულის დაკიდება დაეწყო. წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ არაფერი მსგავსი იმავე პირობებში და იქვე მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაში არ მომხდარა. ისმის კითხვა: საიდან გაჩნდა ქრისტიანულ ქვეყანაში (XVII-XVIII ს.ს.) დასაფლავების მისთვის შეუფერებელი წესი? ეს წესი, როგორც აფხაზი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ, დამახასიათებელი იყო აგრეთვე ადიღეური ტომებისათვის. აქედან გამომდინარე, დასაფლავების ეს წესი აფხაზეთში ჩრდილო კავკასიის მთებიდან არის შემოტანილი იმ ხალხის მიერ, რომელმაც შემდგომ აფხაზების სახელი დაირქვა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა და აფხაზთა (აფსუათა) ცხოვრების უწინარესობა-შემდგომობის ეს სურათი ნათლად არის ასახული აფხაზეთის მთავარი ქალაქის ქართული და აფსუური სახელწოდების (ცხუმი, აყვა) ქრონოლოგიურ მიმართებაში: ცხუმი (ქართული სახელწოდება) წერილობით წყაროებში VII საუკუნიდან არის დადასტურებული, აყვა კი (აფსუური სახელწოდება) – XVIII საუკუნიდან. ყოველივე ეს უტყუარი მაჩვენებელია ქართველი ხალხის იქ სახლობის სიძველისა და აფსუური მოსახლეობის სიახლისა. სწორედ ამიტომ ჰქვია აფხაზეთის მთავარ ქალაქს უძველესი მკვიდრი მოსახლეობის მიერ შერქმეული სახელი ცხუმი (სოხუმი) და არა მოტანილი სახელი აყვა. ეს დადასტურებულია ჯ. გასტალდის რუკით, სადაც აფსუების საცხოვრისი, როგორც აღვნიშნეთ, მოთავსებულია აფხაზეთის ფარგლებს გარეთ – კავკასიის ქედს გადაღმა და ტოპონიმი აყვაც იქვეა დაფიქსირებული.

ბაღაფშის წინაპრები რომ ისტორიული აფხაზები ყოფილიყვნენ და არა ქართველები, მაშინ წარმოუდგენელია მთელ დასავლეთ საქართველოს აფხაზეთი დარქმეოდა. აკი გადაერქვა კიდეც დასავლეთ საქართველოს ეს სახელი მას შემდეგ, რაც „აფხაზი“ აფსუების სახელად იქცა.

ასევე წარმოუდგენელია ქართველ მეფეთა ტიტულატურაში (მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა...) „აფხაზს“ საუკუნეთა მანძილზე ჯიუტად პირველი ადგილი ჰკავებოდა, „აფხაზი“ არაქართველი ხალხის სახელი რომ ყოფილიყო.

საგაზეთო სტატია სხვა მრავალი არგუმენტის მოყვანის საშუალებას არ იძლევა, თუმცა ნათქვამიც სრულიად საკმარისია, რათა აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მივიჩნიოთ. ვიცი, რომ სეპარატისტებს და მათ წამქეზებლებს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები აქვთ, მაგრამ ისინი იმდენად გაყალბებულია, რომ მათზე ყურადღების შეჩერება ყოვლად შეუძლებელია. მთავარია, აფხაზეთთან მიმართებაში შინაგანად ყოველთვის მზად ვიყოთ...

**რამაზ მეფარიშვილი,**
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.*

◎ ელამი სარკე

## ვარსკვლავბიჭუნა

**ჩემი კარის მეზობელს ბიძინა ვარშალომიძეს, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთი მსუქანი ბანკის კომერციული დირექტორია, არცთუ შემთხვევით თანამშრომლებმა ვარსკვლავბიჭუნა შეარქვეს. ჰოდა, გუშინ სამსახურიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, სწორედ ეს ბიჭუნა, რომელმაც უკვე სამოცს მიუკაკუნა, სადარბაზოსთან შემეფეთა.**

– ოო, ჩემო კეთილო მეზობელო, – შევეხმიანე, – საკმარისია, თვალი შეგავლო, რომ თავი ზღაპარში წარმოვიდგინო.

– რატომაც არა, ეს ცხოვრება ხომ ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას.



– გააჩნია, ვისთვის როგორ. შენთვის, ყოველთვიურად 4 ათას ლარს რომ ღუნავ, შესაძლოა, ცხოვრება ზღაპარი იყოს, მაგრამ ახლა ჩვენა გვკითხე?

– თქვენც მოღუნეთ, ბატონო ჩემო, ვინ დაგიშალათ, ფული ფოლადისა კი არ არის, რომ მოღუნვა გაუჭირდეს.

– ფულს თავი გავანებოთ, ჩემო ბიძინა, ალბათ ხვდები, ზღაპარი რატომ ვახსენე.

– რა თქმა უნდა, ვხვდები. ეტყობა, ჩემს დანახვაზე ზღაპრული ვარსკვლავბიჭუნა გახსენდება.

– ჰო, ასეა, მაინტერესებს, ეგ სახელი რატომ შეგარქვეს?

– რატომ და, ერთხელ წამომცდა – თბილისში ამდენ ვარსკვლავს რომ ხსნიან, ბანკირები რატომ არავის ვახსენდებითმეთქი.

– მერე?

– მერე ისა, რომ სიცილი დამაყარეს და მას მერე ვარსკვლავბიჭუნად მომნათლეს.

– ალბათ სამართლიანადაც. შენ სხვებს რას უყურებ, ეგენი ხელოვნებაში ვარსკვლავებს წყვეტენ.

– ჩვენ რა, მუქთადა ვსხედვართ? თუ ხელოვნებაში ძნიან შედევრებს, ჩვენ კიდევ ქვეყნის ეკონომიკას ვაშენებთ. დღეს დედაქალაქის ქუჩებში ამდენი ასფალტი რომ იგება, ნაირფერადი კარუსელები და შადრევნები შენდება, ჰაერიდან კი არ ცვივა. ეს ყველაფერი, ჩემო კარგო, ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტებით კეთდება.

– კარგი, ვთქვათ, ცნობილ ბანკირთა ვარსკვლავების გახსნაც დავიწყეთ, საამისოდ ადგილს სად შეარჩევთ?

– რა დიდი შერჩევა მაგას უნდა, ჩვენი ბანკის წინ დაგებული მარმარილოს ფილები ყველა ვარსკვლავა ბანკირს ეყოფა.

– მასე თუ წავიდა საქმე, ძმაო, ჩვენ მარტო ბანკირები კი არა, ისეთი პოლიტიკოსებიც გვყავს, რომლებიც ცაში ვარსკვლავებს ეთამაშებიან.

– ვის გულისხმობთ, ხომ არ დაგვისახელებდით?

– მაგათ რა ჩამოთვლის. ორი ათეული ვარსკვლავბიჭუნა და ვარსკვლავგოგონა მარტო პარლამენტის უმრავლესობის ლიდერთა შორის ამოირჩევა. ახლა კიდევ უმცირესობათა და ოპოზიციური პარტიების ლიდერები?

– მაგის მეტი ჯავრი ნუ მოგცა ღმერთმა, პარლამენტის შენობის წინ და შიგნით, ეზოშიც იმდენი ფართობია, რეალურზე ათჯერ მეტი ვარსკლავა პოლიტიკოსი დაეტევა.

– ახლა პრეზიდენტის აპარატი, თავად პრეზიდენტი რომ გამოგვრჩა?

– არაფერიც არ გამოგვრჩენია. თავის დროზე შევარდნაძე რომ გაჯიუტებულიყო და არ გადამდგარიყო, ახლა ვარსკვლავი კაიხნის განაღდებული ექნებოდა.

– დღევანდელ პრეზიდენტზე გეუბნები, ეგ ხომ არ გადამდგარა?

– არა, მაგრამ, ვიდრე ახალი რეზიდენციის მშენებლობას არ დაამთავრებს, მისი ვარსკვლავის გახსნაც ალბათ გადაიწევა.

– გასაგებია, კიდევ ხომ არავინ გამოგვრჩა?

– აი, თქვენ, ჟურნალისტებს, მაგალითად, რატომ არ განიჭებენ ამ ბედნიერებას?

– როგორ არა, ჩვენთვის საამისოდ ჟურნალისტური პრემია „ოქროს ფრთებია“ დაწესებული.

– მერე, შე კაცო, ფრთებიც გქონდეთ და ვარსკვლავიც, განა ზედმეტი მოგივათ?

– არა, მაგრამ, ოფისის წინ მარმარილო რომ არ გვიგია? ასფალტზე კი ვარსკვლავის გახსნა არ ივარგებს, წელსაც ხომ ნახე, ქალაქის მერიამ 100 ქუჩაზე მეტი გადათხარა!

– მაშინ, იქნებ თავად მერიას ვთხოვოთ, საკუთარი ოფისის წინ გამოგიყოთ ადგილი?

– არ გამოვა, იქ თურმე ბენდუქიძის ვარსკვლავს ხსნიან.

– არ გადამრიო, უკვე უყიდია ის ადგილი?

– არა, ბენდუქიძის ამბავი ხომ მოგეხსენება, ის არაფერს ყიდულობს, მარტო ყიდის.

– გინდა თქვა, რომ მერიის წინამდებარე მოედანიც გაყიდა?

– მაშ, როგორ, დიდ ფულად გაუყიდია და სავარსკვლავე ადგილიც თურმე ამიტომ უწილადეს.

– არა უშავს, იქ იმხელა ფართობია, ადგილი ჟურნალისტებისთვისაც მორჩება.

– აბა რას ამბობ, სადაც ბენდუქიძეა, იქ რა ადგილი მორჩება?!

**ოტია ჩართოლანი**

მეუღლე ნინო ხუციშვილი, შვილები მერაბი, გიორგი, შვილიშვილი შირელი, და სვეტა ოჯახით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიშა ხახმიაშვილი

პანაშვიდი 25 XII, 16 სთ. დაკრძალვა 26 XII, 14 სთ. იაკობ ნიკოლაძის 5ა, III სადარბაზო.

---

გურამ თეთრაშვილი და არმაზ სანებლიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიშა ხახმიაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

---

ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრები და თანამშრომლები, საქართველოს პედიატრთა ასოციაცია, საქართველოს კლინიკურ იმუნოლოგთა და ალერგოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირინა ჯავახაძე-ჟორჟოლიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ნუნუ ბროძელი, სიძე ვახტანგ კეჩხუაშვილი, შვილიშვილები ნიკოლოზ, თადეოზ კეჩხუაშვილები, რძალი ნინო თანდაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელიკო იმერლიშვილი-ბროძელი

პანაშვიდი 26, 27 XII, დაკრძალვა 28 XII, 13 სთ. ქ. მცხეთა, მამულაშვილის ქ.№3.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – „ფოპტნეტის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ბატონ ვახტანგ კეჩხუაშვილს სიდედრის

ელიკო იმერლიშვილი-ბროძელის

გარდაცვალების გამო.

---

მელორ და მერაბ ტყეშელაშვილები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ

რეზო მორჩილაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

შპს „სამთო მაშველი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: **კოსტავას ქ. №65. ტელ. 33-19-58.**


**რეკლამა**

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

98-96-32; 899 328576

● ახლახანს სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლომ სამი პატიმრის საქმე განიხილა. მათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული საგნების შენახვაში დაედოთ ბრალი





## ◉ სულიერება

# წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი — იმერეთის ეპისკოპოსი

**26 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იმერეთის ეპისკოპოსს, წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელს იხსენიებს. ის დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, მღვდლის ოჯახში. მან დაამთავრა თბილისის, ფსკოვის და პეტერბურგის სემინარია. მოგვიანებით გაბრიელი დავით გარეჯის მონასტერში წინამძღვრად გაამწესეს, ხოლო 1860 წლის 2 ივლისს იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად ეკურთხა და გარდაცვალებამდე ამ სამწყსოს მღვდელმთავარი იყო. მალე მის ეპარქიაში შევიდა აფხაზეთისა და სამეგრელოს ეპარქიები.**



გაბრიელ ქიქოძის მოღვაწეობის წლებში შეკეთდა: ნიკორწმინდის, ბიჭვინთის, მოქვის, კაცხის, ილორის ტაძრები. გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნება მრავლზე დიდ გავლენას ახდენდა, მან იცოდა ზნეობრივი აღზრდის საშუალებები... კეთილი, ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად ის თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას.

... ერთხელ, მოგზაურობის დროს ავაზაკმა გაძარცვა მოუნდომა. გაბრიელი არ დაიბნა, ჯვარი გადასახა და უთხრა: „შვილო, მე საწყალი ბერი ვარ, გაბრიელ ეპისკოპოსი, ფული სადა მაქვს". ეს სახელი ავაზაკსაც გაეგონა და შეკრთა, მეუფე არ მოეშვა, სანამ თან არ წაიყვანა, გაზარდა და სკოლაში მასწავლებლად განამწესა.

ეპისკოპოსი გაბრიელი იყო საოცარი მოწყალე და ქველმოქმედი. მეუფე გაბრიელის თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ საოცარი სახილველი იყო ლოცვად დამდგარი ეპისკოპოსი, წირვა-ლოცვა ძლიერი სასოებით იცოდა. მეუფე ერთ-ერთი მხურვალე დამცველი იყო ქართული ენისა. ის გაბედულად ებრძოდა ყველას, ვინც ეჭვქვეშ აყენებდა მშობლიური ენის არსებობის აუცილებლობის საკითხს.

... 1896 წ. 26 იანვარს გაბრიელ ქიქოძე გარდაიცვალა. უჩვეულოდ დიდი ზამთარი ყოფილა იმ წელს ქუთაისში. გზები თოვლისგან იყო შეკრული, გელათში წასვენება და დაკრძალვა ვერ მოხერხდა... 40 დღე ეთხოვებოდა სრულიად საქართველო გაბრიელ ეპისკოპოსს.

გამოქვეყნდა გაბრიელ ეპისკოპოსის გამოსათხოვარი სიტყვა. მეუფე უკანასკნელ შენდობას ითხოვდა ყველასგან და თვითონაც ყველას მიუტევებდა შეცდომებს.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ**

## ◉ სასამართლო

# სასჯელი გაიხანგრძლივეს

**ციხეებში ათასგვარი აკრძალული ნივთი ხვდება. ცხადია, მათი პატიმრებისთვის გადაცემა იქაური თანამშრომლების გარეშე ვერ მოხდება. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ასეთ ფაქტებს თვითონ ციხის თანამშრომლები ავლენენ. რა მიზეზით „წირავენ" მათგანვე „შეიარაღებულ" პატიმრებს, ამაზე საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.**

ახლახანს სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლომ სამი პატიმრის საქმე განიხილა. მათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული საგნების შენახვაში დაედოთ ბრალი. ისინი მეშვიდე საპყრობილის ოცდამესამე საკნის პატიმრები იყვნენ და სხვადასხვა დანაშაულისთვის სხვადასხვა ვადით იხდიდნენ სასჯელს. სამივეს პატიმრობის ვადა 2006 წელს უმთავრდებოდა, მაგრამ დამატებითი სასჯელი „აიკიდეს"...

წლეულს, 8 აგვისტოს ამავე დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა მოულოდნელი შემოწმება-დათვალიერებისას მათი საწოლებიდან დანები ამოიღეს.

39 წლის თბილისელი მალხაზ მგალობლიშვილი წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს, ბოლოს იგი პოლიციამ 1994 წლის ოქტომბერში დააკავა და 1997 წლის 14 აპრილს თბილისის რეგიონის სამხედრო სასამართლო კოლეგიამ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამჯერად საკანში მას ციხის თანამშრომლებმა ბალიშის ქვეშ უპოვეს **„ღია ყავისფერი, პლასტმასისტარიანი დანა, ვერცხლისფერი ფიქსატორით, გაშლილ მდგომარეობაში"**.

25 წლის, ადრე ნასამართლევ ქუთაისელ გიორგი ენდელაძეს კი, რომელიც პოლიციამ 2000 წლის 22 დეკემბერს ყაჩაღობისთვის დააკავა და 2001 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯა, დათვალიერებისას ლეიბში აღმოაჩნდა „ვერცხლისფერი მეტალის დანა გაშლილ მდგომარეობაში".

რაც შეეხება თბილისელ, ასევე ადრე ნასამართლევ 30 წლის აკაკი ლანდიას, რომელიც ნარკომანიისთვის 2005 თებერვალში დააკავეს და სასამართლომ წლითა და ექვსი თვით პატიმრობა შეუფარდა, დანას ლეიბის ქვეშ ინახავდა.

**როდის ან რა გზით მოხვდა დანები პატიმრებთან, გამომძიებისთვის უცნობი დარჩა, რადგან სამივემ დუმილის უფლება გამოიყენა. არადა, დათვალიერებაში მონაწილე დეპარტამენტის თანამშრომლებმა — დავით ხუჭუამ, გოჩა სულუხიამ და რევაზ ჭარბაძემ მოწმედ დაკითხვისას, კიდევ ერთხელ დაადასტურეს დანების პოვნა.**

**ამის გამო პატიმრები ციხეში კიდევ წელიწადი და ექვსი თვე დარჩებიან.**

**ლელა მანაველიშვილი**

## ◉ ლარის კურსი

**26 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3921 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7225 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2747 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0655 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9760 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4745 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4344 ლარი. |

## ◉ ინფორმაცია

### ქართველ კათოლიკეებს შობას ულოცავენ

**საქართველოში მცხოვრებმა კათოლიკე ქრისტიანებმა კათოლიკურ სამყაროს შობის დღესასწაული თბილისის ცენტრალური ნაძვის ხის მიმდებარე ტერიტორიიდან ახარეს.**

რამდენიმე ათეული კათოლიკე საქართველოს პარლამენტის წინ შეიკრიბა და შობის დადგომა აღნიშნა. საზეიმო ფორმაში გამოწყობილ მრევლთან დღეს საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც მივიდა.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-96-32; 899 328576

## ◉ ანეკდოტები

მარო სასამართლოში მოწმედ დაიბარეს.

— რამდენი წლისა ხართ? — ეკითხება მოსამართლე.

— დაიცათ, გენაცვათ, ეგრე უცებ როგორ გითხრათ, უნდა დავითვალო. როცა გავთხოვდი, ოცი წლისა ვიყავი. ჩემი ქმარი მიხო მაშინ ორმოცისა იყო, ესე იგი, ჩემზე ორჯერ უფროსი. ახლა მიხო სამოცდაათისაა. ესე იგი, მე ოცხათხუთმეტისა ვყოფილვარ.

* * *



გორბაჩოვი და ჯორჯ ბუში-უფროსი დანაძლევდნენ, ვის ქვეყანაში ცხოვრობდა ხალხი უკეთ. ვერტმფრენით გადაუფრინეს ამერიკას: ყველაფერი ბრწყინავს და ყვავის. შემდეგ გადაუფრინეს რუსეთს. ქვემოთ ბარაკების უზარმაზარი მასივი ჩანს, ყველა სახურავზე კი ტელეანტენების ტყეა.

— რაც მართალია, მართალია, — თითს კაკვავს ბუში, — წავაგე ჩვენთან სალორეში ტელევიზორი არ დგას.

* * *

ხალხური სიბრძნიდან: თუ 1 იანვარს ეზოში ტალახია, ესე იგი, ღორის წელიწადი დგება.

* * *

უახლესი ჰიპოთეზა: მფრინავი თეფშები ღმერთების საოჯახო გარჩევის შედეგია.

* * *

ქერათმიანი ლამაზმანი დაქალს ეტრაბახება:

— ვერც წარმოიდგენ, ისეთი მაგარი ბიჭი გამოვჩხრიკე. მდიდარია, საოცარ რაღაცეებს მჩუქნის, ფულს მაძლევს, მაქეიფებს, მანქანით მასეირნებს. ოღონდ, სამწუხაროდ, არ მომწონს. ძალიან ულამაზო და შეუხედავია. მაგრამ მდიდარია!

— ჩემო დაიკო, შენ ბიჭი კი არა, სამსახური გიშოვნია...

* * *

მიხო და მარო ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნდნენ.

— როგორ მოგეწონათ ევროპა, რომში უთუოდ იქნებოდით, არა? — ეკითხებიან მაროს.

— სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცი, რადგან ბილეთებს მუდამ მიხო ყიდულობდა...

* * *

ვინც არ რისკავს, შამპანურსაც ვერ სვამს.. არყის შემდეგ.

## ◉ კადრი



ჯემალ კასრაძის ფოტო

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში". მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1" ქიზიყის 14 ტ: 899 797679; 98-96-32
მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ვაშაკიძე
ინდექსი 66434, მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.